

ISSN 2233-3606

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია  
GEORGIAN ACADEMY OF BUSINESS SCIENCES

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

**მოამბე**  
**XXX**  
**MOAMBE**

SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE

თბილისი 2018 TBILISI

„მოამბე“ გამომცემის 1995 წლიდან  
„MOAMBE“ IS PUBLISHED SINCE 1995

სტატიები მიიღება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, AcadNusx-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალის სტრიქონებს შორის 1.5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა 2.5 და 2.5 სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG ფორმატში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი A4 ფორმატის.

2. ავტორის სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო კოორდინატები (ტელეფონები, ელ-ფოსტა), სურათის ელექტრონული ვერსია JPEG-ში

3. სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე. მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად AcadNusx-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12, სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.

4. სტატია შეიძლება გამოქვეყნდეს ინგლისურ, რუსულ, გერმანულ ენებზეც. ასეთ შემთხვევაში, ჩვენი მოთხოვნაა რეზიუმე მოგვანოდოთ ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს: ჟურნალის ერთი გვერდი 6 ლარი, რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ჟურნალის ღირებულება 5 ლარი.

სტატიების გადმოგზავნა შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:

**mariizoria@mail.ru;**

**ტელეფონები: 231 14 75; 593 239 958**

**ვებ-გვერდი: www.sbma.ge**

Continues taking articles according to this requests:

1. Text must be gathered in Word, size of AcadNusx font 12, interval between lines – 1.5; borders in right and left side – 3 and 2 sm. Also, up and down borders – 2,5 and 2,5 sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEG. The minimal size of article is Spages of A4 format.

2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail), electronic version of photo in JPEG.

3. 3. The article must have reziume in Georgian and English languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in AcadNusx and in Times New Roman, size of font – 12. Scientific article must have list of used literature.

4. The article may be published in English, Russian, German languages. So, it is also our request to prepare reziume in Georgian and English languagues too.

The price of article's publication is one page of Journal 6 Gel (lari). And author will pay tjis price after getting positive respond. Also, the price of Journal is 5 GEL (lari).

**E-mail: mariizoria@mail.ru;**

**Tel: 231 14 75; 593 239 958**

**www.sbma.ge**

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია დაფუძნდა 1995 წლის 23 მარტს. აკადემია საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციის ბაზარა 1995 წლის 9 აპრილს, რეგისტრაციის სერტიფიკატის №1982

THE GEORGIAN ACADEMY OF BUZINESS SCIENCES WAS ESTABLISHED ON MARCH 23, 1995. THE ACADEMY WAS REGISTERED ON APRIL 9, 1995 BY MINISTRY OF GEORGIA (CERTIFICATE #1982)

**„მოამბე“**  
**საერთაშორისო რეჟირირებადი და რეცენზირებადი**  
**სამეცნიერო ჟურნალი, №30, 2018 წელი**

**თეიმურაზ ბაბუნაშვილი**- *მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ქ. თბილისის საპატრიო მოქალაქე.*

**სარედაქციო კოლეგია**  
**მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები**

აბესაძე რამაზი, აბრალავა ანზორი, ასათიანი როზა, ბაბუნაშვილი გიორგი (აშშ), ბაკაშვილი ნიკოლოზი, ბარათაშვილი ევგენი, ბერიძე თეიმურაზი, გვალია ნარგიზი, გომოხია რევაზი, გველესიანი მირაზი, გეგუაძე პაპი, დანელია თამაზი, დათაშვილი ვახტანგი, ელიაშვილი ლია, იზორია მარინა, კუნჭულია თამაზი, კურტიანი დავითი (აშშ), კუჭუნიძე რომანი, კვალაშვილი ვაჟა, კვარაცხელია ალექსანდრე, კობახიძე თამაზი, ლაბარტყავა გულთაზი, ლემონჯავა პარმენი, ლოგუნიძე გივი, ლეკაშვილი ეკა, მალაშვილი გიორგი, მამუკაშვილი ელგუჯა, ნადირაშვილი გიორგი, ნარმანიანი დავითი, ნადარაია ნუგზარი, პაიჭაძე ნუგზარი, როკატელიშვილი მიხეილ (აშშ), სილაგაძე ავთანდილი (საქ. ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი), შერეშელიძე მინდია, ქარჩავა ლეონი, ქეშელაშვილი მარი, ყიფიანი გელა, ყუფუნია გურამი, ყორღანაშვილი ლარისა, შენგელაძე თეიმურაზი, შენგელაძე რევაზი, ჩხეიძე ნიკო, ჭითანაშვილი ნოდარი, ჭუმბურიძე მამია, ხადაშვილი ნოდარი, ხარაბაძე ელენე, ხელაშვილი იოსებ, ჯავახიშვილი რევაზი, მამულოვი ფიზული (აზერბაიჯანის რესპუბლიკა), მელნიკი ტატიანა (უკრაინა), სერძანიანი ნაიკი (სომხეთი), ალირზაევი ალი (აზერბაიჯანის რესპუბლიკა), ბორზდოვა ტატიანა (ბელორუსია), ალუხანოვი ესპერანო (ყაზახეთის რესპუბლიკა), ბაღინა ლევონი (უკრაინა), ზალენინი ინგა (ესტონეთი), ვდოვინკო ნატალია (უკრაინა), მინაილ ვარჩოლ (სლოვაკეთი), ბაღინა კუზმენკო (უკრაინა).

შეიქმნა რედაქციის ყოველთვიის არ იზიარებდეს ავტორის აზრს

**„MOAMBE“**  
**QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC MAGAZINE,**  
**PRECISED AND REVIEWED №30, 2018**

**TEIMURAZ BABUNASVILI- Editor-in-Chief and Head of Editorial Board,**  
**Doktor of Economic Science, President of**  
**Georgian Academy of Business Science,**  
**Honored citizen of Tbilisi**

**EDEDITORIAL BOARD**  
**Doctors of science, Professors**

ABESADZE RAMAZI, ABRALAVA ANZORI, ASATIANI ROZETA, BABUNASHVILI GIORGI (USA), BAKASHVILI NIKOLOZI, BARATASHVILI EVGENI, BERIDZE TEIMURAZI, GVALIA NARGIZI, GOGOKHIA REVAZI, GVELESIANI MERABI, GECHBAIA BADRI, DATASHVILI VAXTANGI, DANELIA TAMAZI, ELIAVA LIA, IZORIA MARINA, KUNCHULIA TAMAZI, KURTANIDZE DAVITI (USA), KUCHUKHIDZE ROMANI, KVALIASHVILI VAJA, KVASHILAVA ALEKSANDRE, KOBALIDZE TAMAZI, LABARTKAVA GULTAZI, LEMONJAVA PARMENI, LOBJANIDZE GIVI, LEKASHVILI EKA, MALASHKHIA GIORGI, MEQVABISHVILI ELGUJA, NADIRASHVILI GAIOZI, NARMANIA DAVITI, NADARAIA NUGZARI, PAICHADZE NUGZARI, ROKETLISHVILI MIKHEILI (USA), SILAGADZE AVTANDILI (Member of Georgian national Academy of Science), UGREKHELIDZE MINDIA, KARCHAVA LOIDI, KESHELASHVILI OMARI, KIFIANI GELA, KUFUNIA GURAMI, KORGANASHVILI LARISA, SHENGELIA TEIMURAZI, SHENGELIA REVAZI, CHIKHLADZE NIKO, CHITANAVA NODARI, CHUMBURIDZE MAMIA, KHADURI NODARI, KHARABADZE ELENE, KHELASHVILI IOSEBI, JAVAKHISHVILI REVAZI, MAMEDOVI FIZULI (AZERBAIDJAN), MELNIKI TATIANA (UKRAINA), SERKHAIANI NAIKI (ARMENIA), ALIRZAEVI ALI (AZERBAIDJAN), BORZDOVA TATIANA (BELORUSIA), ALUKHANOVI ESBERGI (KAZAKHSTAN), GALINA LOPUSHNIAK (UKRAINA), ZALENIENI INGA (ESTONIA), VDOVENKO NATALIA (UKRAINA), VARCHOLA MICHAL (SLOVAKIA), GALINA KUZMENKO (UKRAINA).

# შინაარსი

<b>1. ირაკლი მიქაქა</b> .....	<b>7</b>
მსოფლიოს ეკოლოგიური პრობლემების შუქზე საქართველოს პორტრეტი	
<b>2. მარია მყიფე</b> .....	<b>17</b>
ადგილობრივ ორგანიზაციებში კულტურული ღირებულებების ზეგავლენა მმართველობით სტილზე	
<b>3. ივლია ონიანი, ნონა ახვლედიანი</b> .....	<b>23</b>
სტატისტიკური მონაცემები, როგორც რეგიონის ინვესტიციური მიზიდველობის შეფასების ინსტრუმენტი	
<b>4. ნირა ტაბატაძე, მანანა მჭედლიშვილი</b> .....	<b>28</b>
ინფლაციის უარყოფითი გავლენა ეკონომიკის განვითარებაზე და მისი დაქვემდებარების გზები საქართველოში	
<b>5. ალექო ქუთათელაძე, ნიკოლოზ დარჩიაშვილი</b> .....	<b>32</b>
პოსტ-კრიზისული სახელმწიფო რეგულირების ფუნდამენტური ცვლილებები, დიდი ბრიტანეთის საბანკო სექტორში	
<b>6. ნოდარ გრძელიშვილი, გიორგი ლილუაშვილი, ეკატერინე გიგოლაშვილი</b> .....	<b>35</b>
რეგიონების ეკონომიკური განვითარების და ზრდისთემობის ასპექტები	
<b>7. ნინო გოგველიშვილი</b> .....	<b>43</b>
სამრეწველო სანარმოთა ლოგისტიკური უზრუნველყოფის აქტუალური საკითხები	
<b>8. Г. И. Кузьменко, Г. С. Лопушняк</b> .....	<b>47</b>
КОРПОРАТИВНАЯ СОЦИАЛЬНАЯ ОТВЕТСТВЕННОСТЬ В КОНТЕКСТЕ КОНЦЕПЦИИ УСТОЙЧИВОГО РАЗВИТИЯ	
<b>9. მარინა იზორია</b> .....	<b>55</b>
რელიგიის სეკულარიზაცია და კონცეპტუალური კულტურა	
<b>10. ფუნდამენტური მონობრაფია ეკონომიკაზე</b> .....	<b>65</b>
<b>11. დიდი მეტნიერი - უდიდესი მოყვანი</b> .....	<b>68</b>
<b>12. მილოცვა</b> .....	<b>70</b>

# CONTENTS

<b>1. IRAKLI MIQADZE</b> .....	<b>7</b>
<b>The portrait of Georgia on the ecological problems of the world</b>	
<b>2. MARIAM KIPSHIDZE</b> .....	<b>17</b>
<b>Impact of cultural values on local organizations' management style</b>	
<b>3. IVLIA ONIANI, NONA AKHVLEDIANI</b> .....	<b>23</b>
<b>Statistical data as the region's investment attraction appraisal instrument</b>	
<b>4. NAIRA TABATADZE, MANANA MCHEDLISHVILI</b> .....	<b>28</b>
<b>The negative impact of inflation on the development of economy and ways of overcoming it in Georgia</b>	
<b>5. ALEKO QUTATELADZE, NIKOLOZ DARCHIASHVILI</b> .....	<b>32</b>
<b>Fundamental changes in post-crisis state regulation, in the UK banking sector</b>	
<b>6. NODAR GRDZELISHVILI, GIORGI LALUASHVILI, EKATERINE GIGOLASHVILI</b> .....	<b>35</b>
<b>Theoretical aspects of economic development and growth of regions</b>	
<b>7. NINO BOGVELISHVILI</b> .....	<b>43</b>
<b>Current issues of logistical support for industrial enterprises</b>	
<b>8. G. KUZMENKO, G. LOPUSHNIAK</b> .....	<b>47</b>
<b>Corporate Social Responsibility In The Context Of The Concept Of Sustainable Development</b>	
<b>9. MARINA IZORIA</b> .....	<b>55</b>
<b>Religion Secularization And Conceptual Culture</b>	
<b>10. FUNDAMENTAL MONOGRAPH ON THE ECONOMY</b> .....	<b>65</b>
<b>11. GREAT SCIENTIST - THE GREATEST NEIGHBOR</b> .....	<b>68</b>
<b>12. CONGRATULATIONS</b> .....	<b>70</b>



**მსოფლიოს ეკოლოგიური პრობლემების შესახებ  
საქართველოს პორტალი**

**ირაკლი მიქაძე**

**გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს  
ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს ტექნოლოგიურ  
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი**

ბუნებამ განვითარების 3 საფეხური განვლო: არაორგანული, ორგანული და საზოგადოება, რომელიც უნდა განვიხილოთ როგორც სრულყოფილი ბიოსფერული სტრუქტურა, სადაც ხდება აბიოგენური და ბიოგენური მოვლენების გარდაქმნა სოციოგენურ მოვლენად – ნოსფეროდ, ანუ ანთროპოსფეროდ. ნოსფერო, საზოგადოების ბუნებაზე და ადამიანზე ზემოქმედების ეფექტით განისაზღვრება, რასაც საფუძვლად უდევს წარმოებისა და მასთან დაკავშირებული ცნობიერების ეფექტი.

მსოფლიოს ეკონომიკის ექსპონენციალური ზრდა ხელს უწყობს დედამიწის ფიზიკური შესაძლებლობების ამოწურვას. თუ წარსულში, კრიზისები იყო ლოკალური, ამჟამად, იგი გახდა საყოველთაო, რასაც მიყვართ გლობალური კატასტროფისაკენ. მისი ნიშნებია: ოზონის შრის შემცირება, კლიმატის ცვლილებები, მჟავაშემცველი ნალექები, ატმოსფეროს, ნიადაგისა და წყლების დაბინძურება, ტყის მასივების გაჩეხვა, სოციალური გარემოს გაუარესება და ა.შ.

კაცობრიობის გადარჩენის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს გადასვლა ნოსფერულ განვითარებაზე, როდესაც მწარმოებლური ძალების განვითარების სპონტანური, სტიქიური, არაკონტროლირებადი პერიოდი იცვლება ახალი შეხედულებებით, რიგითი მოქალაქიდან უმაღლეს ხელმძღვანელამდე.

ადამიანისა და გარემოს ურთიერთკავშირს აქვს პლანეტარული ხასიათი, იგი არ შეიძლება გადაწყდეს ერთი ქვეყნის, ან რეგიონის მასშტაბით. გარემოზე ზრუნვა პრიორიტეტულია ყველა ქვეყნისათვის, მით უმეტეს საქართველოსათვის, რომელსაც აქვს განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მდებარეობა, სადაც გადის ნავთობსადენი და გაზსადენი და არის პერსპექტივა, რომ გაივლის „აბრეშუმის გზა“. გარდა ამისა, რადგან საქართველო მთავორიანი ქვეყანაა, განვითარებულია სეისმური და გეოდინამიკური პროცესები.

ეკოლოგიის კრიზისის ფონზე, დიდ მნიშვნელობას იძენს მოქალაქეების ეკოლოგიური ცოდნის ამაღლება და უახლოესი ინფორმაციის ფლობა.

რა მდგომარეობაა დღეს საქართველოში ეკოლოგიური უსაფრთხოების მხრივ?

1. ნავთობსადენი და გაზსადენი კვეთს გეოდინამიკური და სეისმური თვალსაზრისით ერთ-ერთ აქტიურ რეგიონს – ბორჯომის ხეობას, სადაც მდებარეობს მსოფლიოში ცნობილი, ბორჯომის მინერალური წყლის საბადო.

ნავთობსადენთან დაკავშირებული ეკოლოგიური პრობლემების შესწავლის პროცესში გამოიკვეთა უბნები, რომელთა ფარგლებში განსაკუთრებით დიდია გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების რისკი მისი მშენებლობისა და ფუნქციონირების დროს. ამ მხრივ აღსანიშნავია ნავთობსადენის 17 კმ სიგრძის მონაკვეთი, დაწყებული ცხრანყაროს უღელტეხილის თხემიდან, ვიდრე კოდიანას გადასასვლელის თხემამდე. ამ უბანზე, ავარიული დაღვრების შემთხვევაში, ნავთობის ნახშირწყალბადებით დაბინძურების საშიშროება ექმნება ე.წ. ბაკურიანის ლავურ ნაკადთან დაკავშირებულ ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებს. მდ. ბორჯომულას, რომელის ხეობაში დაფიქსირებულია ბორჯომის მინერალური წყლების ფარული განტვირთვის კერები, სათავე და ხეობის სამხრეთ ნაწილი სწორედ ლავურ ფორმატში არის გამოქმუშავებული. მდინარეში ნავთობის ჩაღვრის შემთხვევაში და ჭაბურღილების მაქსიმალური რეჟიმით მუშაობის პროცესში, არ არის გამორიცხული დაბინძურებული წყლების შერევა ბორჯომის წყალმემცველ ჰორიზონტში, რომლის რეაბილიტაციისათვის საჭირო იქნება საუკუნეები.

ნავთობსადენის ხელმძღვანელობამ ნაწილობრივ გაითვალისწინა ქართველი გეოლოგების შენიშვნები, მაგრამ არ შეცვალა მისი სვლაგეზი. 2006 წელს, კოდიანას მონაკვეთზე მილსადენის ეკოლოგიური და ტე-

ქნიკური უსაფრთხოების მიზნით, აშენდა დამატებითი დაცვითი ობიექტი, რომელიც გადაეცა საქართველოს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტს. დასრულდა აგრეთვე, ნავთობის ავარიული ჩამოსაცლელის მშენებლობა. ეს ობიექტი 8500 კუბური მეტრის მოცულობის რეზერვუარია, რომელიც მოთავსდა კიდევ ერთ ბეტონის მინისქვეშა რეზერვუარში, სადაც ავარიის შემთხვევაში, კოდიანას მონაკვეთის ნებისმიერი ადგილიდან, მილსადენიდან დაღვრილი ნავთობი ჩაიცლება და შეინახება.

ასევე, შეიქმნა მეორადი შემაკავებელი ობიექტების სისტემის პროექტები მილსადენის დაზიანების შემთხვევაში ნავთობის უსაფრთხოდ შესაკავებლად. თითოეული მეორადი შემაკავებელი ობიექტი, მდინარის კალაპოტის ირგვლივ აშენებული დამბითა და შლუზებით აღჭურვილი, სალექარი საგუბრებისაგან შედგება. ავარიის შემთხვევაში შლუზები დაიკეტება და შეაჩერებს ნავთობს იქამდე, სანამ ნავთობის დაღვრაზე რეაგირების ჯგუფი ნავთობის უსაფრთხოდ ლოკალიზაციას არ მოახდენს.

მიუხედავად მიღებული ღონისძიებებისა, ეკოლოგიური კატასტროფისაგან დაზღვეულები არა ვართ, რადგან ნავთობსადენი გადის გეოდინამიკურად და სეისმურად აქტიურ რეგიონში, მოძრავ მენყრულ სხეულზე, სოფ. დგვართან, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ალტერნატიული ვარიანტი, არა ქალაქ ბორჯომის სამხრეთით, არამედ, ქალაქ ბორჯომის ჩრდილოეთით, 20 კმ-ის დაშორებით. მით უმეტეს, რომ, ამ სვლაგეზით ნავთობსადენის სიგრძე არ მოიმატებდა.

ბორჯომის ხეობა, 2008 წელს დაიბომა რუსი ოკუპანტების მიერ, რომლის დროსაც კურორტების წაღვერის, დაბისა და თორის მთის მიდამოებში გადაინვა უნიკალური ფიჭვის ტყის მასივი და 1 კვირით შეწყდა ნავთობსადენის ფუნქციონირება. იგივე ტერიტორია მეორედ გაჩანაგდა 2017 წლის ტყის ხანძრის შემდეგ.

ამრიგად, გასათვალისწინებელია, რომ ბუნებრივი პირობების შეუფასებლობას იმაზე მეტი მავნებლობის მოტანა შეუძლია, ვიდრე ნავთობსადენის ტრანზიტიდან მიღებულ შემოსავლებს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ენერგეტიკული მნიშვნელობით გამოირჩევა 319 მდინარე, რომელთა ჯამური პოტენციური სიმძლავრეა, 15,63 მლნ კილოვატი, საშუალოწლიური ენერგია – 136,92 მლრდ კვტ/

საათის ექვივალენტური.

საქართველო განახლებადი ენერჯის წყაროებით მდიდარი ქვეყანაა, რომლის დიდი ენერგეტიკული პოტენციალიც წყლის რესურსებზე მოდის. წყლის რესურსების წილის მიხედვით, ერთ სულ მოსახლეზე, საქართველო ერთ-ერთი მონინავეა მსოფლიოში. ჰესების დადებითი მხარეებია: ელექტროენერჯის სიიაფე, ეკოლოგიური სისუფთავე, სასმელი, საირიგაციო, სარეკრეაციო და სხვა ფუნქციები. უარყოფითი მხარეებია: ცვლის ლანდშაფტს, ტბორავს დიდ ფართობებს, ხელს უშლის თევზების მიგრაციას, აფერხებს მდინარის ჩამონატანის გადაადგილებას და ინვეს ზღვის სანაპირო ზოლის დეგრადაციას.

მდინარეების ენგურისა და რიონის ხეობებში, ჰესების კასკადის მშენებლობასთან დაკავშირებით არსებობს პრობლემები, რადგან არსებული პროექტები ითვალისწინებს ტერიტორიების წყლით დატბორვას, რიგი სოფლების გადასახლებას, კლიმატურ ცვლილებებს და ა.შ., რასაც მტკიცებულად განიცდის ადგილობრივი მოსახლეობა.

მდ. ენგურის არსებული და საპროექტო ჰესების კასკადი შედგება: ჯვარის (ენგურჰესი), ხაიშის, ხუდონის, ტობარის, ნენსკრას, ლახამის, ცხვანდირისა და დარჩორმელეთის (ნენსკრას შენაკადები), დოლრაჭალას (დოლრას მყინვართან), კასლეთი 1 და 2 ჰესებისაგან.

ენგურჰესი, კავკასიაში უდიდესი ნაგებობაა. მისი საპროექტო სიმძლავრეა 1,640 მლრდ კვტ, თალოვანი კაშხლის სიმაღლეა 271,5 მეტრი, რომელიც ქ. ჯვართან ქმნის 1,1 მლრდ კუბ.მ, 30 კმ სიგრძის წყალსაცავს. ენგურჰესის მშენებლობის პროცესში წარმოიშვა პრობლემები თალოვანი კაშხლის განთავსების ტერიტორიის ამგებ ქანებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოდგენილია დაკარსტული, დანაპრალიანებული ქანებით. საჭირო შეიქნა სპეციალური, საინჟინრო გეოლოგიური კვლევების ჩატარება, რომელიც ითვალისწინებდა ჭაბურღილების ბურღვასა და ცემენტაციას და რომელიც შეასრულა ქართველმა გეოლოგებმა, აკადემიკოს იოსებ ბუაჩიძის ხელმძღვანელობით. მიღებული ზომების შედეგად, უზრუნველყოფილ იქნა არამდგრადი ქანების სტაბილიზაცია.

2005–2006 წლებში, დაიწყეს 201 მ სიმაღლის ხუდონჰესის პროექტის ლობირება, რომელიც 1990-ან წლებში ბლოკირებულ იქნა, როგორც მშენებლობა, რომელიც შეი-



ცავდა ეკოლოგიური კატასტროფის მაღალ რისკს და მოითხოვდა რამდენიმე სოფლის (ხაიშის, გაღმა ხაიშის, ტობარის, დაკარის, ლუხის, ლაჯარის, ქვედა წვირმინდისა და დალალხორალის) გადასახლებას. გარდა ამისა, დაიტბორება 528 ჰა მიწა, წმინდა გიორგისა და ანდრია პირველწოდებულის ეკლესიები და სოფლების, ხაიშისა და ტობარის სასაფლაოები.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს თხოვნით, 2012 წელს, ნიდერლანდების გარემოს შეფასების კომისიის მიერ, შედგენილი იქნა ხუდონჰესის სოციალურ და ეკოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების საექსპერტო დასკვნა.

კომისიის რეკომენდაციები შემდეგია:

1. სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების გათვალისწინებით, შემუშავდეს ქვეყნის ენერგოსტრატეგია და ჰიდროენერგოსტრატეგია.

2. რისკები შეფასდეს სრულყოფილად, მათ შორის, გეოლოგიური, შემუშავდეს შემარბილებელი ღონისძიებები.

3. ჩატარდეს პრობლემური ფერდობების საინჟინრო გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური კვლევა და შემუშავდეს პრევენციული ღონისძიებები.

4. მოხდეს ტექნიკური პროექტის განახლება და შენიშვნების გათვალისწინება.

5. რეზერვუარის სიცოცხლის ხანგრძლივობის დადგენის მიზნით, სულ მცირე, ერთი წლის განმავლობაში, შესრულდეს რეჟიმული სამუშაოები, ენგურის ნატანის რაოდენობის დასადგენად.

6. ხელახლა დაპროექტდეს დერივაციული გვირაბი, ისე, რომ იგი გამოყენებულ იქნას სედიმენტების ჩასარეცხადაც.

7. ხელახლა დაპროექტდეს რეზერვუარის მიმდებარე გზები და გზა მესტიამდე, რათა მინიმუმამდე დაყვანილ იქნას ეროზიული პროცესები.

გზშ-ს ანგარიშში აღნიშნულია, რომ 1986-2010 წლებში, მესტიასა და ხაიშში ნალექიანობა 10-15%, ხოლო ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 0.3-0,4°C-ით გაიზარდა. ასევე გაიზარდა, ინტენსიური ნალექიანობით გამოწვეული კატასტროფული მოვლენების სიხშირე.

1960-1991 წლებთან შედარებით, 1992-2013 წლების პერიოდი დახასიათდა მენყრებისა და წყალდიდობების საერთო რაოდენობის გაზრდით. ნაკრას ხეობაში 2011 წლის აგვისტოში

მაღალი ნალექიანობის პერიოდში, ადგილი ჰქონდა მენყრებსა და ღვარცოფებებს. ნენსკრას ხეობა წარმოადგენს ზეგავსაში ზონას. 1987 წელს, იმ ადგილას, სადაც განზრახულია კაშხლის მშენებლობა, ასევე, სოფ. ჭუბერთან, ჩამონვა ზვავი, რომელიც დასრულდა 4 ფატალური შედეგით, რის გამოც, სოფ. ჭუბერის მოსახლეობის 50%-მა დატოვა ხეობა.

მდ. ენგურის ხეობაში, ჰესების კასკადის განთავსების ტერიტორია, წარმოადგენილია დიზის წყების კრისტალური ფიქლებით, თიხაფიქლებითა და ქვიშაქვებით, მათ შორის ჭარბობს თიხაფიქლები, რომლებიც ინტენსიურად დისლოცირებული, დამსხვრეული, დანაპრალიანებულია და ამოვსებულია ფიქლების დამლილი თიხური მასალით. თიხაფიქალი, მეტამორფული ქანია, რომელსაც ახასიათებს ნაგრძელებული ან ფირფიტისებრი ფორმის მინერალების პარალელური განლაგება და არ გამოირჩევა მდგრადობით. ე.ი. არსებული ქანები არახელსაყრელია კაშხლების მშენებლობისათვის.

ბუნებრივ პირობებზე ზემოქმედების თვალსაზრისით, მდ. ენგურის ხეობაში ჰესების კასკადს კუმულაციური გავლენა ექნება გარემოზე, რადგან 1,1 მლრდ კუბ.მ მოცულობის ჯვრის წყალსაცავს დაემატება ხუდონის 740 მლნ კუბ.მ მოცულობის და ნენსკრას 176 მლნ კუბ.მ მოცულობის წყალსაცავები. ე.ი. მათი ჯამური მოცულობა გადააჭარბებს 2 მლრდ კუბ.მ-ს, რომელიც დაარღვევს ბუნებრივ ნონასწორობას და გამოინვევს ენგურის ხეობის კლიმატის მნიშვნელოვან ცვლილებებს: შეიცვლება ატმოსფერული ნალექების, აორთქლებისა და ჰაერის ტენიანობის სიდიდეები, გააქტიურდება გეოდინამიკური პროცესები, დაიკარგება სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, რაც უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე.

დარიალის ხეობაში მომხდარი ეკოლოგიური კატასტროფა მიგვანიშნებს, რომ ბუნებრივი პროცესების ცვლილებებს შესაძლებელია მოჰყვეს სავალალო შედეგები, რაც არ არის გამორიცხული ენგურის ხეობაშიც, რომელიც მდებარეობს 9 ბალიანი მაგნიტუდის ზოლში და სადაც ასევე, მიმდინარეობს მყინვარის ინტენსიური დნობა. ხეობის ამგები მეტამორფული ქანები არამდგრადია, დაფიქსირებულია ტექტონიკური ბზარები მშენებარე, ნენსკრას, საპროექტო ხუდონისა და არსებულ, ჯვარის წყალსაცავებს შორის, რომელთა გააქტიურება შესაძლებელია მოხდეს წყალსაცავების ზეგავლენით.

1890-1965 წლების განმავლობაში, ზემო სვანეთში, მყინვარებით დაფარული ზონა შემცირდა 13% და იმავე პერიოდში ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა გაიზარდა 0.3°C-ით. არსებული ტენდენციების ხაზოვანი ექსტრაპოლაციის პროგნოზირების თანახმად, 2100 წლისათვის ზემო სვანეთში ჰაერის ტემპერატურა გაიზრდება დამატებით 4°C, ხოლო მყინვარებით დაფარული ზონა შემცირდება 100 კვ. კმ-მდე.

ქვეყნის ენერგეტიკული რესურსების ათვისებისა და მაქსიმალური გამოყენების აუცილებლობიდან გამომდინარე, საუკეთესო გამოსავლად მიგვაჩნია, კომპრომისული გადაწყვეტილების მიღება: გათვალისწინებულ იქნას ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნა, ხუდონის კაშხლის სიმაღლის ადრინდელ პარამეტრებში დაბრუნება (140 მ, 201 მ ნაცვლად), რის შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირდება დატბორილი ფართობი და არ დაიფარება წყლით ეკლესიები და სასაფლაოები.

ნიდერლანდების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ძირითადი შენიშვნის თანახმად, აუცილებელია შეიქმნას ქვეყნის ენერგეტიკის განვითარების ეროვნული პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს სხვადასხვა სიმძლავრის ჰესების მშენებლობის სტრატეგიას. ამ შემთხვევაში, აღარ იქნება საჭირო თვითოეული ჰესის მშენებლობის დროს გადაწყვეტილების მიღება.

საქართველოში არსებული ელექტროსადგურების დადგმული სიმძლავრე შეადგენს 3,725.96 მგვტს, გენერაციის რესურსი – 15,497.30 მლნ კვტ.სთ.

გარდა არსებული ელექტროსადგურებისა, არსებობს პროექტები მშენებლობის, ნებადართვებისა და ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპებზე, ასევე, სხვა პოტენციური (განახლებადი რესურსი), რომელთა ჯამური სიდიდე შემდეგია: დადგმული სიმძლავრე – 9,717.13 მგვტ, გენერაციის რესურსი – 45,321.62 მლნ კვტ.სთ.

მცირე და საშუალო ჰესებს აქვთ ის უპირატესობა, რომ მცირეა გარემოზე უარყოფითი ზეგავლენა, ხდება ელექტროენერჯის ადგილზე გამოყენება, ნაკლებია დანაკარგები ელექტროენერჯის გადაცემის პროცესში და აქტიურად უწყობს ხელს ეკონომიკის განვითარებას რეგიონებში. საქართველოში, 2015 წლის მონაცემების თანახმად, 48 მცირე ჰესია (სიმძლავრე < 13 მგვტ), რომელთა ჯამური საპროექტო სიმძლავრეა 160.44 მგვტ,

მათ შორის: აბჰესი აშენდა 1928 წელს, ხოლო ფშაველაჰესი და დებედაჰესი – 2015 წელს.

დიდი სიმძლავრის ჰესების საშუალებით, მიუხედავად წყალსაცავებისა, წლის ამ პერიოდში მდინარეების წყალმცირობის გამო, შეუძლებელია ზამთრის პიკების მოხსნა. ამ პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია, მხოლოდ საბაზისო თბოსადგურების საშუალებით.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, საზოგადოებას განხილვისათვის ვთავაზობთ შემდეგ კონცეფციას: იმ მიზნით, რომ განვითარდეს ქვეყნის ეკონომიკა, არ დაგვემუქროს ენერგეტიკული დეფიციტი და შევინარჩუნოთ გარემო პირობები, მთიან ნაწილში აშენდეს მცირე და საშუალო სიმძლავრის, კალაპოტის (დღელამური და მოდინებაზე) და არა წყალსაცავის რეგულირების ჰესები და ეკონომიკური თვალსაზრისით, ყოველი ახალი ჰესის ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ, გადაიხედოს დენის ტარიფები, შემცირების მიზნით; პარალელურად, განვითარდეს ალტერნატიული ენერჯის სტრატეგიის ობიექტების მშენებლობა.

ჰიდრორესურსები ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეა, რომლის ათვისება წარმოადგენს ეკონომიკის უპირველეს ამოცანას, მაგრამ მისი ათვისება უნდა მოხდეს რაციონალურად, თანამედროვე ტექნოლოგიების, გამოცდილებისა და რაც მთავარია, გარემოზე მინიმალური ზემოქმედებით და მოსახლეობის სოციალური პრობლემების გათვალისწინებით.

პარალელურად, მნიშვნელოვანია, ალტერნატიული ენერჯის სტრატეგიის (ქარის, მზისა და გეოთერმული ენერჯის) ობიექტების მშენებლობა, რომელთა განვითარებას შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა. ქარის ენერჯის პოტენციალის ათვისება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, სეზონურობიდან გამომდინარე, ზამთრის პერიოდის იმ თვეებში, როცა საქართველოს წყლის რესურსების პოტენციალი ეცემა. არსებული კვლევების საფუძველზე, საქართველოში წყლისა და ქარის რესურსების ჯამური სავარაუდო პოტენციალი 16.5 ათასი მგვტ, ხოლო მათი საშუალო წლიური გამოიმუშავება – 54-55 მლრდ. კვტ.სთ.

საქართველოს ქარის ენერჯის პოტენციალი შეფასებულია 4 მლრდ. კვტ.სთ-დ, რის მიხედვითაც ტერიტორია დაყოფილია 4 ზონად:

1. მაღალი სიჩქარეების – სამხრეთ საქა-

რთველოს მთიანეთი, კახაბერის ვაკე და კოლხეთის დაბლობის ცენტრალური ნაწილი – 5 ათასი სთ/წნ.

2. ნაწილობრივ მაღალი სიჩქარეებისა და დაბალსიჩქარიანი – მტკვრის ხეობა, ქ. მცხეთიდან რუსთავამდე, ჯავახეთის სამხრეთი ნაწილი და შავი ზღვის სანაპირო, ფოთიდან კახაბერის ვაკემდე – 4,5-5 ათასი სთ/წნ.

3. დაბალსიჩქარიანი, ქედების ეფექტიანი ექსპლუატაციის ზონა – გაგრის ქედი, კოლხეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობები.

4. დაბალსიჩქარიანი, ქედების შეზღუდული გამოყენების – იორის ზეგანი და სიონის წყალსაცავი.

გამოვლენილია შემდეგი პერსპექტული მოედნები (სიმძლავრე, მგვტ/წლიური გამო-მუშავება, მლნ კვტ.სთ), რომელთა ჯამური სიდიდეა – 1450/4160, მათ შორის: ფოთი – 50/110; ჭოროხი – 50/120; ქუთაისი – 100/200; მთა საბუეთი I – 150/450; მთა საბუეთი II – 600/2000; გორი-კასპი – 200/500; ქარავანი – 200/500; სამგორი – 50/130; რუსთავი – 50/150.

ასევე მნიშვნელოვანია, საქართველოში არსებული მზის ენერჯისა და გეოთერმული რესურსების პოტენციალი. საქართველოს უმეტეს რაიონებში მზის ნათების წლიური ხანგრძლივობა 250-დან 280 დღემდე მერყეობს, რაც, წელიწადში დღის ხანგრძლივობის მიხედვით, დაახლოებით, 1900-2200 საათს შეადგენს. საქართველოს ტერიტორიაზე მზის წლიური ჯამური რადიაცია, რეგიონების მიხედვით, მერყეობს 1250-1800 კვტ.სთ/მ<sup>2</sup> დიაპაზონში, ხოლო მზის საშუალო რადიაცია უტოლდება 4,2 კვტ.სთ/მ<sup>2</sup> დღეში. მზის ენერჯის სრული წლიური პოტენციალი საქართველოში შეფასებულია 108 მგვტ-ით, რაც წლიურად 34 ათასი ტონა პირობითი სათბობის ექვივალენტურია. საქართველოს პირობებში, მთაგორიან ადგილებში მდებარე, ძნელად მისასვლელი და მცირედ დასახლებული სოფლების, გეოლოგიური პარტიების, მწყემსების, სამთამადნო სამუშაოების, სამხედრო-საველე პირობების, კავშირგაბმულობის (სატელეკომუნიკაციო) სარეტრანსლაციო სადგურების, საავარიო სიტუაციების ენერჯით მომარაგების ოპტიმალურ ვარიანტს მზის ენერჯის გარდამქმნელები წარმოადგენს.

საქართველოს თერმომინერალური წყლების საექსპლუატაციო მარაგები შეადგენს 126 ათას კუბ.მ/დღე-ღამეში, რაც არსებული პროგნოზული მარაგების 20%-ია. ამ რესურ-

სის თერმომინერალური პოტენციალი, 500 ათასი ტონა პირობითი სათბობის, ან 500 მლნ კუბ.მ სანვაი აირის ექვივალენტურია. სამწუხაროდ, ამ რესურსის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია ათვისებული.

3. ატომური ენერჯეტიკის განვითარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ატომური სათბობის სიიაფე. პირობით სათბობზე გადაანგარიშებისას, ატომური სათბობის მოპოვებისათვის განეული კაპიტალური ხარჯები, 2-ჯერ ნაკლებია ქვანახშირის მოპოვებისათვის საჭირო კაპდაბანდებებზე.

2012 წელს მსოფლიოში ელექტრონარმოება სანვავის მიხედვით გამოიყურებოდა შემდეგნაირად: ქვანახშირი (40.4%), ბუნებრივი გაზი (22.5%), ჰიდრო (16.2%), ბირთვული (10.9%), ნავთობი (5.0%), დანარჩენი (5.0%).

ატომური ელექტროსადგური (აესი), მიუხედავად იმისა, რომ გამართული მუშაობის შემთხვევაში გარემოში არ გამოიყოფს დიდი რაოდენობით მომნამვლელ ნივთიერებას, მაინც დიდი ზიანის მომტანი გახდა მთელი მსოფლიოსთვის.

ჩერნობილის აესის ავარია 1986 წლის 26 აპრილს მოხდა, რამაც გამოიწვია აფეთქება და ელექტროსადგურის ძლიერი დაზიანება. იქ არსებული რადიაცია გავრცელდა ატმოსფეროში, უამრავი ადამიანი დაიღუპა, მრავალი დასხივდა და მოინამლა. რადიოქტიური დაბინძურება გავრცელდა ევროპაში და საქართველოშიც შემოაღწია. რადიაციული ფონი გაიზარდა: ბათუმში 500 ათასჯერ, კოლხეთის დაბლობზე – 100 ათასჯერ, აფხაზეთში – 50 ათასჯერ, ხოლო დანარჩენ ტერიტორიაზე, ლაქების სახით. გაიზარდა დაავადებების რაოდენობა: ანემია – 47%-ით, ენდოკრინული – 24%-ით, დიაბეტი – 42%-ით, ავთვისებიანი – 4,1%-ით, ლეიკოზი – 2,5-ჯერ. სსრკ-მ, 1986-1988 წლებში გაყიდა რადიაციული ხორცი. გორის ხორცკომბინატში შემოიტანეს 318 ტ რადიაციული ხორცი, მაგრამ 1990 წელს, ეროვნული ძალების პროტესტის შემდეგ, უკან დააბრუნეს, თუმცა ნაწილის რეალიზაცია მაინც მოხდა თბილისისა და ბათუმის ხორცკომბინატებიდან. დასხივდა რძე, სიმინდი, ჩაი, კენკრა, სოკო. შავიზღვისპირეთში მხოლოდ 5 წლის შემდეგ მოხდა მდგომარეობის სტაბილიზაცია.

იაპონიაში მომხდარმა კატასტროფამ, ევროპა აეს-ებზე უარის თქმის საკითხზე დააფიქრა. ევროკავშირის ენერჯეტიკის მინისტრებმა უკვე მიიღეს გადაწყვეტილება,



რომ ატომურ ელექტროსადგურებს დროებით გააჩერებენ და მათ საიმედოობას შეამოწმებენ. გერმანიაში იმ 7 აესის მუშაობა შეაჩერეს, რომლებიც 1980 წლამდეა შესული ექსპლუატაციაში. ბირთვული ენერჯის პროგრამა შეაჩერეს: შვეიცარიამ, ვენესუელამ, კორეამ, ყაზახეთმა და ლიგვამ. აშშ-ში მსგავს ზომებს ჯერჯერობით მხოლოდ განიხილავენ. რუსეთი და პოლონეთი პროგრამის გადახედვას არ აპირებენ.

ექსპერტები ასახელებენ მსოფლიოში 5 ატომურ ელექტროსადგურს, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს, ესენია: დიდი ბრიტანეთის ატომური წყალქვეშა ფლოტი, სომხეთის მენამორის, რუმინეთის – ჩერნავოდის, რუსეთის – ლენინგრადისა და მიჩიგანის (აშშ) ენრიკო ფერმის სახელობის აეს-ები.

სომხეთის, მენამორის აეს-ი აშენდა 1970 წელს. იგი აწარმოებს სომხეთის ელექტროენერჯის 40%-ს, მაგრამ მოძველებულია და უსაფრთხოების თვალსაზრისით უამრავი ნაკლი აქვს. 1988 წლის მიწისძვრის შემდეგ, აეს-ი დროებით დაიხურა, მაგრამ თურქეთისა და აზერბაიჯანის ბლოკადის გამო, რომელმაც ქვეყანაში ენერჯის უკმარისობა გამოიწვია, სომხეთის მთავრობამ, 1993 წელს ელექტროსადგურის ერთი რეაქტორი ისევ აამუშავა. მეორე რეაქტორი ექსპლუატაციაში გაუშვეს 1995 წელს. მენამორის აეს-ის რესურსი უკვე ამონურულია, ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება 1000 ან 1200 მგვტ სიმძლავრის ახალი აეს-ის მშენებლობაზე, რომლის მშენებლობა 5,2 - 7,2 მილიარდი დოლარი ეღირება.

საბჭოთა კავშირის დროს, აეს-ის მშენებლობა საქართველოში, გალის რაიონის სოფელ ნაბაკევი იგეგმებოდა, რომელიც არ განხორციელდა. 1959 წელს შევიდა ექსპლუატაციაში მცხეთის კვლევითი ბირთვული რეაქტორი, რომელიც 1990 წელს იქნა ლიკვიდირებული. საბედნიეროდ, საქართველოში აესის მშენებლობა არ იგეგმება, თუმცა საფრთხე მაინც არსებობს სომხეთიდან, ირანიდან და თურქეთიდან.

4.1955-1977 წლებში, საქართველოს გეოლოგიურმა სამმართველომ, ბოლნისის მადნიან რაიონში გამოავლინა სამრეწველო მნიშვნელობის ოქროსშემცველი სპილენძ-ბარიტ-პოლიმეტალური საბადოები: მადნეული, დავით-გარეჯი, წითელი სოფელი და საყდრისი.

XX საუკუნის 70-იან წლებში, მადნეულის საბადოდან დაიწყო სპილენძის სამრეწველო

მოპოვება. მოგვიანებით, 90-იანი წლების დასაწყისში ამ საბადოს კუდებიდან (ნარჩენები) ოქროს მოპოვება განახორციელა ქართულ-ავსტრალიურმა კომპანიამ „ბოლნისი გოულდმა“. ამჟამად ბოლნისის რაიონის საბადოების ლიცენზიას ფლობს და ოქროსა და სხვა მეტალების მოპოვებას ანხორციელებს კომპანია „RMG GOLD“, რომელმაც დაიწყო საყდრისის საბადოს დამუშავება. საყდრისის მალაროს თარიღი, განსაზღვრული რადიოკარბონული ანალიზით, მერყეობს: ძვ.წ. 3100 წ.-დან – 2800 წ.-მდე (STOLLNER ET AL., 2008; ლამბაშიძე და სხვ., 2010) და წარმოადგენდა კულტურული მემკვიდრეობის 5 ათასი წლის ძეგლს. საქართველოს კულტურის სამინისტრომ ჩათვალა, რომ 2006 წელს, ძეგლს სტატუსი თავიდანვე კანონდარღვევით მიანიჭეს, რადგან ეს საბადო სპილენძის მოპოვებელია და არა ოქროსი და ამის საფუძველზე, საყდრისის საბადოს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი მოუხსნა. დღეს ფაქტიურად, საბადოზე მიმდინარეობს როგორც სპილენძის, ასევე ოქროს მოპოვება.

შპს „RMG GOLD“ ამჟამად ფლობს სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების ნებართვას, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2014 წლის 3 აპრილის №1-193 ბრძანებით, დამტკიცებული, №15 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესაბამისად.

მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ გარდა საყდრისის საბადოს მადნის გადამუშავებისა, შპს „RMG GOLD“ აგრეთვე გადაამუშავებს შპს „ჯორჯიან გოლდ კომპანის“ სალიცენზიო კონტურში არსებულ, ბნელი ხევის საბადოდან მოპოვებულ მადანს. ამისთვის საჭირო იქნება არსებული, საყდრისის საბადოს მადნის გადამუშავებისათვის გროვული გამოტუტვის საწარმოო მოედნების გაფართოება, რომლის პროექტი ხორციელდება სოფ. დიდი დმანისის მიმდებარედ, მდ. მაშავერას მარცხენა შენაკადის, კვირაცხოველის ღელის მარცხენა ფერდობის ფარგლებში. 2017 წელს, შპს „აი-ეს-ჯი კომპანის“ მიერ შედგენილ იქნა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში – „საყდრისის გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის ექსპლუატაციის პირობების შეცვლა – მოედნის გაფართოება“.

„RMG GOLD“-ის მიერ, ჩატარებული სამუშაოების შედეგად, საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოს დიდი ნაწილი უკვე აღარ არსებობს, იგი განადგურებულია. კომპანია, სა-

მუშაობებს ახორციელებს კარიერული წესით, აფეთქებებით და ბულდოზერებით. მიმდინარეობს გარემოს დეგრადაცია, ატმოსფერო დაბინძურებულია, ნიადაგი, რომლის აღდგენისათვის ათასწლეულებია საჭირო, განადგურებულია. ჰაერში მრავლადაა მტვრის ნაწილაკები, წყალი რომლითაც მოსახლეობა სარგებლობს, ციანიდებით და სხვა მძიმე მეტალებით არის გაჯერებული. განადგურდა ტყის მასივი. მდ. მაშავერა და სარწყავი არხები ციანიდებით და სხვა მძიმე მეტალებით არის დაბინძურებული. მძიმე მეტალები ხვდება გრუნტის წყლებში და შემდეგ, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში. დმანისის, ბოლნისისა და მარნეულის მუნიციპალიტეტებში მოწეული ხილ-ბოსტნეული, რომელსაც ვიძენთ ბაზრებში, დაბინძურებულია ციანიდებითა და მეტალებით.

საქართველოს გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტმა, კომპანია „RMG GOLD“, შეუქმნეს სასათბურე პირობები. ეს არცაა გასაკვირი, რადგან პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტის თავჯდომარე, კახა კუჭავა, 2015–2016 წლებში იყო ჯორჯიან გოლდის შვილობილი კომპანიის გენერალური დირექტორი, ხოლო მისი ოჯახის წევრი და უახლოესი გარემოცვა „RMG GOLD“-ის, შვილობილ კომპანიებში დღემდე საკვანძო თანამდებობებს იკავებენ.

5. საქართველოს სამთომადნო მეურნეობის დარგებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია მანგანუმის მადნის მოპოვება-გამდიდრებას. ჭიათურის საბადო გამოირჩევა მანგანუმის მაღალი ხარისხის შემცველობითა და მარაგით, რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა.

შპს „ჯორჯიან მანგანუმის“ მფლობელია ამერიკული კომპანია „ჯორჯიან ემერიქან ელიოზი“, რომელიც აერთიანებს სამ კომპანიას – ჭიათურ მანგანუმს, ზესტაფონის ფეროსა და ვარციხეჰესს. მანგანუმის მადნის მოპოვება-გამდიდრების ტექნოლოგიური პროცესი მიმდინარეობს ბურღვა-აფეთქებით, ხდება მადნის მონგრევა, სანგრევის გამაგრება და მადნის ტრანსპორტირება გამამდიდრებელ სანარმოში, შემდეგ, მადნის პირველადი და მეორადი მსხვრევა და გამდიდრება.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფლებში რგანსა და თაბაგრებში ეკოლოგიური კატასტროფაა. „ჯორჯიან მანგანუმის“ მიერ ჭიათურის საბადოს დამუშავება ხდება

ეკოლოგიური ნორმების დარღვევით. კომპანიამ, 2014 წელს, თავისი სალიცენზიო კონტრუები სამ საშუამავლო კომპანიის გადასცა, რომლებმაც თავის მხრივ, კიდევ სხვა კომპანიებს მიჰყიდეს დამუშავების უფლება. „ჯორჯიან მანგანუმი“, რამდენიმე მოქმედ მიწისქვეშა და კარიერული ტიპის მაღაროს ამუშავებს, საიდანაც 65% ღია მაღაროებია. ჭიათურის სოფლების სხვადასხვა არეალზე, მიწისქვეშა მაღაროებს ამუშავებს 40-მდე ლიცენზირებული კონტრაქტორი.

საბადოს ყველაზე ინტენსიური დამუშავება ხდება სოფელ რგანის მიდამოებში, სადაც პრიმიტიულად მუშაობენ მცირე კოოპერატივები. ისინი უსისტემოდ თხრიან და შემდეგ ღვთის ანაბრად ტოვებენ სამთო გამონამუშევრებს. მიტოვებული მიწისქვეშა გამონამუშევრების გამო, სახლების უმეტესობა დეფორმირებულია, რადგან მაღაროების გამაგრებები დროთა განმავლობაში იშლება, რაც იწვევს თალის ნგრევას.

მაღაროებსა და გამამდიდრებელ სანარმოში კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ტექნოლოგიური ოპერაციების პროცესში გამოიყოფა დასაშვებ კონდიციაზე მაღალი სანარმოო მტვერი, მუშები იმყოფებიან მავნე ქიმიური და ფიზიკური ფაქტორების ზემოქმედების ქვეშ, რაც ქმნის შრომის პროფესიული დაავადებების განვითარების წინაპირობას. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2005 წელს დაავადდა 28 მუშა, მათ შორის 4 ქალი (3 – „ჭიათურმანგანუმში“, 1 – ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანაში), 2006 წელს – 25 მუშა, მათ შორის 18 – „ჯორჯიან მანგანუმში“, 2007 წელს – 2 მუშა, „ჯორჯიან მანგანუმში“. 2008 წლიდან აღრიცხვა აღარ წარმოებს, რადგან პროფდაავადებებზე სახელმწიფო პენსიები აღარ გაიცემა.

სშირია მეშახტეთა ტრამეები და დაღუპვა. 2017 წლის 19 სექტემბერს, ჭიათურის მაღარო „პერევისა“-ში, რომელიც „სტალინი“-ს მაღაროს სახელით არის ცნობილი, ორი ამფეთქებელი დაშავდა. სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას, ფეთქებადი მასალის გამოყენების დროს, 26 წლის ზურაბ გამეზარდაშვილმა მხედველობა ორივე თვალზე, ხოლო 50 წლის ტარიელ ბინაძემ, ცალ თვალზე 100%-ით დაკარგეს. ასევე, აღენიშნებათ სხეულის დამწვრობა. 2018 წლის 26 მარტს, ჭიათურაში, შუქრუთის მაღაროს ჩამონგრევის შედეგად გარდაიცვალა 45 წლის ზაზა აბრამიშვილი.

ჭიათურის მუნიციპალიტეტში, ატმოს-



ფერო – დაბინძურებულია, ჰაერში მარგანეცის სუნი ტრიალებს, რის გამოც, სუნთქვაჭირს. მცენარეული საფარი დეგრადირებულია, ნაბლნარი და მუხნარი გაჩანაგებულია, მდ. ყვირილა დაბინძურებულია, სადაც მარგანეცით გაჯერებული შავი სითხე მოედინება. ადგილობრივი მოსახლეობა დაავადებულია, გავრცელებულია სხვადასხვა სნეულებები: ბრონქიტი, სასუნთქი გზებისა და საჭმლის მომწელებელი ტრაქტის დაავადებები. სასმელი წყალი დაბინძურებულია ფეკალიებით, მეზოფირული ბაქტერიებითა და კოლიბაქტერიებით. ჭიათურლები, ქალაქიდან და იმ 12 სოფლიდან გასახლებას ითხოვენ, სადაც სიმსივნით დაავადებულთა რაოდენობამ სამჯერ იმატა. რადგან „ჯორჯიან მანგანეზის“ მიერაა გაცემული ნებართვები ქვეკონტრაქტორებზე, მას ეკისრება პასუხისმგებლობა მაღაროების ტექნიკურ მომსახურებაზე და წიაღისეულის მოპოვების შემდეგ, ტერიტორიის რეკულტივაციაზე. სამწუხაროდ, „ჯორჯიან მანგანეზი“ თავს არიდებს ამ პროცესს, ხოლო გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვერ, ან არ ახორციელებს შესაბამის კონტროლს.

6. კომპანია „საქნახშირი ჯი-აი-ჯი ჯგუფი“ ამუშავებს ტყიბულის საბადოს. შახტებში, სამთო მუშები ხშირად ღებულობენ დაზიანებებს და ადგილი აქვს სიკვდილიანობას. 2014 წლის 28 იანვარს, ტყიბულის მინდელის სახელობის შახტის ნულოვან ჰორიზონტზე მოპოვებული მადნის ტრანსპორტირებისას, დაიღუპა შახტის უფროსის მოადგილე, ტარიელ ქასრაშვილი, 2017 წლის 9 მაისს – 4 მაღაროელი, ხოლო 27 ოქტომბერს, მე-6 უბნის გვირაბამყვანი, დავით ფორჩხიძე. 2018 წლის 05 აპრილს, ამავე შახტაში მოხდა კიდევ ერთი რიგითი კატასტროფა. შახტის ერთ-ერთ გვირაბში, კედლების დეფორმაციის შედეგად, ჩამოიშალა თალი. ჩამონგრევის შედეგად, დაზიანებები მიიღეს შახტაში მყოფმა სამთო ოსტატმა და 2 მუშამ, ხოლო 6 მუშა დაიღუპა, რომელთა შორის ერთი ოსტატ-ამფეთქებელია, მეორე – სამთო ოსტატი, ხოლო 4 – სამთო მუშა. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, დაიხურა შახტა და მიმდინარეობს გამოძიება.

7. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში, ელენერგის დაზოგვის მიზნით, გაზის გამწმენდი ფილტრები სისტემატიურად არ მუშაობს. ქარხანაში ამუშავებენ იმპორტულ, უსერტიფიკატო, ტყვიის შემცველ მარგანეცის მადანს, რომლის გამოყენება სხვა ქვეყ-

ნებში აკრძალულია. მუშა-მოსამსახურეები მუშაობენ დაბინძურებულ გარემოში, ადგილი აქვს სიკვდილიანობას (გორჩა სამხარაძე, 2012 წელს).

უარყოფითი შედეგი გამოიღო, საქართველოს პარლამენტის მიერ, 2012 წლის 20 მარტს კანონში „გარემოს დაცვის შესახებ“, მიღებულმა შესწორებამ, რომლის თანახმად, თუ საწარმო ან პიროვნება აბინძურებს გარემოს, კომპენსაციის გადახდის შემთხვევაში, იგი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან.

8. საქართველოში განხორციელდა სამთავრობო რეორგანიზაცია. გაუქმდა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, როგორც სახლმნიფო მმართველობითი ინსტიტუცია და გაერთიანდა სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, ხოლო მისი ფუნქციები გადანაწილდა სხვადასხვა უწყებებსა და სამინისტროებზე.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა რეორგანიზაცია დაასაბუთა ევროპის რიგი ქვეყნების გამოცდილებით, სადაც მისი მტკიცებით, ესპანეთში, ავსტრიაში, ჰოლანდიაში, პორტუგალიაში, საფრანგეთში, იტალიასა და ბულგარეთში, გაერთიანებულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროები.

მართლაც, ესპანეთში ფუნქციონირებს სოფლის მეურნეობის, სურსათისა და გარემოს დაცვის სამინისტრო, ავსტრიაში – სოფლის, სატყეო მეურნეობის, გარემოსა და წყლის მეურნეობის სამინისტრო. ზემოთჩამოთვლილ დანარჩენ ქვეყნებში, სულ სხვა სურათია: ჰოლანდიაში ფუნქციონირებს ინფრასტრუქტურისა და გარემოს დაცვის სამინისტრო; პორტუგალიაში – საზოგადოებრივი სამუშაოებისა და გარემოს დაცვის სამინისტრო; საფრანგეთში – ეკოლოგიის, მდგრადი განვითარების, ტრანსპორტისა და საბინაო მშენებლობის სამინისტრო; ბულგარეთში – გარემოსა და წყლის რესურსების სამინისტრო; ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში – გარემოს დაცვის, ან ბუნებრივი რესურსებისა და ეკოლოგიის სამინისტროები.

რას მოგვიტანს ამგვარი გაერთიანება? ამ რეფორმით მოხდება გარემოსდაცვითი პოლიტიკის უწყებრივი ინტერესებისადმი დაქვემდებარება. სოფლის მეურნეობას ისევე სჭირდება ეკოლოგიური კონტროლი, როგორც სხვა დარგებს. ე.ი. სოფლის მეურნეობაში მიმდინარე სამუშაოების კონტროლი დაეკისრება ისევე ამ სამინისტროს, რაც ნონ-სენსია.

დღეს არსებული გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობა შედეგა შედეგი სპეციალობის თანამშრომლებისაგან: ბიზნესის მართვა (მინისტრი), სამართალმცოდნე და ეკონომისტი (მინისტრის პირველი მოადგილე და მინისტრის მოადგილეები), ფიზკულტურის მასწავლებელი და ინჟინერი (მინისტრის მოადგილე).

თითქმის ანალოგიური მდგომარეობა პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტშიც, რომელიც წარმოდგენილია სამართალმცოდნეებით (კომიტეტის თავჯდომარე, კახაბერ კუჭავა და კომიტეტის წევრები, გოგა გულორდავა, კობა ლურსმანაშვილი და ედიშერ თოლორაია), სამდინარეო ნაგებობათა და ჰესების მშენებლობა (პირველი მოადგილე, ზაზა ხუციშვილი), ჟურნალისტი (მოადგილე, ენძელა მაჭავარიანი), დიპლომატია და სამართალი (თინათინ ბოკუჩავა და ოთარ დანელია), ფინანსისტი (გოგი მეშველიანი), მათემატიკოსი (აკაკი ბობოხიძე), ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება (ზაზა კედელაშვილი), ავტომობილები და მისი მეურნეობა (ირაკლი ხახუბია) და სახმელეთო ჯარის მართვა (ემზარ კვიციანი). მხოლოდ კომიტეტის ორ წევრს აქვს გარკვეული შეხება ეკოლოგიასთან: გიორგი გაჩეჩილაძეს, რომლის სპეციალობაა ხმელეთის ჰიდროლოგია და სულხან მახათაძეს – ჰიდროლოგია და საინჟინრო გეოლოგია. ე.ი. გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტში, 22 პასუხისმგებელი პირიდან, მხოლოდ 2 პიროვნებას აქვს შეხება ეკოლოგიასთან. ამ ნაბიჯით, საქართველოს მთავრობამ, ფაქტიურად უარი განაცხადა გარემოსდაცვითი პოლიტიკის განხორციელებაზე.

შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში მძიმე ეკოლოგიური სურათია. ნავთობსადენი და გაზსადენი წარმოადგენს საშიშროებას ბორჯომის უნიკალური საბადოსათვის. მადნეულსა და საყდრისში მიმდინარეობს საბადოს უსისტემო, არაკონტროლირებადი დამუშავება, გარემოს დეგრადაცია, ატმოსფერო დაბინძურებულია, ნიადაგი, რომლის აღდგენისათვის ათასწლეულებია საჭირო, განადგურებულია. მდ. მაშავერა და სარწყავი არხები ციანიდებით და სხვა მძიმე მეტალებით არის დაბინძურებული. მძიმე მეტალები ხვდება გრუნტის წყლებში და შემდეგ, სასოფლო-სამეურნეო სავარგულეებში. დმანისის, ბოლნისისა და მარნეულის

მუნიციპალიტეტებში მოწეული ხილბოსტ-ნეული, დაბინძურებულია ციანიდებითა და მეტალებით. ჭიათურის მუნიციპალიტეტში, ატმოსფერო და მდ. ყვირილა დაბინძურებულია, სადაც მარგანეცით გაჯერებული შავი სითხე მოედინება, მცენარეული საფარი დეგრადირებულია, ადგილობრივი მოსახლეობა დაავადებულია სხვადასხვა სნეულებებით. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში, გაზის გამწმენდი ფილტრები მუშაობს შეფერხებებით, ამუშავებენ უსერტიფიკატო, ტყვიის შემცველ, იმპორტულ მარგანეცის მადანს, მუშა-მოსამსახურეები მუშაობენ დაბინძურებულ გარემოში, ადგილი აქვს სიკვდილიანობას.

საქართველოში აესის მშენებლობა არ იგეგმება, თუმცა საფრთხე მაინც არსებობს მეზობელი ქვეყნებიდან: სომხეთიდან, ირანიდან და თურქეთიდან, სადაც იგეგმება ახალი აესების მშენებლობა. მიგვაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უნდა დააფიქსიროს თავისი პოზიცია აღნიშნული ფაქტის გამო.

ქ. თბილისს არა აქვს განვითარების გენერალური გეგმა, რის გამოც, მიმდინარეობს უსისტემო მშენებლობები, ძირითადად, ქალაქის ცენტრში და გეოდინამიკური თვალსაზრისით საშიშ ფერდობებზე, სადაც განვითარებულია მეწყრები. ასეთი უბნებია მდ. მტკვრის შენაკადებისა და ხევების ქალების, მახათისა და მამადავითის ფერდობები, სადაც შენდება „მთაწმინდის პანორამა“ და სხვა უფუნქციო ნაგებობები, გაჰყავთ გზები და იჭრება ნარგავები. დიდი შეტევაა „ვაკის პარკზე“, 9 აპრილისა (ყოფილი კომუნარების) და ვარდების (ყოფილი გორკის) ბაღებზე, სადაც არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დიდი ძალისხმევის შემდეგ იქნა შეჩერებული უკანონო მშენებლობები. გეოლოგიური და ჰიდროლოგიური პირობების გაუთვალისწინებლად იქნა გაყვანილი საავტომობილო გზა მდ. ვერეს ხეობაში, გვირაბებმა ვერ გაატარეს კლდეზვავით გამოწვეული ღვარცოფი, სრულად დაიტბორა ხეობა, დაიღუპა მოსახლეობა. სტიქიის შემდეგ აღადგინეს გზა ძველ ნიშნულებში, რომელიც ისევ რჩება საშიშროების ზონად. ქ. თბილისის ატმოსფერული ჰაერი აღიარეს ყველაზე დაბინძურებულად მსოფლიოში, განსაკუთრებით მისი პრესტიჟული უბნები, ვაკე და სოლოლაკი, რადგან ამ ტერიტორიაზე მუდმივი საცობებია და იგი ნაკლებად ნიავედება. დაკონსერვდა რკინიგზის შემოვლითი გზის მშენებლობა და ხიდი მდ. მტკვარზე.

საქართველოში გაუქმდა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, როგორც სახელმწიფო მმართველობითი ინსტიტუცია. პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტი და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამსახური დაკომპლექტებულია არაპროფესიონალური კადრებით. თსუ-ში არის ეკოლოგიის მიმართულება, რომელსაც ყოველწლიურად ამთავრებს ათეულობით ახალგაზრდა; რადგან არ ხდება ამ კადრების გამოყენება საქართველოში, მათი უმეტესობა აგრძელებს სწავლასა და მოღვაწეობას საზღვარგარეთ.

ქვეყანას არ გააჩნია ენერგოსტრატეგია, პროექტები მორგებულია ინვესტორის ინტერესებზე, არ არის გათვალისწინებული ქვეყნის რთული გეოლოგიური და გეოდინამიკური პირობები და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები. არსებული

პროექტებით მაღალმთიან რელიეფში გათვალისწინებულია წყალსატევების მშენებლობა, დიდი ტერიტორიების დატბორვა, რიგი სოფლების გადასახლება, კლიმატის ხელოვნური შეცვლა, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუარესება, რაც იწვევს მოსახლეობის პროტესტს. ნაკლები ყურადღება ექცევა ეკოლოგიურად სუფთა, ალტერნატიული ენერგოსისტემების (ქარის, მზისა და გეოთერმიული ენერჯის) ობიექტების მშენებლობას.

მდგომარეობიდან გამოსავალია: ქვეყნის ნოოსფერული განვითარება, მწარმოებლური ძალების სპონტანური, სტიქიური, არაკონტროლირებადი ზემოქმედების შეცვლა ახალი შეხედულებებით, რიგითი მოქალაქიდან უმაღლეს ხელმძღვანელამდე.

### რეზიუმე

საქართველოს ეკოლოგიური საფრთხეებია: 1) ნავთობსადენი და გაზსადენი, რომლებიც გადიან გეოდინამიკურად აქტიურ რეგიონში – ბორჯომის მინერალური წყლის საბადოზე; 2) ენერგოსტრატეგიის არ არსებობა ქვეყანაში; 3) სომხეთის ამორტიზებული ატომური ელექტროსადგური და ახალი აესების მშენებლობა სომხეთში, ირანსა და თურქეთში; 4) ბოლნისის რაიონის სპილენძ-ბარიტ-პოლიმეტალური, ჭიათურის მანგანუმის, ტყიბულის ნახშირის საბადოებისა და ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხნის, გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება, მუშა-მოსამსახურეების სისტემატიური დაღუპვა, ხშირი ტრამვები და მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუარესება; 5) ქ. თბილისის განვითარების გენერალური გეგმის არ არსებობა; 6) გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, როგორც სახელმწიფო მმართველობითი ინსტიტუციის გაუქმება.

მდგომარეობიდან გამოსავალია: ქვეყნის ნოოსფერული განვითარება, მწარმოებლური ძალების სპონტანური, სტიქიური, არაკონტროლირებადი ზემოქმედების შეცვლა ახალი შეხედულებებით, რიგითი მოქალაქიდან უმაღლეს ხელმძღვანელამდე.

### ANNOTATION

Georgia's ecological threats are: 1) Oil and gas pipelines passing through the geodynamically active region on borjomi mineral water deposit; 2) Absence of the energy strategy in the country; 3) Amortized nuclear power plant of armenia and construction of new nuclear power plants in armenia, iran and turkey; 4) Negative impact on the environment of bolnisi copper-barite-polyethylene, chiatura manganese, tkibuli coal mines and zestafoni ferroalloy factory, systematic death of workers, frequent injuries and deterioration of public health; 5) The absence of a general development plan of tbilisi; 6) Cancellation of the ministry of environment and natural resources as a state management institution.

Solution: noospheric development of the country, replacement with new views, spontaneous, uncontrolled influence of production forces, from the average citizen to the top manager.



# ადგილობრივ ორბანიზაციებში კულტურული ღირებულებების ზეგავლენა მმართველობით სტილზე

## მარიამ ყიფშიძე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

**საკვანძო სიტყვები:** კულტურული ღირებულებები, კულტურული თავისებურებანი, კულტურათაშორის ურთიერთობები, ადგილობრივი საქმიანი კულტურა, მმართველობითი სისტემა, დამოკიდებულება სიმდიდრის მიმართ, ძალაუფლების დისტანციის მაჩვენებელი, კოლექტივიზმი, ინდივიდუალიზმი, საქმიანი კულტურის ქალურობა, პოლიაქტიური კულტურა, დუალიზმი.

კულტურული თავისებურებების მართვლობით სტილზე გავლენის საკითხის აქტუალურობა ამარტივებს ადგილობრივ ორგანიზაციებში განსხვავებული კულტურის მქოდე მხარეებს შორის ურთიერთობას. დადებით გავლენას ახდეს გარე და შიდა, ორმხრივი და მრავალმხრივი, ფორმალური და არაფორმალური, მოკლევადიანი და გრძელვადიანი საქმიანი ურთიერთობების პროცესის სწორ ფორმირებაზე. ყოველივე ეს განსაზღვრავს განსხვავებული კულტურის წარმომადგენელ ორ კომპანიას შორის ნებისმიერი სახის ურთიერთობის ეფექტიანობას.

მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესების გავლენა საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებსაც დაეცყო, თუმცა ადგილობრივი კომპანიების მენეჯმენტზე გარკვეულწილად მაინც აისახება რევოლუციამდელი, სსრკ-ს დამახასიათებელი ღირებულებები საქმიანი იურთიერთობების ქართულ სტილზე. ქართული თანამედროვე რეფორმების პროცესში, საბჭოთა კავშირის მკაცრე რეგულაციების დაშლასთან ერთად, მმართველობითმა ქცევამ შესამჩნევი ტრანსფორმაცია განიცადა და ხელი შეუწყო საქმიანი ურთიერთობების წარმოების პროცესში ინოვაციური ტექნოლოგიების გააქტიურებას. ვინაიდან ნებისმიერი ბიზნეს ურთიერთობის ფორმირების ძირითად საფუძველს წარმოადგენს პიროვნული ღირებულებები, ამან განაპირობა გარკვეული შეფერხება ბიზნეს სფეროში თანამედროვე მიდგომებზე სწრაფად რეაგირებასთან მიმართებაში.

პრაქტიკოსებმა და მკვლევარებმა გააკეთეს დაკვირვების შედეგების ანალიზი,

სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგად მიღებულ მონაცემებზე, რომელიც ეფუძნება ისეთი ფუნდამენტური საკითხების ფორმირებას, რომელიც გამომდინარეობს ქართული მმართველობითი სტილისათვის დამახასიათებელ მენტალიტეტის ძირითადი თავისებურებებიდან. თითოეულ საკითხს განვიხილავთ არა ცალკეულ კომპონენტად, არამედ საქმიანი ურთიერთობების წარმოების პროცესის სამ ძირითად ეტაპთან მიმართებაში: საქმიანი ურთერთობების საწყისი ეტაპი, განვითარების ეტაპი და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ეტაპი. აღნიშნული იქნება ქართული მმართველობითი სტილისათვის დამახასიათებელი სუსტი და ძლიერი მხარეები, რაც საბოლოო ჯამში განსაზღვრავს ზოგადი მმართველობითი სისტემისათვის დამახასიათებელი ღირებულებების ფორმირებას.

საერთაშორისო, გლობალიზაციის პირობების ადაფტირებამ ქართულ რეალობაზე, გამოიწვია მმართველობითი ქცევის განვითარების ნელი ტემპი, შესაბამისად მნიშვნელოვანი ცვლილებები ფასეულობათა სისტემაში. ქართული მმართველის სისტემას განვიხილავდასავლურ და აღმოსავლურ კურტურასტან მიმართებაში, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ წარმოადგენს ორი ნამყვანი კულტურის კომბინირებულ ვარიანტს. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ქართული ბიზნესი მიმართულია დასავლური კულტურისაკენ და აქტიურად მიმდინარეობს ამერიკანიზაციის პროცესებს საქმიანი ურთიერთობების სფეროში, ქართული ბიზნეს ურთიერთობები კვლავ განიცდის აღმოსავლური კულტურის მსგავსად ტრადიციული ელემენტების, ადამიანური გრძნობების, სურვილების და ღირებულებების ზეგავლენას. უნდა აღინიშნოს, რომ ვდგავართ მთავარი პრობლემის წინაშე, რომელიც ძირითადად საფუძვლად უდევს საქმიანი კულტურების შეფასებისათვის ერთიანი სკალის არ არსებობას.

სიმდიდრის მიმართ დამოკიდებულების დაბალი კოეფიციენტი: პირდაპირი სწრაფვა გამდიდრებისაკენ, რაშიც იგულისხმება მოგების მაქსიმიზაცია, დასავლეთში ითვ-

ლება როგორც საქმიანი კულტურის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მაჩვენებლად და აღიარებულია ინდივიდის საქმის უნარიანობის, შრომისმოყვარეობის, ენერჯის, ქარიზმის შედეგად. საქართველოში, მდიდარი ადამიანი ყოველთვის უარყოფით ემოციებთან და შელახულ ავტორიტეტთან ასოცირდება შემდეგი ლოზუნგით. საზოგადოების მასების შეხედულება კონკრეტულ პიროვნებასთან მიმართებაში ფასდება ყოველთვის მის შინაგან ღირსებებთან და ძირეულ ცხოვრებისეულ ფასეულობებთან შედარებით. ქართველი ხალხის დაინტერესებას საქმიანი ურთიერთობების ნებისმიერ ეტაპზე ვერ გამოიწვევს მხოლოდ მატერიალისტური ინტერესები. ამის მიზეზად შესაძლებელია მივიჩნიოთ ქართველი ხალხისათვის დამახასიათებელი თვისება ამპარტავნობა, რის გამოც შესაძლებელია ზოგიერთ შემთხვევაში უარის თქმა მატერიალურ სარგებელზე. ზოგადად სიმდიდრის დამოკიდებულების კოეფიციენტის დაბალ მაჩვენებელს განსაზღვრავს ის სოციო-კულტურული თავისებურებანი და ტრადიციები, რომელიც მომდინარეობს საერთო ეროვნული ღირებულებებიდან.

ეს მენტალობა შესაძლებელია გამოვიყენოთ ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ, ვიმუშაოთ არა მხოლოდ საკუთარი პიროვნული სარგებლისათვის, არამედ უფრო მაღალი და მასშტაბური ამოცანების მიღწევისათვის როგორც სანარმოს, ისე ქვეყნის დონეზე.

ძალაუფლების დისტანციის მაღალი მაჩვენებელი: საქართველოში, ისტორიულმა ფაქტორებმა განაპირობა იერარქიული განვლენა მმართველობით სტილზე. იერარქია კი პირდაპირკავშირშია დისტინციონებასთან, რომელიც წარმოადგენს ქართული მმართველობითი სტილის დამახასიათებელ ნაწილს. ქართული საქმიანი კულტურის თვისებები აისახება მართვის ყოველდღიურ პრაქტიკაზე ადგილობრივ კომპანიებში, სადაც არსებობს ჯგუფის ლიდერი, ძლიერი მმართველი და მასზეა დამოკიდებული მთელი გუნდი. ლიდერული თვისებების გამოვლენის შედეგად, მხოლოდ მას შესწევს უნარი აიყოლიოს მთელი გუნდი და მიმართუთო მისაღწევი მიზნისაკენ.

დისტანციის მაღალი მაჩვენებლის უარყოფითი მხარე მდომარეობს იმაში, რომ ადგილობრივ კომპანიებში იქმნება დამოუკიდებლად მუშაობის, გადანყვეტილების მიღების დეფიციტი, რომელიც გარკვეულ გავლენას ახდეს მართვის სისტემაზე, ბი-

უროკრატიაზაციას უწყობს ხელს. ყოველივე ეს ინვეს ცენტრალიზაციას ორგანიზაციებში, გადანყვეტილების მიღების ავტოკრატულ სტილს და დაბალი რგოლის წარმომადგენლების მუდმივ კონტროლს. დასავლური კულტურის წარმომადგენელ ქვეყნებში ცენტრალიზაცია მიჩნეულია საქმიანობის ეფექტიანობის დამაქვეითებელ, უნდობლობის მაჩვენებლად და უარყოფით გავლენას ახდენს საქმიანი ურთიერთობების ნებისმიერ ეტაპზე.

მმართველობითი სისტემის დეცენტრალიზაცია უზრუნველყოფს სისტემის სტაბილურობას. მისი რომელიმე ნაწილის, ამ შემთხვევაში მენეჯერის გამოთიშვა, დროებითი არყოფნა, არ ინვეს მთლიანად სისტემის პარალიზებას. წარმოშობს ნაკლებ წინააღმდეგობებს და საქიანი ურთიერთობების მიმდარეობის პროცესში კონფლიქტებს, ხელს უწყობს ჯანსაღ კონკურენციას, ბევრად უფრო ნაყოფიერი შედეგების მიღწევას, იმ შემთხვევაში თუ მაკფიოდ არის განსაზღვრული თითოეული დონის კომპეტენციები და, შესაბამისად, გამორიცხულია უფლებამოსილებებთა დაკავშირებული გაუგებრობები.

კოლექტივიზმის უპირატესობა ინდივიდუალიზმზე: მიიჩნევა, რომ განვითარებული ქვეყნების საქმიანი კულტურები უფრო ინდივიდუალისტურია, ნაკლებად განვითარებული - უფრო კოლექტივისტური. კოლექტივიზმი შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთგვარი ადაფტაცია შეზღუდულ რესურსებთან. ინდივიდუალური, დამოუკიდებელი მართვის სტილი საკუთარი შეაძლებლობების რეალიზების საშუალებას აძლევს ინდივიდს, თუმცა გადაჭარბებულად ინდივიდუალისტურ მმართველობით სტილს ახასიათებს გამოუვალი მდგომარეობების, კომფლიქტების, სირთულეების სიმრავლე. ინდივიდუალისტური საზოგადოებებისთვის აზრთა თავისუფალი გამოხატვა და კამათი ჩვეულებრივი მოვლენაა საქმიანი ურთიერთობების წარმოების პროცესში. მკვლევართა მონაცემებით საქართველო წარმოადგენს ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმის კომბინაციას, შუალედურ მდებარეობას. კოლექტივისტური კულტურებისათვის მეპოტიზმი ჩვეულებრივი მოვლენაა, მენეჯერს ურჩევნია მისი ახლობელი დაასაქმოს, რადგან მის მიმართ ნდობა უფრო მაღალია, ვიდრე უცხოს მიმართ. ამ კულტურისათვის პროფესიონალიზმის ნიშნით შერჩევა ნაკლებად



დამახასიათებელია. ინდივიდუალისტურ კულტურებში კი პირიქით, სამსახურის აყვანის პროცესში ინდივიდის პროფესიონალიზმს ექცევა ყურადღება და არა ნათესაურ კავშირებს.

კოლექტივიზმის მნიშვნელობა არსებითია როგორც კომპანიის, ისე ქვეყნის მასშტაბითაც. მას გააჩნია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. მისი უპირატესობა მდომარეობს შემდეგში, ყვლეა უნდა ეხმარებოდეს ერთმანეთს, განვითარებულია ურთიერთდახმარება და ერთიანობა, მეორეს მხრივ, შესაძლებელია მართვის პროცესში ადამიანები ვერ მიეჩვივნენ გადანყვეტილების დამოუკიდებლად მიღებას. ეს ფაქტორი გათვალისწინებული უნდა იქნეს სხვადასხვა პროცესების დროს, მათ შორის მომუშავეთა დაქირავებისა და გათავისუფლებისას, ორგანიზაციული სტრუქტურის, მოტივაციისა და სტიმულირების სისტემის შექმნისას.

გაურკვევლობისგან თავის არიდების მაღალი დონე: საქართველო ხასიათდება, როგორც გაურკვევლობის თავიდან არიდების მაღალი კოეფიციენტის მქონე ქვეყნად, რაც გამოიხატება ხალხის მხრიდან მომავალზე მღელვარებით, სტრუქტურული ოპერაციებისადმი უპირატესობებით მინიჭებით, კონსერვატივიზმის აქტუალურობით, რომელიც გულისხმობს მმართველობის ჩვეული სტილის შეცვლის სურვილის ნაკლებად არსებობას.

ყვლეაზე დამაბრკოლებელ ფაქტორად წარმოადგენს ის გარემოება, რომ ქართველებს არ ახასიათებთ გრძელვადიანი გეგმების დასახვა და მომავლის წინასწარ, გეგმიურად, კანონზომიერი განსაზღვრა. მოკლევადიანგეგმებზე აქცენტი უკავშირდება გაურკვევლობის თავიდან აცილების ძლიერი სურვილს. ყოველივე ეს არ აისახება ეფექტიანად ბიზნეს ურთიერთობებზე და შესაბამისად მმართველობით სტილზე, რომელიც აქტუალურია ადგილობრივ კომპანიებში. ამისათვის საჭიროა ბიზნეს სფეროში თანამედროვე მიდგომებთან მიმართებაში ოპერატიული რეაგირება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და გრძელვადიანი გეგმების დასახვა.

საქმიანი კულტურის ქალურობა: მმართველობითი სისტემა, რომელშიც მენეჯერები მომართულნი არიან მიზნის მისაღწევად, მზად არიან ყველა სირთულე გადალახონ და გაუძლონ რთულ კონკურენციას, აგრესიული მართვის წესებით, ასეთ ბიზნეს კულტურას

ენოდება მამაკაცური, რომლის დეფიციტიც გვაქვს ქართულ ბაზარზე, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ქართული ეროვნული ღირებულებები თავისუფლად შეიძლება იქნეს მორგებული მამაკაცურ ბიზნეს კულტურაზე. ჩვენი კულტურისათვის დამახასიათებელია ქალური საქმიანი კულტურა, რომელიც გამიჯნულია დასავლური კულტურისგან. ადგილობრივი ბიზნესის მმართველობითი სისტემის შემთხვევაში პირადი კონტაქტები, არაფორმალური ურთიერთობები, შენიშვნის არაადეკვატური აღქმა, სამუშაოზე ნაკლები კონცენტრირება, გადაჭარბებული ემოციურობა, პირადი ნაცნობობის უპირატესობა კადრების აყვანის მომენტში, ყოველივე ეს უპირველესია და სხვა მატერიალურ ღირებულებებზე კიდევ უფრო მაღლა დგას, როგორც იაპონიაში „ჯერ პირადი ურთიერთობები და შემდეგ საქმე“.

საქმიან ურთიერთობებზე ყველაზე ცუდათ აისახება სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას, საქმიანი მოლაპარაკების პროცესის წარმოებისას პროფესიული და პირადი ინტერესების, ღირებულებების არევე. აუცილებელია მათი გამიჯვნა და ხელისშემშლელი პირადი ინტერესების უგულვებლყოფა სამსახურეობრივი უფლებამოსილებიდან გამომდინარე, რომელიც ყოველთვის აფერხებს საქმიან ურთიერთობებს და წარმოქმნის ადამიანთაშორის კომპლიქტს, რაც თავისთავად წარმოადგენს არასასურველი ბიზნეს გარემოს ფორმირებას.

პოლიაქტიური კულტურებისათვის დამახასიათებელი დამოკიდებულება დროსთან - საქართველო, ერთი შეხედვით მიეკუთვნება პოლიაქტიურ კულტურებს, რომელთათვისაც დამახასიათებელია ერთდროულად რამოდენიმე საქმის კეთება. ადგილობრივი მმართველობის სისტემებისათვის არ არის დამახასიათებელი, დროში დაგეგმილი გეგმების მიყოლა. თუმცა, გლობალიზაციის, საერთაშორისო კომპანიების მხრიდან დროში განერილი გეგმის მოთხოვნის ზრის ფონზე, განსაკუთრებით უცხოური ბრენდების ოფიციალურ წარმომადგენლობებში, მმართველობით სისტემაში ნელ-ნელა აქტუალური ხდება წინასწარ განერილი, სტრატეგიული, სამოქმედო, მარკეტინგული გეგმები. პირველ ეტაპზე, შესაძლებელია ყოველივე ამის არაზუსტი შესრულება, რომელიც გვიმუშავეს გეგმიური ურთიერთანამშრომლობის კულტურას, რაც საბოლოო ჯამში თანამშრომლობის ეფექტურობას, ორგანიზებულობას

განსაზღვრავს. მკვლევართა აზრით, საქართველო იკავებს შუალედურ პოზიციებს პოლიაქტიურ და რეაქტიულ კულტურებს შორის.

თანამედროვე ბიზნესში დროის მენეჯმენტის სრულყოფილად ფლობა საქმიანი ურთიერთობებისათვის ისევე აუცილებელია, როგორც ბიზნესის სფეროში განათლება. დროის მენეჯმენტი ნიშნავს სამუშაო დროის ეფექტურად მართვად და გეგმის დალაგებას მაქსიმალური ხარისხით შესრულებისათვის, რაც ნაკლებად შესაძლებელია ერთდროულად რამოდენიმე საქმის კეთების შემთხვევაში. თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ ქართული დამოკიდებულება განსხვავდება დასავლური დამოკიდებულებისგან და ჩვენს მენალიტიტეში ჩადებულია გლობალურად აზროვნება „გონებრივი იერიშები“ მიმდინარეობს იდეალურად, რაც გვაძლევს შესაძლებლობას, რომ რამოდენიმე საქმე ვაკეთოთ პარალელურ რეჟიმში. თუმცა ხარისხობრივად დიდი რისკი არსებობს ერთ-ერთი საქმის შედეგის ნეკლები ეფექტურობის, რაც წარმოადგენს საქმიანი ურთიერთობების არაეფექტურობის განმსაზღვრელ ფაქტორს.

წინააღმდეგობრიობა და მისწრაფება უკიდურესობის მიმართ - დუალიზმი, მცდარი ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც სამყაროს საფუძვლად აღიარებს ორ ერთმანეთის საწინააღმდეგო საწყისს - მატერიალურსა და იდეალურს. იგი წარმოადგენს ქართული საქმიანი კულტურის ერთ-ერთ მკაფიოდ გამოხატულ ნიშან-თვისებას. ეს არის ეროვნება, რომელიც შესაძლებელია იდგეს ორი უკიდურესობის წინაშე. ძლიერი პოლარობის არსებობა კიდევ უფრო აძლიერებს დუალიზმს. მაგალითად შესაძლებელია დავასახელოთ საბჭოთა კავშირის პერიოდში 100%-ანი კოლექტივიზმი. ქართველისათვის დამახასიათებელია პრაქტიკულად ურთიერთსაწინააღმდეგო თვისებები.

დუალიზმი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო საკითხს, ვინაიდან ეროვნული სულის უკიდურესობების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ დასავლური კულტურის დებულებები და მენეჯმენტი პრაქტიკა ჩვენს მიერ აფსურდამდეც კი იქნას მიყვანილი. ეს საკითხი ასევე ართულებს მაქსიმალურად სწორი პროგნოზის გაკეთებას ნებისმიერ ინდივიდთან და მასთან დაკავშირებულ კულტურულ ღირებულებებთან მიმართებაში. ასევე წარმოშობს სირთულეებს საქმიანი ურთიერთობების პროცეს-

ში, მეორე მხარისათვის. ეს არის ეროვნული ღირებულებების მახასიათებელი ფაქტორი, რომელის ცვლევაც ყველაზე დიდ სირთულეებს უკავშირდება, ვინაიდან გამომდინარეობს ძირეული, ფუნდამენტური კულტურული ღირებულებებიდან.

კანონებისა და ნორმების უპატივცემულობა: ქართველ ხალხი მუდმივად არსებობს კანონების უგულვებლყოფის, რეგულაციების „გვერდის ავლისაკენ“ დიდი სურვილი და შესაბამისად მცდელობა. ხშირ შემთხვევაში, ადგილობრივ კომპანიებში გადანყვეტილების სისწორე შესაძლებელია უმრავლესობის აზრით გადანყდეს და არა კომპანიის შიდა განაწესით. თუ დასავლეთის ქვეყნებში ბიზნეს პარტნიორის ნდობა უმეტესწილად გამოდის, როგორც ფორმალური კონტრაქტის კანონზომიერი გაძლიერება და განვითარება, საქართველოში ნდობა უპირველესად არაფორმალური ურთიერთობების გარემოში წარმოიშობა, რაც ანალოგიურად უკავშირდება ეროვნულ ფუნდამენტურ ღირებულებებს.

მმართველობით სისტემაში არსებული სამართლებრივი ნორმების მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას საქართველოში აღნიშნავდნენ რიგი ექსპერტები, რომლებიც თავის ნაშრომებში ხაზს უსვავდნენ, რომ ეროვნულ მენტალიტეტში წესების იგნორირების, კანონის უპატივცემულობის, რეგულაციების დარღვევის სურვილში „საკუთარი პრინციპებით“ არსებობის ჩვევაა ჩადებული, რაც ნაკლებად გამომდინარეობს ქართული ტრადიციებიდან. მთავარი პრობლემა მდგომარეობს მენეჯმენტის, მმართველობითი სისტემის სირთულეში და არა ეროვნულ ღირებულებებში, რომელიც ნებისმიერ გარემოებაში შესაძლებელია მივმართოთ ეფექტური ბიზნეს ურთიერთობებისაკენ.

კანონების და ნორმების უპატივცემულობა გამონვეულია არასაკმარისი დამსჯელობითი ჯარიმების არსებობის გამო და ასევე, პირადი ურთიერთობების, კავშირებიდან გამომდინარე, რაც კიდევ ერთხელ უსვავს ხაზს ადგილობრივი ბიზნეს სექტორის მმართველობითი დონის სისუსტეს.

საქმიანი ურთიერთობების მართვის სამივე ეტაპზე მნიშვნელოვანია მასზე მოქმედი კულტურული მახასიათებლების დადებითი და უარყოფითი ფაქტორები, რეკომენდაციების გათვალისწინება, იმისათვის, რომ მაქსიმალურად ვაკონტროლოთ სიტუაცია,

რომელიც განსაზღვრავს ჩვენი საქმიანობის ეფექტურ მიმდინარეობას, გაუთვალისწინებელი, დაუგეგმავი პროცესების გარეშე.

მართვის სისტემაში თანამედროვე მიდგომების სწრაფ დანერგვაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია უცხოური სიახლეების ადეკვატურ, გაანალიზებულ აღქმას და კონკრეტული კომპანიის მმართველობითი სისტემის სასიკეთოდ გამოყენებას. კონკრეტული მართვის სისტემის გამოყენება არ გულისხმობს ალტერნატიულის უგულვებელყოფას, გარკვეულ საკითხებთან მიმართე-

ბაში. პირიქით, წარმყვანი მართვის სისტემების კომბინაციით შესაძლებელია სრულყოფილთან მიახლოებული მართვის სისტემის ფორმირება, მათი დადებითი და უარყოფითი მაჩვენებლების გაანალიზების საფუძველზე. საერთაშორისო პროგრესული ტექნოლოგიების ადგილობრივ სპეციფიკასთან გონივრული შეხამება განსაზღვრავს მართვის ეფექტიანობის ზრდას და მოგების მაქსიმიზაციას, შესაბამისად ადგილობრივი კულტურული მახასიათებლების გათვალისწინებას.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ე., შედარებითი ანალიზის როლი გარდამავალი ეკონომიკის შესწავლაში ჟურნალი "მეცნიერება და ტექნოლოგიები" №1-2, თბ. 2008 წ.
2. ბარათაშვილი ე., ჯოლია გ., ბულია ლ., კომპარატივისტიკული მენეჯმენტი ჟ. "ეკონომიკა" №10 2008წ.
3. ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ., მარიდაშვილი მ., ჩეჩელაშვილი მ., მახარაშვილი ი., ლამბაშიძე., „შედარებითი მენეჯმენტი და კლასტერიზაცია“ . თბ. 2015წ.
4. ამინოვი ი., ერიაშვილი ნ., „საქმიანი ურთიერთობების ფსიქოლოგია“ . თბ., 2009წ.
5. დოლონაძე შ., ქოჩორაძე ო., „საქმიანი ურთიერთობების თანამედროვე ტექნოლოგიები, თბ., 2012წ.
6. Hofstede G. Culture's Consequences. International Differences in Work Related Values. — Beverly Hills: Sage, 1980.
7. Schneider S., Barsoux J.-L. Managing across cultures. — London: Prentice Hall, 1997.
8. Hall E. T., Hall M. R. Understanding cultural differences. — Yarmouth, ME: Intercultural press, 1990.

### რეზიუმე

სტატიაში განხილულია კულტურული ღირებულებების ზეგავლენა მმართველობით სტილზე. აქცენტი გაკეთებულია თანამედროვე, მუდმივად ცვალებად და განვითარებად მსოფლიოში, მკაფიოდ გამოხატული კულტურული თავისებურებების როლზე. ყურადღება გამხვილებულია მმართველობითი ქცევის განვითარების ტემპზე.

გაანალიზებულია კულტურათაშორისი ურთიერთობები თანამედროვე გლობალურ პროცესებში და განხილულია ადგილობრივი საქმიანი კულტურის ძირითადი დეტერმინანტები. ჰოფსტედეს თეორიიდან გამომდინარე დახასიათებულია ადგილობრივი კულტურული თავისებურებების გამოვლინების ის ფორმები, რაც განაპირობებს მართვის სისტემის სპეციფიურობას.

ხაზგასმულია კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად და ბიზნეს ურთიერთობების სწორად წარმართვისათვის, მმართველობით სტილთან მიმართებაში გაკეთებული დასკვნები ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორებიცაა დამოკიდებულება სიმდიდრის მიმართ, ძალაუფლების დისტანციის მაჩვენებელი, კოლექტივიზმის და ინდივიდუალიზმის გავლენა, გაურკვევლობისგან თავის არიდების დონე, საქმიანი კულტურის ქალურობა, პოლიაქტიური კულტურებისათვის დამახასიათებელი დამოკიდებულება დროსთან, წინააღმდეგობრიობა და მისწრაფება უკიდურესობის მიმართ, ქართული კანონებისა და ნორმების უპატივცემულობა.

ინტელექტუალური კვლევის შედეგად სტატიაში მოცემულია რეკომენდაციები, რომლის საფუძველზეც, ინფორმაციის განხილვა შესაძლებელია პრაქტიკული თვალსაზრისით, რაც გვაძლევს შესაძლებლობას საქმიანი მმართველობით სტილის სწორად ფორმირების.

## RESUME

### IMPACT OF CULTURAL VALUES ON LOCAL ORGANIZATIONS' MANAGEMENT STYLE

**Mariam Kipshidze**  
**Georgian Technical University**

The article reviews the influence of cultural values on the management style. The emphasis has been made on the role of a distinctly varied cultural perspective in the modern, ever-changing and developing world. Attention is emphasized at the pace of management behavior.

Intercultural relationships in modern global processes are analyzed and the main determinants of local business culture are considered. Based on the theory of the Hofstede describes the forms of manifestation of local cultural peculiarities, which determine the specificity of the management system.

Highlights competitiveness increase business ties and for the proper management style with regard to a report to address issues such as the attitude toward wealth, power distance index, the impact of collectivism and individualism, uncertainty avoidance levels, business culture femininity, contradictions and extremes of aspiration, disrespect of Georgian laws and regulations.

As a result of intellectual research, the article provides recommendations on the basis of which information can be discussed in a practical way that gives us the opportunity to formulate the business management style correctly.

**Key words:** cultural values, cultural peculiarities, intercultural relationships, local business culture, governance system, attitude towards wealth, power distance indicator, collectivism, individualism, femininity of culture, dualism.



# სტატისტიკური მონაცემები, როგორც რეგიონის ინვესტიციური მიმზიდველობის შეფასების ინსტრუმენტი

ივლია ონიანი

ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

ნონა ახვლედიანი

ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

საქართველოს რეგიონები სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით, სასოფლო სამეურნეო სავარგულებით, ეკონომიკური, გეოგრაფიული, პოლიტიკური მგომარეობით, მოსახლეობის უნარ-ჩვევებით, ყოფით, საბაზრო ურთიერთობათა სასტატო პირობებით, ინვესტიციური მიმზიდველობის ხარისხით და სხვა ფაქტორებით მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამ ფაქტორების გათვალისწინებით საქართველოში ინვესტიციური მიმზიდველობის შესწავლა რეგიონების მიხედვით აუცილებელი საკითხია. ამასთან ქვეყნისათვის დღეს ერთერთმნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ქვეყნის რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონეების გამოთანაბრების საკითხი. ამ პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ქვეყნის ამა თუ იმ რეგიონის განვითარებაში ინვესტიციური რესურსების სწორი დაბანდებით. ინვესტიციების დაბანდებისათვის რეგიონის შერჩევის მთავარ საკითხს წარმოადგენს მისი ინვესტიციური მიმზიდველობის ხარისხობრივი შეფასება, ასეთი შეფასებისათვის კი ამოსავალ ინფორმაციას წარმოადგენს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ სტატისტიკური მონაცემები, ინვესტიციური საქმიანობის მარეგულირებელი საკანონდებლო აქტები, და თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სოციალურ-ეკონომიკური პროცესების რაოდენობრივი მახასიათებლები უშუალო კავშირშია მათ ხარისხობრივ მხარესთან, პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია რეგიონების მიხედვით სიღრმისეული სტატისტიკური გამოკვლევების გარეშე.

რეგიონების მიხედვით გამოკვლევა პირველ რიგში გულისხმობს პირველადი ინფორმაციის შეგროვებას, სადაც უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ამ ეტაპზე ფორმირდება პირველადი მონაცემები, რომლებიც წარმოადგენენ მომავალში სტატისტიკური შენობის ფუნდამენტს. ამიტომ, საჭიროა გულდასმით მოვიფიქროთ და მკაფიოდ განვსაზღვროთ საკვლევი ამოცანა. თუ პირველადი მონაცემების შეკრებისას

დაიშვება შეცდომა ან მასალა წარმოადგენს არასაიმედოს, მაშინ ეს ზემოქმედებას ახდენს, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკული დასკვნების სისწორეზე და საიმედოობაზე. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ რეგიონის ინვესტიციური მიმზიდველობის მახასიათებელი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებების, ტენდენციებისა და კანონზომიერებების შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ სისტემური მიდგომით. მაშასადამე, სტატისტიკური კვლევის სხვადასხვაგვარი წესებისა და მეთოდების გამოყენებით შესაძლებელია შესასწავლი ობიექტის შესახებ ამომწურავი და საიმედო ინფორმაციის მიღება.

დღეს რეგიონის ინვესტიციური მიმზიდველობის შეფასებას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მეცნიერების, ეკონომისტიკების, რეიტინგული აგენტებისა და ინვესტორების მხრიდან. რათა მოღებულ იქნეს სწორი ინვესტიციური გადაწყვეტილებები ინვესტიციების ფორმების მიხედვით (განხორციელდეს კერძო, სახელმწიფო თუ ერთობლივი ინვესტიციები, საშუალო ვადიანი თუ გრძელვადიანი ინვესტიციები); სწორად გავერკვეთ მიმდინარე სიტუაციებში და სწორად ვმართოთ რეგიონის ინვესტიციური კლიმატი; შევიმუშაოთ და სრულვყოთ რეგიონული ინვესტიციური სტრატეგია.

საქართველოს ეკონომიკისათვის დამახასიათებელია საინვესტიციო სივრცის არაერთგვაროვნება, რაზეც ნათელ წარმოდგენას იძლევა „საქსტატის“ მონაცემები რეგიონების მიხედვით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილების შესახებ (იხ. ცხრილი).

როგორც ცხრილიდან ჩანს, მთელი საანალიზო პერიოდისათვის დამახასიათებელია ინვესტიციების არათანაბარი განაწილება რეგიონების მიხედვით. ინვესტიციების 77,7% ორ რეგიონზე მოდის (ქ. თბილისი და აჭარის რეგიონი) დანარჩენი ნაწილდება რვა რეგიონზე. ასევე არათანაბარია ინვესტიციების დინამიკაც. ასე მაგალითად, 2016 წელს 2011 წელთან შედარებით სამეგრელო, ზემო



სვანეთის რეგიონისა და გურიის რეგიონში მთლიანობაში ინვესტიციების მოცულობა 49,5%-ით შემცირდა, ხოლო შიდა ქართლისა და მცხეთა მთიანეთის რეგიონში, ზოგიერთი წლების მიხედვით, ამ მაჩვენებლის უარყოფითი მნიშვნელობა ფიქსირდება.

*პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს რეგიონების მიხედვით (ათასი აშშ დოლარი)*

რეგიონები	2011წ.	2012 წ.	2013 წ.	2014 წ.	2015 წ.	2016 წ.
სულ	1130 263,5	1022 928,8	1 020 634,4	1 817 981,2	1652 507,5	1602 850,6
ქ. თბილისი	782 813	767692,0	742313,7	1366300,2	1315198,0	1374444,0
აჭარა	95849,6	56287,5	83137,5	169300,2	206563,4	95763,0
კახეთი	2759,9	16563,2	11020,6	15854,1	16118,6	5178,9
სამცხე-ჯავახეთი	12228,8	26370,0	51732,6	74258,9	31536,1	30953,8
ქვემო ქართლი	149882,6	41648,3	16309,7	55650,8	21159,8	29734,5
სამეგრელო, ზემო სვანეთი და გურია	70148,3	61922,4	57229,8	93648,2	51209,5	35444,1
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	5325,2	40024,0	59124,4	27951,1	25701,8	28935,8
შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	14254,6	12420,4	-241,4	14347,8	-14979,5	2396,5

როგორც ცხრილიდან ჩანს, მთელი საანალიზო პერიოდისათვის დამახასიათებელია ინვესტიციების არათანაბარი განაწილება რეგიონების მიხედვით. ინვესტიციების 77,7% ორ რეგიონზე მოდის (ქ. თბილისი და აჭარის რეგიონი) დანარჩენი ნაწილდება რვა რეგიონზე. ასევე არათანაბარია ინვესტიციების დინამიკაც. ასე მაგალითად, 2016 წელს 2011 წელთან შედარებით სამეგრელო, ზემო სვანეთის რეგიონისა და გურიის რეგიონში მთლიანობაში ინვესტიციების მოცულობა 49,5%-ით შემცირდა, ხოლო შიდა ქართლისა და მცხეთა მთიანეთის რეგიონში, ზოგიერთი წლების მიხედვით, ამ მაჩვენებლის უარყოფითი მნიშვნელობა ფიქსირდება.

მაშასადამე, აუცილებელია ქვეყნის რეგიონებში ინვესტიციური კლიმატის ხელსაყრელობის დონის შეფასება და იმ პრობლემების განხილვა, რომლებიც ამ მიმართულებით უნდა გადაიჭრას, რადგან დღემდე ამ მხრივ ჯერ კიდევ მთელი რიგი საკითხებია მოსაგვარებელი, კერძოდ:

- შემუშავებული უნდა იქნეს ქვეყნის რეგიონების ინვესტიციური მიმზიდველობის ანალიზისა და პროგნოზირების მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდოლოგია, რომელითაც შესაძლებელი იქნე-

ბოდა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში შექმნილი ინვესტიციური კლიმატის ინტეგრალურ დახასიათება;

- უნდა შეიქმნას ისეთი მიზნობრივი მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც რეგიონების მიხედვით იქნებოდა შესაძლებელი ქვეყნის ინვესტიციური მიმზიდველობის ინტეგრალური რაოდენობრივი დონეების გამოთვლა;

- უნდა შემუშავდეს კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც მოხდებოდა რეგიონის ინვესტიციური მიმზიდველობის შეფასება;
- უნდა ხდებოდეს რეგიონების ინვესტიციური აქტიურობის კომპლექსური რაოდენობრივი შეფასება.

რეგიონის ინვესტიციური მიმზიდველობის ყველაზე უფრო განზოგადებულ მაჩვენებელს წარმოადგენს ინვესტიციური კლიმატი, რომელსაც განაპირობებს რეგიონში არსებული პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, საკანონმდებლო,

ეკოლოგიური, კრიმინოგენური, რესურსულ-სანედლეულო, ინფრასტრუქტურული ხასიათის ურთიერთდაკავშირებული პროცესების ფართო წრე, რომლებიც ასახავენ რეგიონის ინვესტიციური საქმიანობის განვითარებისა და გაფართოების ობიექტურ შესაძლებლობებს და გვიჩვენებს რეგიონის ინვესტიციურ პოტენციალს.

რეგიონის ინვესტიციურ მიმზიდველობის განმაპირობებელი ფაქტორები შეიძლება დავყოთ ორი ჯგუფად. პირველი ჯგუფი აერთიანებს ფაქტორებს, რომლებიც აყალიბებენ რეგიონის ინვესტიციურ პოტენციალს, მეორე ჯგუფი ფაქტორებისა კი განაპირობებენ რეგიონის ინვესტიციურ რისკებს. სხვა სიტყვებით, რეგიონის ინვესტიციური მიმზიდველობა ეს ფაქტორების ერთობლიობაა, რომლებიც განსაზღვრავენ ინვესტიციების მიზანშეწონილობასა და ეფექტიანობას.

რეგიონის ინვესტიციური პოტენციალი ესაა რეგიონის ობიექტური ეკონომიკური, სოციალური და ბუნებრივ-გეოგრაფიული თვისებების ერთობლიობა, რომელთაც აქვთ განმსაზღვრელი მნიშვნელობა ძირითად კაპიტალში ინვესტიციების მოზიდვის საქმეში, კერძოდ, ეს არის სამრეწველო წარმოების ტემპი, რეგიონის ავტოსაგზაო

უზრუნველყოფა, მინერალურ-სანედლეულო რესურსები და ა. შ. გარდა ამისა მნიშვნელოვანია რეგიონში ადამიანური განვითარების ინდექსის შეფასება, რომელიც გულისხმობს რეგიონის ადამიანურ პოტენციალს. ეს პოტენციალი ფორმირდება რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის, მათი შემადგენლობის და კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ხარჯზე. მაგრამ იმისთვის, რომ იცხოვრო მოცემულ რეგიონში უნდა გქონდეს გარკვეული მატერიალური და სულიერი სიკეთეები. ამიტომ პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება მოსახლეობის შემოსავლების მაჩვენებელი, თუმცა მხოლოდ ეს მაჩვენებელი ვერ ასახავს ვითარების რეალურ სურათს, ამიტომ, გარდა შემოსავლებისა მიზანშეწონილია ყურადღება გავამახვილოთ მატერიალური კეთილდროების დონეზე. კერძოდ, მნიშვნელოვანია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღწერა და მისი განვითარების დონის შეფასება. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენება შესაძლებლობას იძლევა მივიღოთ შემოსავალი და მივადინოთ მატერიალური კეთილდროების განსაზღვრულ დონეს. რომელიც თავისთავად გულისხმობს მოსახლეობის ინფორმაციულობის გარკვეულ დონეს, თუმცა ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ რჩება რთულ ამოცანად, რამდენადაც ფაქტიურად არ არსებობს საკმარისად საიმედო კრიტერიუმი, რომელიც შესაძლებელს გახდის მოსახლეობის ინფორმაციულობის ხარისხის შეფასებას.

რეგიონის ინვესტიციური რისკები ეს არაკომერციული რისკებია, რომელსაც განაპირობებს რეგიონული ხასიათის ფაქტორები. ასეთ ფაქტორებს მიეკუთვნება რეგიონში სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა, შრომითი ურთიერთობების კომფლიქტურობის დონე, ბუნებრივი გარემოს მდგომარეობა, ეკოლოგიური დაბინძურების დონე, არასასურველი კლიმატი, დამნაშავეობების დონე და ა. შ. ამგვარი რისკების არსებობა განსაზღვრავს რამდენია რეგიონის ინვესტიციური პოტენციალის არასრული გამოყენების ალბათობა.

განვითარებულ ქვეყანებში რეგიონის ინვესტიციური მიმზიდველობის შეფასების უფრო პოპულარულ მეთოდურ ნარმოადგენს რეიტინგული სააგენტოს ექსპერტების მეთოდოლოგია. ამ მეთოდოლოგიის თანახმად ინვესტიციური პოტენციალის მაჩვენებლებს მიეკუთვნება:

- საწარმოო პოტენციალი, რომლის მახ-

ასიათებელი მაჩვენებელია მშპ- მოსახლეობის ერთ სულზე;

- შრომითი პოტენციალის მაჩვენებლები - ეკონომიკაში დასაქმებულთა საშუალო წლიური რიცხოვნობა, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას, ყოველ 10000 მცხოვრებზე უმაღლესი პროფესიული განათლების დაწესებულებებში სტუდენტთა რიცხვი.

- სამომხმარებლო პოტენციალის მაჩვენებლები - შინამეურნეობების ფაქტიური საბოლოო სულადობრივი მოხმარება, 1000 მცხოვრებზე კერძო საკუთრების ავტომობილების რიცხვი, საცხოვრებელი შენობების საერთო ფართობი საშუალოდ ერთ მცხოვრებზე.

- ინფრასტრუქტურული პოტენციალის მაჩვენებლები - საერთო სარგებლობის სარკინიგზო გზების საექსპლოატაციო სიგრძე, მყარი საფარის მქონე საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების სისქე 1000კვ.კმ-ზე, ტელეფონიზირებული დასახლებული პუნქტების ხვედრითი წილი.

- ფინანსური პოტენციალის მაჩვენებლები - რეგიონული ბიუჯეტის პროფიციტი, გადასახადების, მოსაკრებლებისა და მსგავს სავალდებულო გადასახდელების შემოსვლა ქვეყნის ბიუჯეტში, გაყიდული საქონლის, სამუშაოს, მომსახურების, პროდუქციის რენტაბელობა.

- ინსტიტუციური პოტენციალის მაჩვენებლები - ორგანიზაციების მთლიან რაოდენობაში იმ ორგანიზაციების ხვედრითი წილი, რომლებიც ახორციელებენ ინოვაციებს, შექმნილი ინოვაციური ტექნოლოგიების რაოდენობა, ინოვაციური საქონლის, სამუშაოს, მომსახურების ხვედრითი წილი.

- ბუნებრივ რესურსული პოტენციალის მაჩვენებლები - რეგიონის ტერიტორიის ფართობის თანაფარდობა ქვეყნის მთელ ტერიტორიასთან, მინერალურ სანედლეულო რესურსების მარაგები, რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობა.

ინოვაციური რისკის მაჩვენებლებს მიეკუთვნება:

- ეკონომიკური რისკის მაჩვენებლები - სამომხმარებლო ფასების ინდექსი, უმუშევრობის დონე, ძირითადი ფონდების ცვეთის ხარისხი;

- ფინანსური რისკის მაჩვენებლები - რეგიონული ბიუჯეტის დეფიციტი, გადასახადებისა და მოსაკრებლების მიხედვით დავალიანება, სახელმწიფო ვალის თანაფარ-

დობა რეგიონის ბიუჯეტის შემოსავლებთან, ზარალიანი ორგანიზაციების ხვედრითი წილი;

- სოციალური რისკის მაჩვენებლები - ქვეყნის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში საარსებო მინიმუმზე ნაკლები შემოსავლის მქონე მოსახლეობის ხვედრითი წილი, მაღალი შემოსავლის მქონე მოსახლეობის 10%-ის თანაფარდობადაბალი შემოსავლის მქონა მოსახლეობის 10%-თან, შრომისუნარიანი ასაკის მსახლეობაზე დემოგრაფიული დატვირთვა;

- კრიმინოგენური რისკის მაჩვენებლები - რეგისტრირებული დამნაშავეების რიცხვი 100000 მცხოვრებზე გაანგარიშებით;

- ეკოლოგიური რისკის მაჩვენებლები - სტაციონალური წყაროებიდან დაბინძურებულ ნივთიერებათა გარემოში გატყორცნის ხარისხი, წყლის დაბინძურება და ა.შ.

რეგიონის ინვესტიციური მიმზიდველობის შეფასების ზემოთ განხილული არცერთი მიდგომა არ გამოდგება ოფიციალური სტატისტიკური მაჩვენებლების გარეშე, რომელსაც წარადგენენ ოფიციალური სტატისტიკური ორგანოები, როგორც ქვეყნის ისე ტერიტორიულ დონეზე. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ მაჩვენებლებზეა დაფუძნებული რეგიონის ინვესტიციური მიმზიდველობის შეფასება და ამ მაჩვენებელთა 89% კი ფორმირდება სტატისტიკური ანგარიშგების საფუძველზე.

რეგიონის ინვესტიციური მიმზიდველობის სწორი სურათის ფორმირება არსებითად არის დამოკიდებული სტატისტიკური მონაცემების ხარისხზე. ამასთან დაკავშირებით სახელმწიფო სტატისტიკურმა ორგანოებმა

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ რეგიონის შესახებ სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული და ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის სისრულეს, საიმედოობასა და თავისდროულობას. სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოების მიერ წარმოდგენილ აქტუალურ სტატისტიკურ მონაცემების მართვისა და კონტროლისათვის საჭიროა დაცული იქნეს № 9001-2008-სტანდარტის ხარისხის მენეჯმენტის სისტემა.

ხარისხის მენეჯმენტის სისტემა შემუშავებულია IS-ს სერია 9001-2008-სტანდარტის შესაბამისად. ეს არის ეფექტური მართვის სისტემა საქმიანობის ზუსტი რეგლამენტაციით და შედეგების მიზნობრივი ინდიკატორების მუდმივი მონიტორინგით. ხარისხის მენეჯმენტის სისტემა მოწოდებულია მართოს სტატისტიკურ მონაცემთა ხარისხი შეგროვებისა და დამუშავების ეტაპიდან დაწყებული ყველა დაინტერესებული მომხმარებლისათვის ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციის წარდგენის ეტაპამდე.

ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხის ამაღლების და მომხმარებელთა ინფორმაციით დაკმაყოფილების შეფასების მიზნით მიზანშეწონილია საქსტატიმა ყოველწლიურად ჩაატაროს მარკეტინგულ კვლევები ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციით მომხმარებელთა დაკმაყოფილების ხარისხის შესწავლის მიზნით. კვლევის შედეგები იძლევა შესაძლებლობას განისაზღვროს სტატისტიკური ორგანოების საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები მომხმარებელთა უპირატესობის მიკუთვნების თვალსაზრისით.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Новикова И., Рябцев В., Тихомирова Е. Сравнительный анализ индикаторов экономического и социального развития регионов ассоциации «Большая Волга» // Вопросы статистики, 1995. №3. с.30-31.
2. Ройзман И., Шахназаров А., Гришина И., Оценка эффективности инвестиционных проектов: учет региональных рисков // Инвестиции в России. 1998. №10

## რეზიუმე

საქართველოსთვის დღეს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ქვეყნის რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონეების გამოთანაბრების საკითხი ამ პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია ქვეყნის ამა თუ იმ რეგიონის განვითარებაში ინვესტიციების სწორი დაბანდებით. იმისათვის, რომ სწორად ვმართოთ რეგიონის ინვესტიციური კლიმატი, შევიმუშაოთ და სრულვყოთ რეგიონული ინვესტიციური სტრატეგია საჭიროა სიღრმისეული სტატისტიკური გამოკვლევების ჩატარება, რომელთა საფუძველზე უნდა განხორციელდეს ქვეყნის რეგიონების მიხედვით ინვესტიციური კლიმატის ხელსაყრელობის დონის შეფასება. ნაშრომში განხილულია რეგიონის ინვესტიციური პოტენციალის მაფორმირებელი ფაქტორების ორი ჯგუფი. პირველ ჯგუფში შეტანილია ფაქტორები, რომლებიც აყალიბებენ რეგიონის ინვესტიციურ პოტენციალს, ხოლო მეორე ჯგუფში- ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ რეგიონის ინვესტიციურ რისკებს, ასევე მოცემულია რეიტინგული სააგენტოს ექსპერტების მიერ შემუშავებული ინვესტიციური მიმზიდველობის განმსაზღვრელი სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემა.

გაკეთებულია დასკვნა, რომ განხილულ სტატისტიკურ მაჩვენებლებზე დაფუძნებული რეგიონის ინვესტიციური მიმზიდველობის შეფასება და ამ მაჩვენებელთა 89% ფორმირდება სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე.

## SUMMARY

### STATISTICAL DATA AS THE REGION'S INVESTMENT ATTRACTION APPRAISAL INSTRUMENT

Ivliia Oniani

Associated Professor of Economic Department of the  
Akaki Cereteli Qutaisi State University

Nona Akhvlediani

Associated Professor of Economic Department of the  
Akaki Cereteli Qutaisi State University

Today, one of the most important problems for Georgia is the equalization of economic development levels of the regions of the country/this problem can be solved by right investing in the development of some of the regions of the country. In order to properly manage the region's investment climate, to develop and complete the Regional Investment Strategy it is required to conduct deep statistical investigations on the basis of which the level of investment climate should be assessed in accordance with the regions of the country.

The paper discusses two groups of formation factors that are responsible for the region's investment potential. The first group included factors that form the investment potential of the region and in the other group-factors causing region's investment risks.

The paper also provides a system of statistical indicators for determining investment attractiveness developed by the rating agency experts.

The conclusion is made that the investment attractiveness of the region is based on the considered statistical indicators and 89% of these indicators are adapted according to statistical data.



**ინფლაციის უარყოფითი გავლენა ეკონომიკის განვითარებაზე და მისი დაძლევის გზები საქართველოში**

**ნაირა ტაბატაძე**  
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი  
ეკონომიკის დოქტორი

**მანანა მჭედლიშვილი**  
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი  
ეკონომიკის დოქტორი

**შესავალი.** წლიურმა ინფლაციამ 2016 წლის იანვარში 5.6% შეადგინა, რაც ეროვნული ბანკის 5%-იან მიზნობრივ მაჩვენებელს მცირედით აღემატება, ხოლო რაც შეეხება 2017 წელს 6,6%-იანი ზრდა დაფიქსირდა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ინფლაციის მიმდინარე მაჩვენებელი მოსალოდნელზე ნაკლებია, რაც საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობის ფასის მოსალოდნელზე მეტად შემცირებამ განაპირობა. უმრავლესობა თვლის, რომ ინფლაცია გახლავთ მხოლოდ ფასების ზრდა პროდუქციაზე, რასაც კატეგორიულად ვერ დავეთანხმებით, რადგან რეალურად ინფლაცია გახლავთ ფულის რაოდენობის მატება. გასაგებია, რომ ფულის რაოდენობის მატება ხშირად ფასების მომატებაშიც გამოიხატება და სამომხმარებლო ფასის ინდექსით აღირიცხება, თუმცა ყოველთვის ეს ასე არ არის. მიუხედავად იმისა რომ ფულმა დიდი რაოდენობით მოიმატა ფასები შეიძლება მხოლოდ ოდნავ შეიცვალოს. ინფლაციის პროგნოზს რისკები როგორც ზრდის, ასევე შემცირების მიმართულებით აქვს. კერძოდ, ბოლო პერიოდში სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ვალუტების გაუფასურების შემდეგ, თუკი მათ მნიშვნელოვან გამყარებას ექნება ადგილი, ეს მათთან არსებული ინფლაციის საქართველოში იმპორტირებული საქონლის ფასებზე გადმოცემას გააძლიერებს, რაც ინფლაციის დროებითი ზრდის განმაპირობებელი შეიძლება აღმოჩნდეს. ასევე რისკის შემცველია სურსათისა და ნავთობის ფასები, რომელიც სამომხმარებლო კალათის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს და მიწოდების ფაქტორებზეა დამოკიდებული. მეორე მხრივ, პროგნოზთან შედარებით უფრო დაბალი ინფლაცია შეიძლება განაპირობოს ზოგიერთ სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაში ვალუტის მოსალოდნელზე მეტად გაუფასურებამ ან ნავთობსა და სხვა სასაქონლო ჯგუფებზე

შემცირებული ფასების მოსალოდნელზე მეტად გადმოცემამ ადგილობრივ ფასებზე. ინფლაციის პროგნოზში რისკის შემცველია ეკონომიკური აქტივობაც, რომელიც თუ მოსალოდნელზე მაღალი აღმოჩნდა, ინფლაციის პროგნოზირებულზე მეტად ზრდას განაპირობებს, ხოლო თუ მოსალოდნელზე დაბალი - შემცირებას.

**შედეგების ინტერპრეტაცია და დისკუსია.** არსებობს ინფლაციის შემდეგი სახეები:

1. მოთხოვნით გამონვეული ინფლაცია, როდესაც მოთხოვნა მეტია მიწოდებაზე;
2. ხარჯებით გამონვეული, როდესაც პროდუქციის ღირებულება იზრდება თვითღირებულების გაზრდით;
3. ფასწარმოქმნით გამონვეული ინფლაცია, როდესაც მწარმოებლების გარკვეული რაოდენობა შეთანხმებულად ზრდის მზა პროდუქციის ფასებს, მეტი მოგების მისაღებად;
4. სექტორული ინფლაცია, როდესაც იმპორტირებული პროდუქცია ძვირდება. პრაქტიკაში გვხვდება ინფლაციის რამოდენიმე სახე:  
მცოცავი-წელიწადში 10%-მდე. ამ სახის ინფლაცია დამახასიათებელია კარგად განვითარებული ქვეყნებისათვის სადაც ეკონომიკა სტაბილური და მზარდია;  
აჩქარებული- წელიწადში 10-დან 500%-მდე. ინფლაციის ეს დონე აუფასურებს ვალუტას;  
ჰიპერინფლაცია-500%-დან მაღლა. ეს იმას ნიშნავს რომ ქვეყნის ეკონომიკა იშლება; თუ კი გავითვალისწინებთ, რომ ინფლაცია არის ფულის გაზრდილი რაოდენობა, მაშინ შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ დეფლაცია საპირისპირო პროცესია. თუკი ავლნიშნეთ, რომ ინფლაცია სრულად არღვევს ეკონომიკას და ზრდის ღარიბების რიცხვს ქვეყანაში, მაშინ დეფლაცია საშველი

ყოფილა. თუმცა მას უარყოფითი მხარეები აქვს- ესენია: 1. ვალების ლიკვიდაცია ფულის მასის კლებას იწვევს და ამიტომ მცირდება; 2. ქონება იაფდება, სესხის ღირებულება კი უცვლელია 3. დასაქმება, წარმოება იკლებს. საქართველოს საგარეო ვალმა უკვე 15 მილიარდ დოლარს გადააჭარბა, რაც ყოველწლიურად იზრდება. ჩვენი აზრით პრობლემა ცენტრალური ბანკის მიერ განხორციელებული არასწორი ნაბიჯების შედეგია.

ინფლაციის პოსტკომუნისტური ტიპი სხვა ქვეყნების ინფლაციისაგან მისი განვითარების პირობებით განსხვავდება. ინფლაციის პროცესები ყოფილ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში და საქართველოშიც, გასული საუკუნის 60 -იან წლებში შეინიშნებოდა, რაც ძირითადად წარმოების ეფექტიანობის მკვეთრ შემცირებაში აისახებოდა. იგი თავიდანვე ფარულ ხასიათს ატარებდა და სასაქონლო დეფიციტში გამოიხატებოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს ევსამანეთო ზონაში იჩნებოდა, რაც ეროვნულ ბანკს დამოკიდებულს ხდიდა რუსეთის ხელისუფლებაზე, რომელიც ამ ფაქტს ეკონომიკური ზენოლის იარაღად იყენებდა. 1993 წელს მიმოქცევაში შემოვიდა დროებითი ფულის ერთეული-კუპონი, რომელმაც სწრაფი ტემპით იწყო გაუფასურება და საქართველო სუპერინფლაციის ზღვარზე აღმოჩნდა. 1995წ. კი საქართველოს ხელისუფლებამ შემოიღო ეროვნული ვალუტა-ლარი, რამაც ინფლაციური პროცესები მნიშვნელოვნად შეამცირა, მაგრამ ქვეყანაში წარმოების დაბალი დონე იყო არანაირი პერსპექტივა არ იკვეთებოდა. ამის გამო ვერ ხერხდებოდა ეროვნული ვალუტის დამყარება და სამამულო წარმოების პროდუქციით და საჭირო გახდა ეროვნული ვალუტის სხვა ხერხებით გამყარება ამიტომ მოხდა ლარის მიბმა დოლარზე. ბოლო პერიოდის მსოფლიო- ეკონომიკურმა კრიზისმა და რუსეთ -საქართველოს ომმა 2008 წელს, მდგომარეობა საგრძნობლად გააუარესა. მთავრობის მიერ შექმნილ ანტიკრიზისულ პროგრამაში ერთ-ერთი სტრატეგიული მექანიზმი ფულად-საკრედიტო პოლიტიკაა. კრიზისის პირობებში მონეტარული პოლიტიკა სახელმწიფოს ჩარევისაგან არ შეიძლება იყოს თავისუფალი არ უნდა იქნეს დამცველი ეროვნული ვალუტის არც

მცისიერი ხელოვნური გამყარება და არც გაუფასურება. ეროვნულმა ბანკმა უნდა განსაზღვროს ის ოქროს შუალედი, რომელიც უზრუნველყოფს ფასების სტიმულირებას, და მეორე მხრივ ხელს შეუწყობს, ეკონომიკის აღორძინება-განვითარებას. მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში აუცილებელია ეროვნული და ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვა, საგარეო ვალის შემცირება და ქვეყანაში ეფექტიანი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება, სამამულო წარმოების პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, როგორც შიდა ისე საგარეო ბაზარზე.

ინფლაცია, რომელიც 2017 წელს იყო და მოსახლეობის დიდი გამოხმაურება მოჰყვა გარკვეულ წილად მოსალოდნელიც იყო. 2016 წელს გაიზარდა აქციზის გადასახადი ნავთობპროდუქტებზე, თამბაქოზე, სასმელებზე. ყოველივე ამან გამოიწვია შემდეგი: მოცემულ პერიოდში ფასების 8,3 %-იანი მატება დაფიქსირდა სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფზე, რაც 2,53%-ული პუნქტით აისახა წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე. ფასები გაიზარდა ტრანსპორტზე 17,5%. შესაბამისად ჯგუფის წვლილმა ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში 2,13%-ული პუნქტი შეადგინა. ალკოჰოლურ სასმელებზე 1,4 % და თამბაქოზე 31,7%. საშუალოდ ფასები გაიზარდა 15%-ით, რაც წლიურ ინფლაციაზე 0,97 %-ული პუნქტით აისახა. (წყარო საქართველოს სტატისტიკის სამსახური). გარდა ზემოთ აღნიშნულისა პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ არ ეწყობა ხელი ინვესტორს/ბიზმესმენს საქმე აწარმოოს საქართველოში დაასაქმოს მოსახლეობა, უცხოური ვალუტა შემოიტანოს ქვეყანაში.

ეკონომისტების აზრით ეკონომიკის ზრდა პირდაპირ დამოკიდებულია ფულის მატებასთან, რაც არასწორია, რადგან ეკონომიკა მაშინ არის მყარი და მზარდი, როდესაც ცალ-ცალკე თითოეულ ადამიანზე მეტი სანარმოო საშუალებაა და არა მეტი ფული. ასევე მცდარია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ფასების დაწევა დეფლაციაა და იწვევს წარმოების სტიმულირების შემცირებას. პირველ რიგში, ფასების შემცირება სულაც არ ნიშნავს დეფლაციას, ეს შეიძლება გარკვეული ფაქტორების გამო ეკონომიკის ზრდით იყოს გამოწვეული და ასევე ბიზმესმენისათვის ფასების საერთო რაოდენობა კი არ არის მნიშვნელოვანი, არამედ ყიდვა-გაყიდვის ფასებს შორის

არსებული მონაცემები.

**დასკვნა.** არსებობს ინფლაციის პრობლემის გადაჭრის სამი მთავარი გზა: 1. ინფლაციის საინააღმდეგო ქმედების სტრატეგიის შემუშავება, ფისკალურ-ფულადი პოლიტიკის მეთოდებით. 2. თვით ფისკალურ-ფულადი პოლიტიკური ხერხების ისეთნაირად შეცვლით, რომ ინფლაციის დაბალი ტემპები შევინარჩუნოთ. 3. შეიძლება უბრალოდ ვისწავლოთ ინფლაციის პირობებში ცხოვრება ეს ნიშნავს, რომ ყველა ეკონომიკური ინსტიტუტი მთლიანად უნდა იყოს ადაპტირებული ინფლაციის პირობებისადმი. ერთ-ერთი ნაბიჯი ასეთი იქნებოდა საბანკო სარგებლის განაკვეთებზე კონტროლის გაუქმება და საგადასახადო განაკვეთების კორექტირების მექანიზმების შემოღება, რომელიც აღმოფხვრის ინფლაციის ზეგავლენას გადასახადით კაპიტალის დაბეგვრაზე. საქართველოს ეკონომიკური ზრდისა და სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის

გაუმჯობესებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინფლაციის შეფასებას, მისი გამომწვევი მიზეზების შესწავლას და დარეგულირებას. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ბიზნესის კეთებას შეუწყობს ხელს. მან უნდა გაითვალისწინოს, რომ მის მიერ კანონში შეტანილი ცვლილებები, როგორც იყო თუნდაც აქციზის ფასის მომატება ინვესციების დიდ ეკონომიკურ რყევებს და ასეთი მკვეთრი ნაბიჯები მხოლოდ რეალური რეზერვების არსებობის პირობებშია შესაძლებელი, ასევე მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს ექსპორტის განვითარებას, ვინაიდან ექსპორტი, ტურიზმი და ინვესტიცია ის მთავარი ბერკეტებია, რითაც არსებული პრობლემები მთლიანად შეგვიძლია მოვაგვაროთ. რაც შეეხება ეროვნულ ბანკს მისი მხრიდან უნდა გამკაცრდეს რეგულაციები. უნდა გადაიხედოს ყველა ის გზა, რაც ინფლაციის ზრდას უწყობს ხელს და ინფლაციის ზრდის ტემპები 2% დან 3 % მდე უნდა დავიდეს.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. თეთრაული ც. გლობალიზაციის გავლენა ინფლაციურ პროცესებზე. პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან მე-60 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. ტ. 2. ი. ჯავახიშვილის სახელობის თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ. 2012წ.
2. ფიშერი ს. დორნბუმი რ. შმალენზი რ. ეკონომიკა ტ 4, თბ. 1989წ.
3. [http://WWW.geostat. Ge/cms/site.05.2017Geo.pdf](http://WWW.geostat.Ge/cms/site.05.2017Geo.pdf)
4. ინფლაციის ეკონომიკური და სოციალური... (PDF Download Available). Available from: [https://www.researchgate.net/publication/316736124\\_inplatiis\\_ekonomikuri\\_da\\_sotsialuri\\_shedegebi\\_sakartveloshi](https://www.researchgate.net/publication/316736124_inplatiis_ekonomikuri_da_sotsialuri_shedegebi_sakartveloshi) [accessed Apr 29 2018].

### რეზიუმე

თემის არჩევა განაპირობა საქართველოში ბოლო დროს მიმდინარე ეკონომიკურმა მოვლენებმა, რის გამოც ინფლაციამ 6,6%-იანი ზრდა განიცადა წინა წელთან შედარებით და გაამწვავა ისეთი პრობლემები, როგორებიცაა: სიღარიბე, უმუშევრობა, ფასების ზრდა, წარმოების შემცირება, ქვეყანაში სუფევდა სრული ქაოსი და არავინ იცოდა როდის გაჩერდებოდა ფულის გაუფასურება. ამ პერიოდმა ბევრი, რამ გამოაშკარავა. სტატიის შექმნის მიზანიც სწორედ ეს იყო. ტექსტში დეტალურადაა აღწერილი ინფლაციის არსი, ტიპები, წარმოქმნის მიზეზები, ასევე განხილულია ინფლაციის უარყოფითი და დადებითი მხარეები. მსჯელობა, რომელიც რეალური ფაქტებითაა გამყარებული ადასტურებს ნაწერის ჭეშმარიტებას. სტატიის ნაკითხვისას ვიგებთ რა არის დეფლაცია და რა კავშირი აქვს მას ინფლაციასთან. პასუხს ვცემთ კითხვას: არის თუ არა დეფლაცია ინფლაციაზე უფრო დიდი პრობლემა? სიღრმისეულად არის განხილული საქართველოში ინფლაციის გამომწვევი

მიზეზები. აქცენტი გაკეთებულია იმ შეცდომებზე, რომლებმაც გადამწყვეტი როლი ითამაშეს ამ სავალალო შედეგის დადგომაში. სტატიაში საუბარია ასევე არასწორ გადამწყვეტილებებზე, რომელიც ეროვნული ბანკისა და საქართველოს მთავრობისაგან განხორციელდა. ეს მოსაზრებები გამყარებულია ფაქტებით.

სტატიის დასკვნით ნაწილში ვიგებთ, როგორ შეიძლება ამ გამოუვალი მდგომარეობიდან თავის დაღწევა. როგორ უნდა დალაგდეს პრიორიტეტები, რათა შესაძლებელი გახდეს ინფლაციის დარეგულირება და ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევა. სტატია პასუხობს სათაურს და გვიხატავს მართვის მოდელს რომლის დახმარებით ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა სავსებით რეალურია.

## SUMMARY

The name of my topic is “inflation, causes and solutions”. The choice of this topic was caused by economic developments in Georgia, which is a 6,6% increase in inflation compared with the previous year and fueled such problems as poverty, unemployment, rising prices, decline in production. There was a complete chaos in the country and nobody knew when the money would be impaired. This period has a lot to show us. It was the essence of writing the article. SO... we need to learn about our mistakes.

The text is thoroughly described, what is the essence of inflation, the types and the reasons for the creation. There are also negative and positive sides of inflation. Discussion, which is based on real facts, confirms the truth of the writing. When reading the article we learn what deflation is and what the connection with inflation is. We answer the question: is deflation greater problem than inflation? The causes of inflation in Georgia are discussed in depth. Accents have been made on the errors that have played a crucial role to get this terrible result. The article also speaks about the wrong decisions made by the National Bank and the Government of Georgia. These opinions are reinforced by facts.



# პოსტ-კრიზისული სახელმწიფო რეგულირების ფუნდამენტური ცვლი- ლებები, დიდი ბრიტანეთის საბანკო სექტორში

ალეკო ქუთათელაძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი  
ნიკოლოზ დარჩიაშვილი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

**შესავალი.** 2007 – 2009 წწ ფინანსურმა კრიზისმა, საბანკო სექტორის და ფინანსური ბაზრების ეფექტური რეგულირების საკითხები დააყენა. ამიტომ მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების ძალისხმევა მიმართული იქნა საკუთარი საბანკო სექტორის რეგულირების რეფორმირებისაკენ. დიდი ოცეულის ქვეყნების ძალისხმევა მიმართულ იქნა, ნაციონალური რეგულირების სისტემის მოწყობის, ერთიანი მიდგომის შემუშავებისაკენ. ამავე დროს უკვე არსებობდა საბანკო რეგულირების და ზედამხედველობის რეფორმის ძირითადი მიმართულებები, აქედან ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები ოფიციალურად დაამტკიცეს დიდი ოცეულის სამიტზე, ვაშინგტონში 2008 წელსვე.

**ძირითადი ტექსტი.** მსოფლიო ფინანსური კრიზისის და გლობალიზაციის პირობებში, საბანკო სისტემაში აუცილებელი გახდა ახალი რეგულაციების და კანონმდებლობის შემოღება.

2012 წლის შემოდგომაზე ევროკომისიამ წარადგინა კანონპროექტი, რომლის ინიციატივითაც, ევროპის ცენტრალური ბანკი წარმოდგენილი იყო ევროზონის საბანკო საქმიანობის მთავარ რეგულატორად, მას ეკისრებოდა ფინანსურ სტაბილურობასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება. ხოლო ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებს ევალებოდათ ყოველდღიური ზედამხედველობა ევროპის ცენტრალური ბანკის გადამყვეტილებების მომზადებასა და შესრულებაზე. ამ კანონპროექტის წინააღმდეგ გამოვიდნენ გერმანია და დიდი ბრიტანეთი.

დღესდღეობით ლონდონი ევროკავშირის ერთ-ერთ უმსხვილეს და მნიშვნელოვან ფინანსურ ცენტრს წარმოადგენს. ბრიტანეთის მთავრობის აზრით, ევროკომისიის ფინანსური ბაზრების მარეგულირებელ ორგანიზაციებს აქვთ დიდი ძალაუფლება ეროვნული ბაზრების რეგულირების სფეროში, რამაც შესაძლოა მიიყვანოს ქვეყნები, საკუთარი ფინანსური სისტემის კონტროლის ნაწილობრივ დაკარგვამდე. ბრიტანეთის მთავრობა შიშობს, რომ შესაძლოა ბრიტანეთმა დაკარგოს კონტროლი საკუთარ

საბანკო სექტორზე და ევროკომისიის მიერ შემუშავებული გეგმა შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს ევროკავშირის ცალკეული ქვეყნების ინტერესებს და არღვევდეს მათ ფინანსურ დამოუკიდებლობას.

ამჟამად ბრიტანეთში, საბანკო რეგულირების ფუნქციები ენიჭება ინგლისის ბანკს, რომელსაც აკისრია ორი ძირითადი ფუნქცია:

1) ფუნქტი სტერლინგის ღირებულების და სტაბილური მონეტარული მიმოქცევის კონტროლი და შენარჩუნება, ანუ ფულადი სტაბილურობის უზრუნველყოფა. მონეტარული პოლიტიკის ჩასატარებლად ინგლისის ბანკი იყენებს საპროცენტო განაკვეთს. 2009 წლის მარტიდან, საპროცენტო განაკვეთთან ერთად, ინგლისის ბანკიაქტივების შექმნით, აკონტროლებს ფულის მიწოდების რაოდენობრივ პარამეტრებს.

2) ინგლისის ბანკი პასუხისმგებელია, მთლიანად ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობაზე. ინდივიდუალური საფინანსო ინსტიტუტების სტაბილურობაზე პასუხისმგებელია ფინანსური რეგულირების ორგანო (ინანციალ შერვიცეს უტჰორიტყ). ბრიტანეთის ფინანსური უსაფრთხოების და ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, ინგლისის ბანკი ახდენს ფინანსური და სხვა რისკების შეფასებას და ახორციელებს შესაბამის ზომებს, მათი შემცირების მიზნით. ამისათვის ინგლისის ბანკი ახორციელებს ბაზრის კვლევას, ატარებს ანგარიშგების და საგადასახადო სისტემების მონიტორინგს, აკონტროლებს საბანკო ოპერაციების ჩატარებას და ღია საბაზრო ოპერაციებს. რისკების სწორად შეფასებისათვის საჭიროა: რისკის წყაროების ძიება; სიტუაციის შემდგომი განვითარების პროგნოზირება; რისკის მნიშვნელობის შეფასება. ამასთანავე ინგლისის ბანკი აწარმოებს დაკვირვებას, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო საფინანსო სისტემის მდგომარეობაზე. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბრიტანეთის პარტნიორებს ვაჭრობასა და ფინანსურ ოპერაციებში.

რისკის განსაზღვრის უმნიშვნელოვანესი ეტაპები არის სიტუაციის განვითარების პროგნოზირება და მისი სერიოზულობის

შეფასება. რამდენადაც ფინანსურ ბაზარზე მონაწილეებს შორის საკმაოდ რთული ქსელური დამოკიდებულება არსებობს, ერთ-ერთი მათგანის საქმიანობაში ჩავარდნამ შეიძლება სწრაფად მოახდინოს საქმიანობის დესტაბილიზაცია. ამის ნათელი მაგალითებია: უმსხვილესი ფინანსური ინსტიტუტების გაკოტრება, საბინაო სესხების ბაზარზე ამერიკაში; საბერძნეთის საგარეო ვალის პრობლემები, რომლებიც წარმოადგენს, უმსხვილეს საბანკო ოფშორებს. რისკის სიმძიმის შესაფასებლად ინგლისის ბანკი ახდენს სტრესული ტესტირების ჩატარებას. სტრეს-ტესტირება გულისხმობს გარკვეული მეთოდების ჯგუფს, რომელიც გამოიყენება მარეგულირებლის მიერ ინსტიტუტების მგრძობელობის და უკიდურესი ფინანსური სისტემის შესაფასებლად. ინდივიდუალური საფინანსო ინსტიტუტის დონეზე, სტრესის ტესტი შეიძლება განისაზღვროს, როგორც სესხის პორტფელის ღირებულების ცვლილება, როდესაც მისი გარკვეული პარამეტრების შეცვლა ხდება აქტივების ფასებზე. საერთაშორისო სავალუტო ფონდის განმარტებით ცალკე ფინანსური ინსტიტუტის დონეზე, სტრესის ტესტირება არის პორტფელის მგრძობელობის საზომი ტექნიკის კომპლექტი, ექსტრემალური, მაგრამ რეალური რყევების მიმართ.

ფინანსური ინსტიტუტების კონტროლისა და ზედამხედველობის ხარისხი დამოკიდებულია რისკის ხარისხზე, ორგანიზაციები, რომლებიც წარმოადგენენ მნიშვნელოვან რისკებს, მუდმივად იმყოფებიან კონტროლისა და მონიტორინგის ქვეშ. რეგიონალური ბანკები და მცირე საკრედიტო დაწესებულებები, ფინანსური კონტროლის ორგანოს ანგარიშს წარუდგენენ წელიწადში ორჯერ. იურიდიული დოკუმენტების თანახმად, მარეგულირებელი არის დამოუკიდებელი,

2009 წლის მეორე ნახევარში, ბრიტანეთის მთავრობამ განახორციელა რადიკალური რეფორმა ფინანსურ სექტორში, რომლის მიზანიც იყო, გაკოტრებისთვის ზედმეტად ძლიერი ფინანსური ინსტიტუტების წარმოქმნის შეზღუდვა. საბანკო სექტორის რეგულირების რეფორმის მთავარი მიზეზი გახდა ფინანსური რეგულირების ორგანოს (ინანციალ შერვიცეს უტპორიტყ) უუნარობა, კრიზისული მოვლენების თავიდან აცილების საკითხში. მარეგულირებელმა სისტემამ უნდა განახორციელოს კონტროლი არა მხოლოდ სამომხმარებლო სესხების სფეროში, არამედ

ფინანსური ინსტიტუტების საინვესტიციო ოპერაციების სფეროში. აშკარა გახდა, რომ აუცილებელია მონეტარული და საკრედიტო პოლიტიკისა და ფინანსური რეგულირების უფრო ეფექტური კოორდინაცია. ბრიტანეთში საბანკო სექტორის რეფორმის დროს გათვალისწინებული იქნა რეგულირების ახალი პრინციპები. საბანკო ზედამხედველობის ფუნქცია მიენიჭა ფინანსური რეგულირების ორგანოს (შ), რომელიც გამოყოფილი იქნა ინგლისის ბანკისგან. ასევე, 2007–2009 წლების კრიზისის დროს, მიღებულ იქნა რამდენიმე საკანონმდებლო აქტი, რომელმაც მნიშვნელოვანი ცვლილებები მოახდინა ფინანსური ბაზრის რეგულირებაში.

მიღებულ იქნა სანაციის სპეციალური რეჟიმი. ეს რეჟიმი ხელს უწყობს საფინანსო ორგანიზაციების გაკოტრების თავიდან აცილებას, პრობლემების გადაჭრისათვის სპეციალური მექანიზმების გამოყენების გზით: მისინაწილის საბანკოანკერძოსექტორშირეალიზაციით.

მისინაწილის საბანკოსფეროში ან “შუალედური” ფინანსური ორგანიზაციისთვის (ბრიდგე ბანკ) გადაცემით, რომელიც ეკუთვნის ინგლისის ბანკს.

დროებითინაციონალიზაციის გზით.

დიდი ბრიტანეთისფინანსურირეგულირებისრეფორმირებისძირითადი მიმართულებები 2010 წელს იქნადახვეწილიდადაზუსტებული. ინგლისის ბანკის დირექტორთა საბჭოში შეიქმნაფინანსურიპოლიტიკისკომიტეტი, რომელიც ატარებს მაკროპრუდენციულ რეგულაციას ფინანსური სისტემის შენარჩუნების მიზნით, რათა უზრუნველყოს მისი სტაბილურობა და საიმედოობა. ამ მიზნების მისაღწევად, ფინანსური პოლიტიკის კომიტეტი ახორციელებს მონიტორინგს საბანკო სექტორის მდგომარეობის შესახებ, ავლენს ფინანსური სტაბილურობის სისტემურ რისკებს და საფრთხეს, იღებს ზომებს მათ აღმოსაფხვრელად. რეფორმატორთა აზრით, კომიტეტის წევრები უნდა იყვნენ, მონეტარული პოლიტიკის მმართველის მოადგილე, ფინანსური სტაბილურობის მმართველის მოადგილე, პრივატული დებულების მმართველის მოადგილე, გარე მონაწილეები, ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი. ამას გარდა, საბანკო სექტორის საიმედოობის გაზრდის მიზნით შეიქმნება დამატებითი ინსტიტუტები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ბაზრის სტაბილიზაციას. ამგვარად ფინანსურ ბაზრებზე ფინანსური

ინსტიტუტების ქცევასა და ინვესტირების დაცვაზე პასუხისმგებელი გახდება, სამომხმარებლო დაცვისა და ბაზრის სააგენტო, ეკონომიკური დანაშაულის სააგენტო განახორციელებს პოლიტიკას ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში და ა.შ.

2010 წლის ივლისიდან დაიწყო მუშაობა დამოუკიდებელმა საბანკო კომისიამ, მისი საქმიანობის სფეროა – საბანკო სექტორში სისტემური რისკის შემცირება და მისი რეფორმის სტრატეგიის შემუშავება.

კომისიის კიდევ ერთი წინადადება იყო ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების ზრდა 10% – მდე. უსაფრთხოების შესაქმნელად, ბრიტანეთის ბანკებს მოუწოდებენ გამოსცეს ვალის ინსტრუმენტები (ობლიგაციები). შოკებისა და გაკოტრების საფრთხის შემთხვევაში, ეს ინსტრუმენტები ჩვეულებრივ აქციებად შეიძლება კონვერტირდეს. ანალიტიკოსების აზრით, კონვერტირებადი ობლიგაციების მოცულობა შეიძლება იყოს რისკის მიხედვით შენონილი აქტივების დაახლოებით 5%.

დასკვნა. ბრიტანეთის საბანკო სექტორის რეფორმის მთავარი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ უზრუნველყოს ფინანსური ბაზრის ზედამხედველობის გამოსვლა ხელისუფლების კონტროლიდან. აღმასრულებელი ხელისუფლების ყურადღება უნდა იყოს ორიენტირებული ფინანსური მომსახურების მომხმარებელთა დაცვისა და ფინანსური ბაზრის მარეგულირებელზე. ინგლისის ბანკი რჩება დამოუკიდებელ ინსტიტუტად, რომელიც დაფუძნებულია კერძო კაპიტალზე. იცვლება რეგულირების იდეოლოგიაც – ახლა პოლიტიკოსებს არ ექვემდებარება ზედამხედველობა, რათა ვერ მოახდინონ ზეგავლენა ზედამხედველობის ეფექტურობაზე, ხოლო სამეთვალყურეო ორგანო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები, რომელიც დაკავშირებულია მომხმარებელთა მომსახურების უსაფრთხოების დაცვასთან.

2013 წლისთვის, დიდი ბრიტანეთის საბანკო სისტემის რეგულირების საკითხები, სრულად იქნა რეფორმირებული.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. [http://ecsocman.hse.ru/data/2011/05/06/1268031262/G20\\_and\\_EU.pdf](http://ecsocman.hse.ru/data/2011/05/06/1268031262/G20_and_EU.pdf)
2. <http://www.interfax.ru/business/45783>
3. <https://www.bis.org/publ/joint24.pdf>

#### რეზიუმე

მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა, საბანკო სექტორის და ფინანსური ბაზრების ეფექტური რეგულირების საკითხები დააყენა. მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების ძალისხმევა მიმართული იქნა საკუთარი საბანკო სექტორის რეგულირების რეფორმირებისაკენ. აუცილებელი გახდა ახალი რეგულაციების და კანონმდებლობის შემოღება. ევროკომისიამ წარადგინა კანონპროექტი, რომლის ინიციატივითაც, ევროპის ცენტრალური ბანკი წარმოდგენილი იყო ევროზონის საბანკო საქმიანობის მთავარ რეგულატორად. ბრიტანეთის მთავრობის აზრით, ევროკომისიის ფინანსური ბაზრების მარეგულირებელ ორგანიზაციებს აქვთ დიდი ძალაუფლება ეროვნული ბაზრების რეგულირების სფეროში, ამჟამად ბრიტანეთში, საბანკო რეგულირების ფუნქციები ენიჭება ინგლისის ბანკს.

#### SUMMARY

#### FUNDAMENTAL CHANGES IN POST-CRISIS STATE REGULATION, IN THE UK BANKING SECTOR

Nikoloz Darchiashvili,  
PhD student Georgian Technical University  
Aleko Kutateladze

Georgian Technical University, Professor

The global financial crisis has raised issues of banking sector and financial regulation of financial markets. The efforts of leading world leaders have been directed to reforming their banking sector regulations. It is essential to introduce new regulations and legislation. The European Commission submitted a draft law initiated by the European Central Bank as a key regulator for eurozone banking activities. According to the British Government, the European Commission's financial markets regulating the huge market in regulating the national markets, currently in the UK, banking regulation functions are awarded to the Bank of England.



# რეგიონების ეკონომიკური განვითარების და ზრდის თეორიული ასპექტები

**ნოდარ გრძელიშვილი;**  
**საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის**  
**ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი**  
**გიორგი ლალუაშვილი**  
**საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის**  
**ეკონომიკისა და ბიზნეს სკოლის დოქტორანტი;**  
**ეკატერინე გიგოლაშვილი**  
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი**

ეკონომიკური ზრდის ტემპების კვლევისას მეცნიერები დიდ ყურადღებას უთმობენ ისეთ საკითხებს როგორცაა: სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და მისი დონე. ეკონომიკური ზრდა განისაზღვრება წარმოების პროცესის რაოდენობრივი მახასიათებლებით, რომლის ძირითადი მაჩვენებლებია მთლიანი შიდა პროდუქტისა და მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდა.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თეორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პასუხს კითხვებზე:

აქვს თუ არა განვითარებას ყოველთვის პოზიტიური ხასიათი;

შეიძლება თუ არა განვითარება "მინუს" ნიშნით და თუ ასეთი შესაძლებლობა რეალურია, მაშინ რამდენად მდგომარეობს, რა განაპირობებს ასეთ უკუქცევით განვითარებას;

ტრანსფორმაცია ორი სახით განისაზღვრება. პირველ რიგში იგი განიხილება როგორც ხარისხობრივი ცვლილებების მაჩვენებლები. ტრანსფორმაციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ამ დროს ვლინდება სწორედ ახალი ხარისხი და არა რაღაც მხოლოდ რაოდენობრივი ცვლილებები. მეორე მხრივ ტრანსფორმაცია განიხილება, როგორც სხვადასხვა სახის ცვლილებების მონაცვლეობა, რაც ტრანსფორმაციას ხდის გარკვეულწილად შექცევადი ხასიათისა.

ეკოლუცია-ეს არის შინაგანი ერთობლივი თანმიმდევრობა ბევრი ტრანსფორმაციების, რომლებიც ერთიმეორიდან გამომდინარეობს, რომლის დროსაც ობიექტი იცვლის თავის ბუნებას, გამოვლინების ხასიათს, ფუნქციას. ხანგრძლივი ეკოლუციის მაგალითია კაპიტალიზმი და თანამედროვე, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა.

განვითარება - ეს არის ხანგრძლივი პროცესი, რომლის დროსაც ხდება ცვლილებები ობიექტების ბუნებაში, მამოძრავებელ ძა-

ლებში, მათ ხასიათში, გავრცელებაში. ეს ცვლილებები არის ხანგრძლივი და შეუქცევადი. ფაქტიურად მეცნიერებაში შეიცვალა განვითარების, როგორც სწორხაზოვანი პროცესის ხედვა და სწორხაზოვანი განვითარება განიხილება, როგორც განვითარების ერთი შესაძლო ვარიანტი.

თანამედროვე ხედვა დამყარებულია სისტემურ მიდგომაზე და აღიარებულია, რომ განვითარებას და მის შემადგენელ ელემენტებს ციკლური ხასიათი გააჩნია. განვითარების პროცესის გაგებისადმი ასეთი მიდგომა თეორიულად უშვებს რეგრესის, დეგრადაციის შესაძლებლობას, უკუსვლას რთულიდან მარტივისაკენ. მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით მკვლევარები იმ დასკვნამდე მიდიან, რომ განვითარების პროცესი უნივერსალური არ არის და განვითარება "პლიუს" ნიშნით სულაც არ არის გარდაუვალი. განვითარების პოტენციური შესაძლებლობების რეალიზაციისათვის საკმარისი არ არის განვითარებისათვის საჭირო რესურსების არსებობა. ამისათვის დიდი ძალისხმევაა საჭირო, რომ ეს რესურსები მიზნობრივად იყოს გამოყენებული. თუკი ასეთ ძალისხმევას არ ექნება ადგილი, მაშინ რესურსების ასეთი სიჭარბე იწვევს დეგრადაციას და დაქვეითებას.

XX საუკუნის მეორე ნახევარში საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თეორიის ფორმირებაზე დიდი გავლენა იქონია სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ, რომელმაც მკაცრი მოთხოვნები წამოაყენა, მომუშავეთა მაღალი კვალიფიკაციისა და შრომის თანამედროვე ორგანიზაციის კუთხით. მსოფლიო ბანკის 1991 წლის მოხსენებაში მოცემულია ეკონომიკური განვითარების განმარტება. ის განხილულია არა მარტო, როგორც საერთო ხარისხობრივი განვითარების პროცესი, არამედ როგორც



კონკრეტულად ადამიანის განვითარებისაკენ მიმართული პროცესი. განვითარების მიზანია ცხოვრების დონის გაუმჯობესება, რაც ნიშნავს შემოსავლების ზრდას, განათლების დონის, კვების და ჯანდაცვის ხარისხის გაუმჯობესებას, პიროვნების თავისუფლების ხარისხის ზრდას და მასობრივი სიღარიბის დაძლევას.

რეგიონების განვითარების მიზნების შესაბამისად იგება მისი განვითარების მახასიათებლებისა და მაჩვენებლების სისტემა.

ქვეყნებსა და რეგიონებს შორის, განვითარების მიზნებში რამდენადმე არსებული განსხვავებების მიუხედავად, საერთაშორისო ორგანიზაციები ქვეყნებისა და რეგიონების განვითარების დონესა და ხარისხს აფასებენ ზოგიერთი უნივერსალური ინტეგრალური მაჩვენებლების მიხედვით. ერთ-ერთ ასეთ მახასიათებელ მაჩვენებელს წარმოადგენს ადამიანის განვითარების ინდექსი, რომელიც შემუშავებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის ფარგლებში. მოცემული მაჩვენებელი ქვეყნის რანჟირებას ახდენს 0-დან 1-მდე.

გაანგარიშებისათვის გამოიყენება ეკონომიკური განვითარების სამი მაჩვენებელი:

1. სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა;
2. ინტელექტუალური პოტენციალი (მოზრდილი მოსახლეობის განათლების დონე და სწავლის საშუალო ხანგრძლივობა);
3. სულადობრივი შემოსავლების სიდიდე, ვალუტის მსყიდველობითი უნარის გათვალისწინებით და შემოსავლების ზღვრული სარგებლიანობის შემცირების მხედველობაში მიღებით.

რეგიონთაშორის შედარებისას, ისე როგორც საერთაშორისო ანალიზისას შეიძლება გამოყენებული იქნას ადამიანის განვითარების ინდექსი და სხვა მაჩვენებლებიც.

რეგიონის განვითარების კერძო მაჩვენებლებია:

1. ეროვნული შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე;
2. ცალკეული მატერიალური სიკეთის მოხმარების დონე;
3. შემოსავლების დიფერენციაციის ხარისხი;
4. სიცოცხლის ხანგრძლივობა;
5. ფიზიკური ჯანმრთელობის დონე;
6. განათლების დონე;
7. მოსახლეობის კეთილდღეობის ხა-

რისხი.

მიზანშეწონილია გამოვიყენოთ რეგიონების განვითარების გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები, მათი შესაბამისი ეკონომიკური განვითარების კრიტერიუმები.

#### **გრძელვადიანი მიზნებს მიეკუთვნება:**

1. პოსტინდუსტრიული საზოგადოების აგება და განვითარება;
2. უმაღლესი ხარისხის კვალიფიკაციის სამუშაო ადგილების შექმნა;
3. ცხოვრების დონის ამაღლება ქვეყნის ყველა მოქალაქისათვის, მათ შორის ჯანმრთელობის, განათლებისა და კულტურის დონის ჩართვით.

#### **მოკლევადიანი მიზნებს მიეკუთვნება:**

1. კრიზისის დაძლევა;
2. მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდის კონკრეტულ სიდიდეთა მიღწევა.

რეგიონული განვითარების ტაქტიკური მიზნების სახით გამოვიან შუალედური ამოცანები, რომლებიც ასრულებენ წარმატებული განვითარების აუცილებელი პირობების როლს.

რეგიონული განვითარების ტექნიკურ ამოცანებს მიეკუთვნება:

1. ბიზნესის ახალ სახეობათა შემოღება;
2. არსებული ბიზნესის გაფართოება;
3. მცირე ბიზნესის განვითარება;
4. ქალაქის ცენტრალური ინფრასტრუქტურის განვითარება;
5. მრეწველობის განვითარება;
6. მომსახურების სფეროს განვითარება.

რეგიონის ეკონომიკური განვითარების დონის განსაზღვრაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტრადიციულ მაჩვენებლებს, რომლებიც აფასებენ წარმოებისა და მატერიალური სიკეთის მოხმარების დონეს, აგრეთვე ამ დონის ზრდას მოსახლეობის ერთ სულზე, მთლიანი შიდა პროდუქტი, რეალური ერთობლივი შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე, ამ მაჩვენებლის ზრდის ტემპები.

ხშირად ისეთ ტრადიციულ ეკონომიკურ მაჩვენებლებს, როგორცაა ერთობლივი შიდა პროდუქტი, სულადობრივი შემოსავალი, შრომის ნაყოფიერება და მათი ზრდის ტემპი, არ ძალუძთ სრული სახით ასახონ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. ამიტომ მნიშვნელოვანია სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელი, მოსახლეობის ჯანმრთელობის დონის მაჩვენებელი, განათლებისა და კვალიფიკაციის ხარისხი. წარმოების სტრუქტურულ ცვლილებათა მაჩვენებლები. ამრიგად, რეგიონის დონეზე

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესაბამისი მაჩვენებლებია:

1. შიდა ეროვნული პროდუქტი, ან მთლიანი შიდა პროდუქტი, როგორც აბსოლუტური სიდიდე, ასევე მოსახლეობის ერთ სულზე და ამ მაჩვენებლების ზრდის ტემპი;
2. მოსახლეობის შემოსავლების საშუალო დონე და მათი დიფერენციაციის ხარისხი;
3. სიცოცხლის ხანგრძლივობა და ადამიანების ფიზიკური ჯანმრთელობის დონე;
4. განათლების დონე;
5. მატერიალური სიკეთისა და მომსახურების დონე (კვების პროდუქტების, საცხოვრებლის, სატელეფონო მომსახურების), ხანგრძლივი გამოყენების საქონლით საოჯახო მეურნეობის უზრუნველყოფა;
6. ჯანმრთელობის დონე (პოლიკლინიკებით, საავადმყოფოებით, აფთიაქებით, დიაგნოსტიკური ცენტრებითა და სასწრაფო დახმარების მომსახურებით უზრუნველყოფა, შემოთავაზებული სამედიცინო მომსახურების ხარისხი);
7. გარემომცველი გარემოს მდგომარეობა;
8. ადამიანების შესაძლებლობათა თანასწორობა და მცირე ბიზნესის განვითარება;
9. ადამიანის კულტურული ცხოვრების დონე და განვითარება.

როგორც ვხედავთ რეგიონის ეკონომიკური განვითარების შეფასების სტანდარტულ წესს წარმოადგენს წარმოების დონის შეფასება, მაგრამ ასეთი შეფასება თანამედროვე პირობებში აშკარად ცალმხრივი და არასაკმარისია. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შეფასების მიდგომები ითვალისწინებს რეგიონის განვითარების დონის შეფასებისას განხილული იქნას არამარტო წარმოების მოცულობა, არამედ ისეთი ასპექტებიც, როგორცაა განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, გარემომცველი გარემოს მდგომარეობა, თანაბარი შესაძლებლობები ეკონომიკურ სფეროში, ცხოვრების კულტურა და ა.შ.

რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შინაარსის გაგებაში შედის ისეთი ძნელად გასაზომი სუბსტანცია, როგორცაა მოსახლეობის ცხოვრების დონის კულტურა. რეგიონის ეკონომიკური განვითარების

დადებითი დინამიკა შესაძლოა მხოლოდ მოსახლეობის კულტურული ცხოვრების გამდიდრების პირობებში. რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას მხოლოდ მაშინ აქვს დადებითი დინამიკა, როდესაც სხვა თანაბარ პირობებში სახეზეა თითოეული ადამიანის პირადი თავისუფლების გაფართოების ტენდენცია. მათ შორის ეკონომიკურ სფეროშიც, რომელიც ვლინდება მცირე და საშუალო ბიზნესის ეფექტიანი მხარდაჭერის პირობებში.

განვიხილოთ ზოგიერთი თეორიული მოსაზრება, რომლებიც ეხება რეგიონების ეკონომიკური განვითარების ტენდენციებს:

1. სივრცობრივ უპირატესობათა თეორია, ანუ განთავსების თეორია ამ თეორიის მიხედვით სივრცობრივი უპირატესობანი ვლინდება ნებისმიერ ეკონომიკურ საქმიანობაში. ამ თეორიის პრინციპები აიძულებენ სხვადასხვასანარმოებს განთავსდნენ კონკრეტულ გარკვეულ რეგიონებში. ასემაგალითადალუმინის მრეწველობას იზიდავს იაფი ელექტროენერჯის წყაროები, მეტალურგიულ ქარხნებს რკინის მადნისა და კოქსის მოპოვების საბადოების ადგილები. ნებისმიერი საწარმოები, რომლებიც ნედლეულზე არიან დამოკიდებული, მხოლოდ ნედლეულის წყაროების სიახლოვეს განლაგდებიან, ზოგიერთი საწარმო, რომლებიც ორიენტირებულნი არიან ადგილობრივ ბაზარზე და ანგარიშს უწევენ სატრანსპორტო დანახარჯებს განლაგდებიან გასაღების ბაზრების სიახლოვეს. თითოეული რეგიონი, თითოეული ქალაქი ფლობს ტერიტორიულ უპირატესობას, რაც დაკავშირებულია ან ნედლეულის წყაროებთან, ან წარმოების სხვა ფაქტორებთან (სამუშაო ძალა, მიწა, ენერჯია), ან გასაღების ბაზრებთან სიახლოვეს;
2. რეგიონების ეკონომიკური განვითარების ტენდენციები დაკავშირებულია არამარტო თეორიასთან, არამედ ეკონომიკური განვითარების პრაქტიკასთანაც. კერძოდ ის ეფუძნება აგლომერაციის, კონცენტრაციის და წარმოების კომბინირების კანონზომიერებებს. მსხვილ ქალაქებსა, ან ქალაქურ აგლომერაციებში დამატებითი ეკონომია ან დამატებითი ეკონომიკური ეფექტი მიიღწევა იმასთან დაკავშირებით, რომ წარმატებით ფუნქციონირებადი საწარმოების

ირგვლივ ფორმირდება გარკვეული გარემო და საერთო რესურსები (შრომითი, ენერგეტიკული, ინფრასტრუქტურული), ერთობლივად გამოყენების შედეგად აღწევენ დამატებით ეკონომიას. მსხვილ ქალაქებში მრეწველობის მაღალი კონცენტრაცია საშუალებას იძლევა მიღებულ იქნას დამატებითი ეკონომია, რომელიც მიიღწევა აგლომერაციული ეფექტის შედეგად (მსხვილი აგლომერაციის ყველა საწარმოთა ერთობლივი დანახარჯები ნაკლებია, ვიდრე ცალკეულ საწარმოთა დანახარჯები, ასეთი აგლომერაციის ფარგლებს გარეთ მათი ცალკე განლაგების შემთხვევაში). მსხვილ ცენტრებში წარმოიქმნება მათი განვითარების დამატებითი პოტენციალი იმის მეშვეობით, რომ მაღალკვალიფიციური საქმიანობის ზოგიერთი სახეობა შესაძლებელია მხოლოდ მსხვილ ცენტრებში;

3. ეფექტიანი პირობებით რეგიონის ეკონომიკური განვითარების ნაყოფიერ ტენდენციას წარმოადგენს ძირითადი და დამხმარე წარმოების კონცეფცია. ნებისმიერ რეგიონში შეიძლება გამოვყოთ ძირითადი მრეწველობა, ანუ ის პროდუქცია, რომელიც ძირითადად გაიტანება რეგიონიდან და დამხმარე წარმოება, რომლის პროდუქციაც უპირატესად მოცემული რეგიონის ფარგლებში მოიხმარება. მაგალითის სახით შეიძლება განვიხილოთ მანქანათმშენებელი ქარხანა (როგორც ძირითადი წარმოება) და მთელი მისი მომსახურე ინფრასტრუქტურა - ფოსტა, საბავშვო ბაღები, სკოლები, პოლიკლინიკები, ბანკები, სადაზღვევო დაწესებულებები, სატრანსპორტო სამსახური, მშენებლობა განიხილება, როგორც მისი დამხმარესაშუალება. ჩვეულებრივ ძირითადი წარმოების გაფართოებისას იზრდება მისი მომსახურე ინფრასტრუქტურაც. წარმოიქმნება ხოლმე ე.წ. მულტიპლიკაციური ეფექტი: ძირითადი წარმოება შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ეკონომიკური ზრდის თავისებური დამაჩქარებელი.

ძირითადი წარმოება შესაძლებელია იყოს არა მარტო ეკონომიკური ზრდისა და განვითარების დამაჩქარებელი, არამედ ასევე განვითარების დამამუხრუჭებელიც, კერძოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სამუშაო ადგილების რაოდენობა ძირითად წარმოებაში მცირდება სტრუქტურული გარდაქმნის პროცესში.

სწრაფი სტრუქტურული ძვრებისას, რომელიც განპირობებულია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით, რეგიონის წარმატებული განვითარების მთავარ ფაქტორად იქცევა არა ძირითადი წარმოება, არამედ დამხმარე წარმოება. რეგიონის გრძელვადიანი განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად არის იქ განვითარებული ინფრასტრუქტურა და რამდენად არის ეს უკანასკნელი მზად თავის თავზე აილოს ახალი ძირითადი წარმოების დატვირთვა. რაც მეტად არის განვითარებული ინფრასტრუქტურა, მით უფრო მოქნილია რეგიონის მთელი ეკონომიკა. ეს საფუძველს იძლევა დამხმარე წარმოება შევადგასოთ, როგორც ეკონომიკური განვითარების პირველადი ფაქტორი. ამრიგად რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის კომპლექსური შეფასების კომპონენტებია:

1. მიმდინარე სამეურნეო საქმიანობის შედარებითი მასშტაბები;
2. დაგროვილი ეკონომიკური პოტენციალი;
3. ტერიტორიის ინფრასტრუქტურული ათვისება;
4. მოსახლეობის ცხოვრების საერთო დონე;
5. შრომის ბაზრის განვითარება და მდგომარეობა;
6. სამომხმარებლო ბაზრის განვითარება;
7. საინვესტიციო აქტივობა;
8. სოციალური ინფრასტრუქტურის დარგების საერთო განვითარების დონე;
9. მოსახლეობის საფინანსო-საბიუჯეტო უზრუნველყოფა;
10. საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობა და საგარეო ეკონომიკური კავშირების ინტენსივობა;
11. მცირე საწარმოთა განვითარება;
12. სოციალური სტაბილურობა.

რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის კომპლექსური საბაზისო ინდიკატორების რიცხვში ჩართულია:

1. მთლიანი რეგიონული პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე;
2. ინვესტიციების მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე;
3. ექსპორტისა და იმპორტის ჯამური მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე;
4. რეგიონის ფინანსური უზრუნველყოფა ერთ სულ მოსახლეზე;
5. მცირე საწარმოებში დასაქმებულთა პროცენტული წილი ეკონომიკაში დასაქმებულთა საერთო რიცხვში;
6. რეგისტრირებული უმუშევრობის დონე



- (უმუშევართა პროცენტული წილი, ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში);
7. საშუალო სულადობრივი შემოსავლის პროცენტული შეფასება;
  8. მოსახლეობის პროცენტული წილი, რომელთა შემოსავალი საარსებო მინიმუმზე დაბალია;
  9. საცალო საქონელბრუნვა ერთ სულ მოსახლეზე;
  10. ეკონომიკის დარგების ძირითადი ფონდები ერთ სულ მოსახლეზე;
  11. სოციალური ინფრასტრუქტურის დარგების განვითარების დონე.

საქართველოს რეგიონების განვითარების დიაგნოსტიკა უნდა დაეფუძნოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზს, მათი ტენდენციების თავისებურებათა გამოვლენას, დეპრესიის განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორების დადგენას. რეგიონული ეკონომიკის განვითარების განსაზღვრულ ფაქტორად უნდა განვიხილოთ ეკონომიკური ზრდა. ეკონომიკური ზრდა გულისხმობს, ეროვნული წარმოების რეალური მოცულობის გრძელვადიან ცვლილებას, რომელიც დაკავშირებულია მწარმოებლური ძალების განვითარებასთან დროის გრძელვადიან პერიოდში.

ეკონომიკური ზრდისას, შრომის ოპტიმალური დანაწილების, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის უახლესი მიღწევების გამოყენებისა და წარმოების პროცესის მუდმივი განახლების პირობებში, შესაძლებელია შეზღუდული რესურსების რაციონალური გამოყენება, პროდუქტის გამოშვების რეალური მოცულობის გადიდება და საზოგადოების მზარდი ეკონომიკური მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილება.

ეკონომიკური ზრდა ეკონომიკური განვითარების შემადგენელი ნაწილია, თავის მხრივ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება განსაზღვრავს ეკონომიკური ზრდის ტემპებს და წარმოების ეფექტიანობას. ეკონომიკური განვითარების მიზანს წარმოადგენს ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, რაც განსაკუთრებით ღარიბ ქვეყნებში უპირველეს ყოვლისა ნიშნავს შემოსავლების გადიდებას, მაგრამ არა მხოლოდ ამას, ის აგრეთვე მოიცავს საუკეთესო განათლებას, კვებასა და ჯანმრთელობის დაცვას, სიღარიბის მაშტაბების შემცირებას, გარემომცველ გარემოს გაჯანსაღებას, შესაძლებლობების

გათანაბრებას პიროვნულ თავისუფლებას, გაფართოებასა და უფრო ინტენსიურ კულტურულ ცხოვრებას.

ყოველივე ზემოთქმულის მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური ზრდა და მისი მაღალი ტემპით უზრუნველყოფა. ეკონომიკური ზრდა გამოიხატება მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური მოცულობის ზრდაში, მაგრამ საზოგადოებრივი ღირებულება გააჩნია, ისეთ ეკონომიკურ ზრდას, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის ეკონომიკური მოთხოვნილებების უფრო მაღალ დონეზე დაკმაყოფილებას და მომავალი თაობის განვითარებისათვის მატერიალური ბაზის ფორმირებას. გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა ანუ მ.შ.პ-ის რეალური მოცულობის გრძელვადიანი გადიდება, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების, სიღარიბის შემცირების, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების, მოსახლეობის სოციალური დაცვის, ეროვნული სიმდიდრის ზრდისა და მომავალი თაობის ნორმალური ცხოვრებისათვის აუცილებელი მატერიალური ბაზის ფორმირების, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისა და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებელი პირობაა.

ეკონომიკური ზრდის ეფექტიანობა გულისხმობს:

- ✓ ქვეყნის რეგიონულ და მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, მაღალხარისხიანი პროდუქციის გამოშვებას;
- ✓ მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის უახლესი მიღწევებისა და ახალი ტექნოლოგიების წარმოებაში დანერგვასა და მის საფუძველზე წარმოების პროდუქტიულობის ამაღლებას;
- ✓ შეზღუდული საწარმოო რესურსების ეფექტიან განაწილებას ქვეყნის რეგიონებსა და დარგებს შორის;

ეკონომიკური ზრდის ტემპი დამოკიდებულია წარმოებაში განეული დანახარჯების ეკონომიკურ ეფექტიანობაზე. ეკონომიკური ზრდის ეფექტიანობასთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს "ეკონომიკური ზრდის ხარისხს" ერთი შეხედვით "ეკონომიკური ზრდის ხარისხი" შეიძლება "ეკონომიკური განვითარების" იდენტურად ჩაითვალოს, თუმცა მათ შორის არსებობს განსხვავება.

ეკონომიკური განვითარება მოსახლეო-



ბის ცხოვრების დონის ამაღლებასთან და სიღარიბის დონის შემცირებასთან ერთად, მოიცავს ეკონომიკურ ზრდას, ინსტიტუციურ და სტრუქტურულ ცვლილებებს, მაშინ როდესაც ეკონომიკური ზრდის ხარისხი დაკავშირებულია, მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სოციალური ორიენტაციის გაძლიერებასთან.

ეკონომიკური ზრდის ხარისხის ძირითადი მახასიათებლებია:

- ✓ მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება;
- ✓ თავისუფალი დროის გადიდება, რაც პიროვნების ჰარმონიული განვითარების საფუძველია;
- ✓ სოციალური ინფრასტრუქტურის დარგების განვითარების დონის ამაღლება;
- ✓ ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციების ზრდა;
- ✓ ადამიანების შრომისა და ცხოვრების პირობების უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- ✓ უმუშევართა და შრომისუუნაროთა სოციალური დაცვა;
- ✓ შრომის ბაზარზე მიწოდების მზარდი მოცულობის პირობებში სრული დასაქმების შენარჩუნება.

ეკონომიკური ზრდის შედეგების შეფასების სიზუსტე, უტყუარობა და ქვეყნის ეკონომიკაში არსებული რეალური ვითარების დადგენა დამოკიდებულია ეკონომიკური ზრდის შეფასებისათვის გამოყენებულ მეთოდზე.

ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს, ადამიანთა კეთილდღეობას, უფრო ზუსტად ასახავს დაგროვილი საზოგადოებრივი სიმდიდრე სულადობრივი გამოსახულებით, ვიდრე წლის მანძილზე შექმნილი დოვლათი. სწორედ ამ მაჩვენებლების ცვლილების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების დონის ამაღლებაზე ან დაცემაზე, ეკონომიკურ ზრდაზე ან ვარდნაზე. ეროვნულ მეურნეობაში მიმდინარე პროცესებისა და ეკონომიკური ზრდის შეფასებისას, მშპ-ის მაჩვენებლებთან ერთად, საჭიროა ყურადღება მიექცეს ქვეყნის საზოგადოებრივი სიმდიდრის დინამიკასა და სტრუქტურაში მომხდარ ცვლილებებს და მოხდეს მისი კომპლექსური შესწავლა შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

1. რეალური მშპ-ის მოცულობის ზრდა საანგარიშო წლის მანძილზე;
2. მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით რეალური მშპ-ის მოცუ-

ლობის ზრდა საანგარიშო წლის მანძილზე;

3. საანგარიშო პერიოდის მანძილზე ახლადშექმნილი სიმდიდრის მეტობა ადრე არსებულ სიმდიდრესთან შედარებით;
4. სიღარიბის დონის ცვლილება საანგარიშო წლის მანძილზე;
5. ადამიანის განვითარების ინდექსის ცვლილება საანგარიშო წლის მანძილზე;
6. განათლებაზე და ჯანმრთელობის დაცვაზე განეული დანახარჯების ცვლილება საანგარიშო წლის განმავლობაში.

რეგიონებში ეკონომიკური ზრდის ძირითადი ფაქტორების განსაზღვრისას ყურადღება უნდა მიექცეს ამა თუ იმ ფაქტორის წამყვან როლს, ან ფორმირების შესაძლებლობას რეგიონის დონეზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, რეგიონების დონეზე ეკონომიკური ზრდის განსაზღვრელ ფაქტორებს მიეკუთვნება მიწოდებისა (შრომითი რესურსები, მათი განათლებისა და პროფესიული მომზადების დონე, შრომისადმი დამოკიდებულება და მინა კლიმატური პირობები, ბუნებრივი რესურსები, კაპიტალი, მისი ხარისხობრივი მახასიათებლები, ტექნოლოგიები) და რესურსების განაწილების ფაქტორები. აღნიშნული ფაქტორებიდან შრომითი რესურსების რაოდენობა, მინა კლიმატური პირობები და ბუნებრივი რესურსები ეგზოგენური ფაქტორებია. აღნიშნული ფაქტორებით მდიდარ რეგიონებს ეკონომიკური ზრდის დაჩქარების მეტი შესაძლებლობები გააჩნიათ.

შრომითი რესურსებისა და განათლების მომზადების დონე, კაპიტალის მოცულობა და ხარისხობრივი მახასიათებლები, ტექნოლოგიურ სიახლეთა დანერგვა, მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით. ამავე დროს, რეგიონების გონივრული ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება, აგრეთვე მნიშვნელოვან წილად განსაზღვრავს აღნიშნული ფაქტორების ფორმირებას. მაგალითად, რეგიონული ბიუჯეტიდან დაფინანსებისას პრიორიტეტების მინიჭება განათლების, კადრების მომზადება-გადამზადებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროებისათვის ხელს უწყობს ადამიანური კაპიტალის განვითარებას, მათი კვალიფიკაციისა და შრომისუნარიანობის

დონის ამაღლებას. რეგიონის ბიუჯეტიდან კაპიტალდაბანდების ზრდა ინფრასტრუქტურის ფორმირებაზე, ანუ გზების, ხიდების, კავშირგაბმულობის სისტემის, ელექტროსადგურების, საკანალიზაციო სისტემის და ა.შ. მშენებლობაზე, ხელს უწყობს სამენარმეო საქმიანობის განვითარებას და ინვესტიციების მოზიდვას. რესურსების ეფექტიანი განაწილება და მოკიდებულია რეგიონების ეკონომიკური განვითარების თავისებურებებზე. რეგიონში არსებული ინფრასტრუქტურა და საქმიანი ატმოსფეროც ხელს უწყობს რესურსების ოპტიმალურ და რაციონალურ განაწილებას, რაც ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედი ფაქტორებიდან, როგორც მთელი ქვეყნის აგრეთვე ცალკეული რეგიონების მასშტაბით მეტად მნიშვნელოვანია მოთხოვნისა და მიწოდების ფაქტორებით განსაზღვრული ეკონომიკური პოტენციალის სრული გამოყენების უზრუნ-

ველყოფის პირობა. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ აღნიშნული ფაქტორების ფორმირებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს მოცემული ქვეყნის ხელისუფლების მიერ განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკა. ამგვარად, ეკონომიკური ზრდა, როგორც მთელი ქვეყნის, ასევე ცალკეული რეგიონების მასშტაბით წარმოადგენს მრავალფაქტორულ მოვლენას. აღნიშნული ფაქტორების ერთიანობა ქვეყნისა და რეგიონების დონეზე განპირობებულია იმით, რომ რეგიონების დონეზე მოქმედი ფაქტორები განსაზღვრავენ ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობებს, როგორც რეგიონების, აგრეთვე ქვეყნის მასშტაბით, ხოლო ის ფაქტორები, რომლებიც ყალიბდებიან მთელი ეროვნული მეურნეობის მასშტაბით თავის მხრივ განსაზღვრავენ ეკონომიკური ზრდის პირობებს, როგორც მთელი ქვეყნის, აგრეთვე რეგიონების დონეზე.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ე.ბარათაშვილი, ნ.გრძელიშვილი, ნ.გალახვარიძე, ნ. ნადირაშვილი „რეგიონული ეკონომიკა“ 2010წ.
2. ე.ბარათაშვილი, ნ.გრძელიშვილი, ჯ.ზარანდია, ნ. გალახვარიძე „რეგიონული განვითარების დიაგნოსტიკა“ 2012წ.
3. ე.ბარათაშვილი, გ.ჯოლია, ნ.გრძელიშვილი და სხვ. „ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება“ ორ ნაწილად. 2012წ.
4. ე. ბარათაშვილი, ნ.გრძელიშვილი, კ. არაბული, ნ. გალახვარიძე „საქართველოს ეკონომიკა“ 2012 წ.
5. ე.ბარათაშვილი, ნ.ძიძიკაშვილი, ჯ.ზარანდია, კ.ციმინტია, თ.აბრალავა „რეგიონული სტრატეგიები-ქვეყნის განვითარების საწინდარი“. სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“. 3 (124). 2008.
6. საქართველოს გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების კონცეფცია. საქართველოს ბიზნეს ასოციაცია. 2013. 352 გვ.
7. Видяпин В., Степанов М., Синдяшкин Н. Региональная экономика: Учебник. – М.: Юнити-Дана, 2009. – 528 с.
8. Гранберг А.Г. Основы региональной экономики: Учебник. – М.: Изд-во ГУ ВШЭ, 2004. – 493 с.
9. Морозова Т., Победина М., Поляк Г. Региональная экономика: Учебник. – М.: Юнити-Дана, 2009. – 528 с.
10. Ezcurra R. and Pascual P., 2008. Fiscal decentralization and regional disparities: evidence from several European Union countries. *Environment and Planning A* 40, 1185-1201.
11. Milanovic B., 2005. Half a world: Regional inequality in five great federations. *Journal of the AsiaPacific Economy* 10, 408-445.
12. Storper M., 1995. The resurgence of regional economies, ten years later: The region as a nexus of untraded interdependencies. *European Urban and Regional Studies* 2, 191-221.
13. <http://www.mrdi.gov.ge/>
14. <http://www.economy.ge/>

## რეზიუმე

ეკონომიკური ზრდა განვითარების შემადგენელი ნაწილია, თავის მხრივ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება განსაზღვრავს ეკონომიკური ზრდის ტემპებს და წარმოების ეფექტიანობას. ეკონომიკური ზრდა განისაზღვრება წარმოების პროცესის რაოდენობრივი მახასიათებლებით, როგორცაა: მთლიანი შიდა პროდუქტისა და მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდა. თანამედროვე ხედვა დამყარებულია სისტემურ მიდგომაზე და აღიარებულია, რომ განვითარებას და მის შემადგენელ ელემენტებს ციკლური ხასიათი გააჩნია. რეგიონების განვითარების მიზნების შესაბამისად იგება მისი განვითარების მახასიათებლებისა და მაჩვენებლების სისტემა. საერთაშორისო ორგანიზაციები ქვეყნებისა და რეგიონების განვითარების დონესა და ხარისხს აფასებენ უნივერსალური ინტეგრალური მაჩვენებლებით. ერთ-ერთ ასეთ მახასიათებელს წარმოადგენს ადამიანის განვითარების ინდექსი, რომელიც შემუშავებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის ფარგლებში. ხშირად ისეთ ტრადიციულ ეკონომიკურ მაჩვენებლებს, როგორცაა ერთობლივი შიდა პროდუქტი, სულადობრივი შემოსავალი, შრომის ნაყოფიერება და მათი ზრდის ტემპი, არ ძალუძთ სრულად ასახონ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. სტრუქტურული ძვრებისას, რომელიც განპირობებულია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით, რეგიონის წარმატებული განვითარების მთავარ ფაქტორად იქცევა არა ძირითადი წარმოება, არამედ დამხმარე წარმოება. ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედი ფაქტორებიდან, როგორც მთელი ქვეყნის აგრეთვე ცალკეული რეგიონების მასშტაბით მეტად მნიშვნელოვანია მოთხოვნისა და მიწოდების ფაქტორებით განსაზღვრული ეკონომიკური პოტენციალის სრული გამოყენების უზრუნველყოფის პირობა.

## SUMMARY

### THEORETICAL ASPECTS OF ECONOMIC DEVELOPMENT AND GROWTH OF REGIONS

Nodar Grdzelishvili

Davit Aghmashenebeli university of georgia's  
Affiliated, associate professor, doctor of economics  
Giorgi Lалуashvili

Davit Aghmashenebeli university of georgia's  
School of Economics and Business doctoral student  
Ekaterine Gigolashvili  
GTU doctoral student

Economic growth is a part of development, countries socio-economic development determines economic growth pace and efficiency of production. economic growth is defined by quantitative characteristics of manufacturing process, such as: growth of gross domestic product and gross national product. Modern view is based on a systemic approach and recognizes that development and its constituents have a cyclical nature. based on regions development goals its development characteristics and indicators system is built. international organizations evaluate the level and quality of development of countries and regions with universal integral indicators. one of these characters is the human development index, developed within the framework of the united nations development program. often such traditional economic indicators, such as joint domestic product, salaried income, labor productivity and their growth rate, can not fully reflect the socio-economic development of the region. structural shifts, due to the scientific-technical progress, become the main factor in the successful development of the region, not the main production, but the supporting production. From the factors affecting economic growth both in the whole country and in individual regions, it is important to ensure full use of economic potential defined by demand and supply factors.

# სამრეწველო სანარმოთა ლოგისტიკური უზრუნველყოფის აქტუალური საკითხები

## ნინო ბოგველიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
ტრანსპორტისა და მრეწველობის მენეჯმენტის პროგრამის დოქტორანტი

თანამედროვე მსოფლიოში, საბაზრო ურთიერთობების პირობებში, სამრეწველო სანარმოებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდა — შესაძლებლობა აწარმოოს და რეალიზება უყოს საკუთარ პროდუქციას ხარისხის, ფასის და სერვისული მომსახურების მიმართ წაყენებული მაღალი მოთხოვნების შესაბამისად. უკანასკნელ წლებში რიგი ქვეყნის სამეურნეო პრაქტიკაში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, გამოყენება დაიწყო მართვის ახალმა მეთოდებმა და ტექნოლოგიებმა, რომლებიც დაფუძნებულია ლოგისტიკის კონცეფციებზე. ლოგისტიკის უმნიშვნელოვანესი ასპექტია — სანარმოს მუშაობის სტრატეგიასა და ტაქტიკაზე ზემოქმედების შესაძლებლობა და ბაზარზე მისთვის კონკურენტული უპირატესობების შექმნა, ანუ ზემოქმედება სანარმოს საბოლოო მიზანზე. მომარაგების, წარმოებისა და გასაღების ლოგისტიკური სისტემების შექმნა საშუალებას იძლევა გადაიჭრას სამრეწველო სანარმოთა სამენარმეო საქმიანობის ოპტიმიზაციისა და პროცესების მართვის ეფექტურობასთან დაკავშირებული კონკრეტული ამოცანები, ლოგისტიკა სრულად უწევს კოორდინაციას სანარმოს მთელ საქმიანობას. მისი გამოყენებით შესაძლებელია წარმატებით გადაიჭრას სანარმოს მართვის ნებისმიერი დონის პრობლემა: წარმოების და სასაწყობო ქსელის განლაგება და განვითარება, მატერიალური ნაკადის რაციონალური მიმართულების შემუშავება და სტრატეგიის განსაზღვრა, ლოგისტიკური ჯაჭვის აგება და კომპლექსური მართვა, სასაწყობო მოცულობების განსაზღვრა, ნედლეულის და მასალების, ნახევარფაბრიკატების და მზა პროდუქციის მიწოდების ობიექტების შერჩევა, ტრანსპორტისა და სატრანსპორტო პროცესების ორგანიზაცია, მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნა.

ცნებას „ლოგისტიკა“ აქვს მდიდარი ისტორია. ტერმინი „ლოგისტიკა“ წარმოიშვა ბერძნული სიტყვიდან „logistike“, რაც ნიშნავს „აზროვნებას, ანგარიშს, მიზანშეწონილობას“. თანამედროვე ევროპულ ენ-

ებში სიტყვა ლოგისტიკა გამოიყენება ორი მნიშვნელობით: მათემატიკური ლოგისტიკა და სატრანსპორტო-სასაწყობო სამუშაოების ტექნიკა და ტექნოლოგია სამხედრო და/ან სამოქალაქო სფეროში. ძველი რომაელები ლოგისტიკის ქვეშ გულისხმობდნენ „საკვები პროდუქტების განაწილებას“. IX საუკუნის ბიზანტიურ ტრაქტატებში ლოგისტიკა მოხსენიებულია, როგორც არმიის მომარაგების ორგანიზაციისა და მართვის საშუალებად. მე-20 საუკუნის დასაწყისში ლოგისტიკა აღიარებული იქნა როგორც სამხედრო მეცნიერება. ლოგისტიკური პრინციპები და მოდულები ფართოდ გამოიყენებოდა პირველი და მეორე მსოფლიო ომების მსვლელობისას [1].

ლოგისტიკის ფართო გამოყენება ეკონომიკაში იწყება მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან და დაკავშირებულია კომუნიკაციური ტექნოლოგიების სფეროში მიღწევებთან. ნედლეულის, მასალების და მზა პროდუქციის მოძრაობის ყველა ეტაპის გამჭოლი მონიტორინგის შესაძლებლობამ მკაფიოდ გამოაჩინა მატერიალური ნაკადების მართვის ტრადიციული სქემებით გამოწვეული უდიდესი დანაკარგები. ლოგისტიკის გამოყენებით მიღებულმა აშკარა ეკონომიკურმა უპირატესობამ, ხელი შეუწყო მის სწრაფ და ფართო გავრცელებას მსოფლიო ეკონომიკურ პრაქტიკაში, დააჩქარა ეკონომიკური ურთიერთობის მონაწილეთა ორიენტაცია თანამშრომლობაზე მატერიალური, ინფორმაციული, სატრანსპორტო, ადამიანური, ფინანსური, ენერგეტიკული და სხვ. ნაკადების გადაადგილების და მართვის სფეროებში.

თანამედროვე ლოგისტიკის ქვეშ იგულისხმება მეცნიერული და პრაქტიკული საქმიანობა დაკავშირებული მატერიალური, ენერგეტიკული, ინფორმაციული, სერვისული, ფინანსური და ადამიანური (სამუშაო ძალის) რესურსების დაგეგმვასა და მოძრაობის ორგანიზაციასთან სივრცესა და დროში, ამ მოძრაობის ეფექტურ და მიზანმიმართულ მართვასთან ლოგისტიკის შვიდი წესის ე.წ. „7ღ“ შესაბამისად:

1R (Right Product) – საჭირო საქონელი;

2R (Right Quality) – აუცილებელი ხარისხის;



3R (Right Quantity) – აუცილებელი რაოდენობით;

4R (Right Time) – საჭირო დროს;

5R (Right Place) – საჭირო ადგილზე;

6R (Right Customer) – კონკრეტულ მომხმარებელს;

7R (Right Cost) – მინიმალური დანახარჯებით.


ლოგისტიკური საქმიანობა ჩაითვლება მიღწეულად თუ ეს შვიდი პირობაა შესრულებული, ანუ მოთხოვნილი ხარისხის და რაოდენობის საქონელი მითითებულ ადგილზე დროულად მიეწოდება დამკვეთს მინიმალური დანახარჯებით.

ლოგისტიკის მიზანია მატერიალური ნაკადების გამჭოლი მართვა და ოპტიმიზაცია. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია ლოგისტიკის სხვადასხვა ამოცანის გადანყვება, რომლებიც უნდა უზრუნველყოფდნენ საქონელგამტარ არხებში საქონლის გავლის ვადების შემცირებას და სასაქონლო ნაკადების მოძრაობის მთელ გზაზე დანახარჯების მინიმიზირებას საბოლოო მომხმარებლების დაკმაყოფილების მაქსიმალურად მაღალი დონის შენახუნების პირობებში.

ლოგისტიკის ფართო გავრცელებას ხელი შეუწყო მსოფლიო ეკონომიკაში მომხდარმა გლობალიზაციის პროცესებმა. თუმც მისი გავრცელება არ შეიძლება აიხსნას მარტო მასზე მოთხოვნილების გაზრდით. ეკონომიკაში უნდა მომნიჭდეს პირობები, რომლებიც ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა. ასეთი პირობები უზრუნველყოფილია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე მიღწევებით, რომლის შედეგად იქმნება და იწყებს ფართო გამოყენებას მატერიალურ და ინფორმაციულ ნაკადებთან მუშაობის სხვადასხვა საშუალება, იქმნება შესაძლებლობა გამოყენებული იქნას კონკრეტული ლოგისტიკური პროცესის შესაბამისი მოწყობილობა, ასევე საკვანძო მნიშვნელობას ლოგისტიკის განვითარებისთვის იძენს ლოგისტიკური პროცესების მართვის კომპიუტერიზაცია [2].

ზოგადი გაგებით ლოგისტიკაში გამოირჩევა ორი ძირითადი მიმართულება – მატერიალური რესურსების მართვა და მატერიალური რესურსების განაწილება.

მნიშვნელობის ხარისხიდან გამომდინარე ლოგისტიკური ამოცანები იყოფა სამ ჯგუფად, ესენია: გლობალური, საერთო და ლოკალური (კერძო). ლოგისტიკის სტრუქტურა წარმოსდგება მეტალოგისტიკის, მეზოლოგისტიკის, მაკროლოგისტიკის და მიკროლოგისტიკის სახით. დასახული ამოცანებისა და ფუნქციებიდან გამომდინარე მათი შესწავლის სფეროები წარმოდგენილია ნახ.1-ზე.



### ნახ.1. ლოგისტიკის სტრუქტურა

ლოგისტიკამ, როგორც მეცნიერებამ, ევოლუციური განვითარების გარკვეული გზა განვლო. იგი ეფუძნება ლოგისტიკის ოთხ პარადიგმას, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული თანამედროვე ლოგისტიკის განვითარების ეტაპებთან და თვითიველ მათგანს აქვს თავისი სპეციფიკა. ლოგისტიკის პარადიგმებია: ანალიზური, ტექნოლოგიური (ინფორმაციული), მარკეტინგული და ინტეგრალური. ამ ფუნდამენტური პარადიგმების საფუძველზე ჩამოყალიბდა ლოგისტიკის კონცეფციები ანუ მატერიალური ნაკადების ორგანიზაციის და მართვის სპეციალური ნეცების და მეთოდების ერთობლიობა — მატერიალური ნაკადების მართვის ოპტიმიზაციის გზით სამეურნეო საქმიანობის სრულყოფაზე შეხედულებათა სისტემა.

ლოგისტიკის კონცეფციები განსაზღვრავენ სხვაობას ლოგისტიკურ მენეჯმენტსა და მართვის ტრადიციულ მეთოდებს შორის. მათი საშუალებით ხდება ლოგისტიკის სპეციფიკის რეალიზება საწარმო-კომერ-

ციული საქმიანობის მართვის მიწოდება-თა ჯაჭვებში. ამ კონცეფციებით განსაზღვრული სპეციალური წესები და მეთოდები, გამოიყენება ინსტრუმენტად მატერიალური და საქონლის მოძრაობის ნაკადურ პროცესებზე განსაკუთრებული მმართველი ზემოქმედების ფორმირებისათვის. მსოფლიო ეკონომიკური მართვის პრაქტიკაში გამოყენებული ლოგისტიკის ძირითადი კონცეფციებია: MRP I/MRP II (Materials/Manufacturing Requirements/Resource Planning – მასალაზე მოთხოვნილების დაგეგმვის სისტემა/წარმოების საჭიროებისათვის რესურსების დაგეგმვა); DRP (Distribution Requirements Planning – რესურსების განაწილების დაგეგმვის სისტემა); DDT (Demand-Driven Techniques/Logistics – მოთხოვნაზე ორიენტირებული ლოგისტიკა); SCM (Supply Chain Management – მიწოდებათა ჯაჭვების მართვა); RP (Requirements/resource Planning – მოთხოვნათა / რესურსების დაგეგმვა); VMI (Vendor Manager Inventory – მარაგების მართვა მომწოდებელთა მიერ); CSRP (Customer Synchronized Resource Planning – საწარმოო რესურსების მართვის კონცეფცია); JIT (Just-In-Time – ზუსტად დროში); ECR (Effective Customer Response – ეფექტური რეაქცია მომხმარებლების მოთხოვნებზე); TQM (Total Quality Management – ხარისხის საყოველთაო მართვა); LP (Lean Production – ყაირათიანი წარმოება) [3].

ლოგისტიკის თანამედროვე გაგება, არა მარტო როგორც მატერიალური და თანმდევი ნაკადების მართვის მეთოდოლოგია, არამედ

როგორც სამრეწველო საწარმოში ნაკადური პროცესების მართვის სისტემური რაციონალიზაციის კონცეფცია, გულისხმობს ლოგისტიკის პრინციპებზე აგებული მართვის ინტეგრირებული სისტემების განვითარებას და ფორმირებას. ლოგისტიკის ძირითადი პრინციპები შესაბამის ლიტერატურაშია საკმაოდ საფუძვლიანად დამუშავებული. ეს პრინციპებია: რაციონალობის, ემერჯენტულობის (მთლიანობის), სისტემურობის, იერარქიულობის, ინტეგრაციის, ფორმალურობის პრინციპები.

ლიბერალებს მიაჩნიათ, რომ სახელმწიფოთა თავისუფლება წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობების პრობლემების მნიშვნელოვან ნაწილს და არა ამ პრობლემების გადაჭრის საშუალებას. შესაბამისად სახელმწიფოები უნდა გახდნენ საერთაშორისო ორგანიზაციების ნაწილები და დაექვემდებარონ მათ წესებსა და ნორმებს. ფუნქციების ის ნაწილი, რომელთა შესრულება სახელმწიფოებს არ შეუძლიათ, უნდა გადაეცეს ამ საერთაშორისო ორგანიზაციებს.

ლიბერალიზმი დაიწყო, როგორც რეაქცია შუა საუკუნეების ევროპული საზოგადოების ორი თვისების - რელიგიური კუთვნილებისა

(ევროპაში კათოლიკურ ეკლესიას დომინანტური როლი ჰქონდა და საკუთარ ავტორიტეტებზე დაყრდნობით ყოველმხრივ ილაშქრებდა წმინდა წიგნების განსხვავებული, თავისუფალი ახსნა-განმარტების წინააღმდეგ; ამ გზით ეკლესია ადამიანის აზრებსა და მის საქმიანობაზე ერთგვარ კონტროლს აღწევდა) და მიწერილი სტატუსის (...რომელშიც პიროვნების სოციალური სტატუსი განისაზღვრებოდა არა საკუთარი შესაძლებლობებით, არამედ დამოკიდებული იყო მის ან მისი მშობლების სტატუსზე; ადამიანები უბრალოდ იბადებოდნენ დიდგვაროვნებად, თავისუფალ მეთემეებად, ყმებად...) წინააღმდეგ. ლიბერალიზმი, როგორც პირველი განსაკუთრებული იდეოლოგია, ყალიბდება იმგვარი საზოგადოების წინააღმდეგ, რომელშიც ფესვგადგმულია ჩამოთვლილი სტატუსები და რელიგიურ კუთვნილებასთან დაკავშირებული ღირებულებები. მაგრამ ამ ლიბერალურმა რეაქციამ სათანადო ფორმა ვერ მიიღო, სანამ სოციალურმა, ეკონომიკურმა და კულტურულმა კრიზისმა საფუძვლიანად არ შეარყია შუასაუკუნეობრივი წყობა.

ლიბერალიზმი არის დოქტრინა საზოგადოების წევრთა ერთმანეთთან ურთიერთობის შესახებ. იგი ცდილობს ადამიანს შეუქმნას ნორმალური, ბუნებრივი და მშვიდობიანი განვითარების პირობები. ლიბერალიზმი ტრანსფორმაციას განიცდიდა და მას სხვადასხვა სახელწოდება ჰქონდა: კლასიკური თეორია, ნეოკლასიციზმი, კეინსიანიზმი, მონეტარიზმი და სხვ. ეკონომიკური ლიბერალიზმის ყველა ფორმა აღიარებს ბაზარს და ფასის წარმოქმნის მექანიზმს, როგორც შიდა და საგარეო ეკონომიკის ორგანიზების ყველაზე ეფექტურ ხერხს. ლიბერალიზმი შეიძლება განისაზღვროს, როგორც დოქტრინა და პრინციპების ერთობლიობა საბაზრო ეკონომიკის ორგანიზებისა და მართვისათვის, რათა მიღწეულ იქნეს მაქსიმალური ეფექტურობა, ეკონომიკური ზრდა და ბაზრის ყველა მონაწილის პირადი კეთილდღეობა. „ლიბერალიზმი“, უპირველეს ყოვლისა, თვითდამკვიდრების თავისუფლებას გულისხმობს: აზრის, სიტყვის, პრესის, რწმენის თავისუფლებას აღიარებს და იმ შეხედულებების არსებობასაც ლეგიტიმურად ცნობს, რომლებიც არა უბრალოდ განსხვავებული, არამედ ლიბერალიზმის სანინააღმდეგონიც კი არიან.

რა არის ლიბერალიზმი? ის „ჰუმანურია“ იმ გაგებით, რომ ადამიანის იმ ბუნებიდან

გამომდინარეობს, რომელსაც სიკეთის კეთება შუძლია და რომელიც მხოლოდ საზოგადოებაში ვლინდება; ადამიანის დანიშნულებიდან, რომელიც მატერიალურ არსებობაზე მაღლა დგას; პატივისცემიდან, რომელსაც ყოველი ადამიანი თავისი უნიკალურობის გამო იმსახურებს და კრძალავს მის, როგორც „საშუალების“ გამოყენებას და დამცირებას. ლიბერალიზმი იმიტომ არის ინდივიდუალისტური, უკეთესად რომ ვთქვათ პერსონიფიცირებული რომ იგი ესაყვისება ქრისტიანულ მოძღვრებას იმის შესახებ, რომ ყოველი ადამიანის სული უშუალოდ ღმერთს ეკუთვნის ცალკეული ადამიანია და არა საზოგადოება მთლიანად, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ადამიანი თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას მხოლოდ იმ საზოგადოებაში, მის სამსახურსა და თავგანწირვაში ეძებდეს.

კონსტრუქტივისტული ლიბერალიზმი, იყო არა განსაზღვრული პოლიტიკური დოქტრინა, არამედ ზოგადი გონებრივი მიდგომა, რომლის მიხედვით საჭირო იყო ყოველგვარი ცრურწმენისა და დოგმისაგან გათავისუფლება, რაც საბუთდებოდა რაციონალური გზით და აგრეთვე, „მეფეთა და მღვდელთა“ ბატონობისაგან თავის

თანამედროვე ლიბერალიზმის მიზანია ადამიანების მატერიალური კეთილდღეობა. იგი არ ეხება მათ შინაგან, სულიერ და მეტაფიზიკურ მოთხოვნებს. ის არ პირდება ბედნიერებას, მთავარია იმ სურვილების დაკმაყოფილება, რომელიც შეიძლება განხორციელდეს მატერიალურ სამყაროსთან ურთიერთქმედებაში. ლიბერალები თვლიან, რომ საზოგადოებაში, რომელიც შრომის განაწილებას ეფუძნება, ადამიანთა თანამშრომლობის ერთადერთი ქმედითი და ეფექტური სისტემაა წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება. ლიბერალიზმის ყველა მოთხოვნა ამ ფუნდამენტური მოთხოვნიდან გამომდინარეობს. ლიბერალიზმმა პირველად სოციალური აზროვნების ისტორიაში შეძლო ინდივიდისა და საზოგადოების განცალკევება, გამოყო ორი ავტონომიური სფერო – სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება, კონსტიტუციურად და ინსტიტუციონალურად განსაზღვრა სახელმწიფოს უფლებამოსილება და მისი ურთიერთქმედება სამოქალაქო საზოგადოებასთან და პიროვნებასთან. დაიცვა უმცირესობის ავტონომია და უფლებები უმრავლესობასთან მიმართებაში, ყველა მოქალაქეს მიანიჭა თანაბარი უფლებები და პიროვნება პოლიტიკური სისტემის

მთავარ ელემენტად გამოაცხადა.

დემოკრატიული თვალსაზრისით ცენტრში დგას „დემოსი“, ანუ ხალხი, იგი უპირველეს ყოვლისა, ზრუნავს პოლიტიკურ სფეროზე, „ძალაუფლებაზე“, ერთობის პირდაპირ მართვაზე, იგი ტრადიციული საზოგადოების პოლიტიკური მოწყობის ფორმაა, რომელშიც მთავარია სახელმწიფო, მისი კულტურა და კეთილდღეობა. ლიბერალიზმისათვის მთავარია ინდივიდი და მისი მოთხოვნები. იგი ზრუნავს ეკონომიკურ სფეროზე, ცაკეული პირების ეკონომიკური და სავაჭრო თავისუფლების უზრუნველყოფაზე. ლიბერალიზმი–ახალი ეკონომიკურ – ფილოსოფიური დოქტრინაა, რომელიც ეფუძნება ტრადიციული კულტურის სრულ უარყოფას და ესწრაფვის გაანადგუროს ყველა ორგანული საზოგადოებრივი ინსტიტუტი, რომელიც ხალხებისა და სახელმწიფოების პოლიტიკურ და კულტურულ ისტორიას მიეკუთვნება.

ლიბერალური დემოკრატია როგორც პოლიტიკური წყობა დამკვიდრდა მთელ რიგ ქვეყნებში. საზოგადოებრივი ურთიერთობები იმ შემთხვევაშია ლიბერალური შინაარსის მატარებელი თუ სახელმწიფოში მოქმედებს სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს პიროვნების თავისუფლებას და მოქალაქეთა უფლებების დაცვას. გარდა ამისა არანაკლებ მნიშვნელოვანია სახელმწიფო იყოს დისტანცირებული, ანუ არ ახდენდეს ძალის დემონსტრირებას საკუთარი მოქალაქეების დასაშინებლად და დასაშინტაჟებლად. ცხოვრებამ გვიჩვენა რომ, დროთა განმავლობაში, ძლიერი დემოკრატიული ხელისუფლება ზღუდავს ლიბერალიზმს, მაგრამ ლიბერალური პრინციპების გარეშე დემოკრატია თავის თავს დიდხანს ვერ ინარჩუნებს. თავის მხრივ, თუ ლიბერალიზმი უარს ამბობს დემოკრატიულ ინსტიტუტებზე, ანუ არ ითვალისწინებს სახელმწიფოს, ეთნიკური ჯგუფების, მოქალაქეთა ინტერესებს და მსხვილი ბიზნესის სამსახურში დგება, იგი შეიძლება ტოტალიტარიზმად იქცეს. ჭეშმარიტი ლიბერალიზმი საზოგადოების ყველა ჯგუფს საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და გავლენა მოახდინოს მასზე. მაგრამ თუ მას არ გააწონასწორებს ჯანმრთელი დემოკრატია, სერიოზულ გადახრებს ვერ გავექცევით.

ლიბერალური რელიგიური კონკურენციის პირობებში ჯანსაღდება რელიგიური გარემოც, რაც ამცირებს მოდუნებული და თვითკმაყოფილი სასულიერო პირების რაოდენობას. რელიგიურ ბაზარზე კონკურენ-



ტულ გარემოში იზრდება დაკვეთა სასული-  
ერო პირების არა მხოლოდ თეოლოგიურ,  
არამედ ზოგად თუ სამეცნიერო-დარგობრივ  
განათლებაზეც. სეკულარული სახელმწიფო  
სწორედ ამ კონკურენციის შექმნის გარან-  
ტიას იძლევა, სადაც ყველა რელიგიური დე-  
ნომინაცია თანაბარ კონკურენტულ პირო-  
ბებში ექცევა.

სიტყვა „გათანაბრება“ ჩვენი საზოგა-  
დოების ნაწილში ინვესს აგრესიას, ხოლო  
კონსპირაციული თეორიების მოყვარულები-  
სთვის ტოვებს თვითშემოქმედების დიდ არ-  
ეალს: „კი, მაგრამ კონკორდატი?“, „როგორ  
შეიძლება გავათანასწოროთ ისტორიულად  
ღვანულმოსილი ეკლესია – რომელსაც იდენ-  
ტიობის ჩამოყალიბებასა თუ ეროვნულო-  
ბის შენარჩუნებაში დიდი როლი ჰქონდა და  
აქვს – სხვა რელიგიებთან?!“. სეკულარული  
სახელმწიფოს მოკლე პასუხი იქნება: „არ  
ვათანაბრებთ! უბრალოდ (აღ)არ ვერევი“.

თამაშის წესები მარტივია: რელიგიური  
ბაზარი თავად არეგულირებს თუ ვინ მოახ-  
დენს უკეთეს პოზიციონირებას და ვისი  
იდებები მოიპოვებს მეტ პოპულარობას სუ-  
ლიერებაზე მოთხოვნის მქონე საზოგადოე-  
ბის ნაწილში. ელემენტარული სტატისტიკის  
მოყვანაც საკმარისია, რომ გავიაზროთ, თუ  
რა სასტარტო პოზიციები შეიძლება ჰქონდეს  
ეკლესიას, რომელსაც 4.9-მილიონიანი მო-  
სახლეობის პირობებში 3.5 მილიონი მიმ-  
დევარი ჰყავს. ცხადია, რომ რელიგიურ ბა-  
ზარზე ასეთი პოზიციონირების პირობებში,  
თავისუფალ კონკურენციაში რამე საფრთხის  
შემცველს მხოლოდ ამ საფრთხის ინსტრუ-  
მენტალიზაციის პირობებში, ხელოვნურად  
შეიძლება ხედავდეს, სხვა მხრივ კი კონკურენ-  
ცია მხოლოდ შენს წისქვილზე უნდა ასხამდეს  
წყალს.

რელიგიურ ბაზარზე თავისუფალი  
კონკურენციის პირობებში, საერთო ჯამში,  
არ არიან დამარცხებულები. კონკურენციით  
მოგებულნი რჩება ყველა მოთამაშე. პირველ  
რიგში, რელიგიური ორგანიზაციები, რომ-  
ლებიც მეტი მრევლის მოსაზიდად თვითგანა-  
თლებასა და საზოგადოებასთან ურთიერთო-  
ბაზე მეტ რესურსს ხარჯავენ (და ამგვარად  
ქმნიან დაკვეთას რელიგიაზე).

ასევე მოგებულნი რჩება მრევლი, რო-  
მელიც იდეათა თავისუფალი ბაზრის პირო-  
ბებში, მრავალ „ალტერნატიულ სიმართლე-  
თა“ შორის ირჩევს მისთვის ყველაზე დამა-  
ჯერებელს, მისი სულიერი სამყაროსთვის  
ყველაზე მისაღებს. საბოლოო ჯამში კი,  
მოჩვენებითი ან მოდური რელიგიურობის,

ანდაც კულტურული ფაქტორებით თავს  
მოხვეული ეკლესიურობის ნაცვლად, ვი-  
ლებთ ადამიანების მიერ ნებაყოფლობით გა-  
კეთებულ შეგნებულ არჩევანს.

დაბოლოს, მოგებულნი რჩება სახელმწი-  
ფოც, რომელსაც აღარ მოუწევს გამუდმებით  
მარეგულირებლის როლის მორგება, პარ-  
ტიკულარიზმისა თუ უთანასწორო გარემოს  
შექმნისთვის თავის მართლება და, რაც მთა-  
ვარია, სახელმწიფო საკითხებში რელიგიური  
ინსტიტუტების ჩარევის შეკავებით პოლიტი-  
კური კაპიტალის სასწორზე შემოდება.

სწორედაც რომ სეკულარული სახელმ-  
წიფო და რელიგიურ ბაზარზე თავისუფა-  
ლი შეჯიბრი იძლევა მართლმადიდებლური  
ეკლესიის წიაღში არსებული პრობლემების  
მოგვარების საშუალებასაც, რომელზეც  
ეკლესიის შიგნით თუ გარეთ მრავალი ღიად  
უკვე დიდი ხანია საუბრობს.

### სეკულარული სახელმწიფოები


ისლამური სამყაროს სეკულარიზაციის  
იდეა წარმოიშვა თანამედროვე სეკულარუ-  
ლი დემოკრატიის კონცეფციიდან, სადაც  
სეპარირებულია სახელმწიფო და ეკლესია.  
ისლამური ინტელიგენცია, ყოველთვის სეკუ-  
ლარიზაციის წინააღმდეგ გამოდიოდა და  
ამიტომაც ის არაპოპულარულია მორწმუნე  
მუსულმანისთვის, მეტიც მას განიხილავენ,  
როგორც ანტი რელიგიურ და კოლონიალურ  
გადმონაშთად. სოციალური-კულტურული  
პროგრესის გარეშე რომელიმე ქვეყნის რე-  
ალურ

წარმატებაზე ლაპარაკი შეუძლებელია,  
თუნდაც ნავთობიდან შემოსული უზარმაზ-  
არი შემოსავალი საშუალებას აძლევდეს  
გუშინდელ ბედუინს აქლემიდან მერსედესზე  
გადაჯდეს, კარავიდან სასახლეში გადასახ-  
ლდეს და შვილები სასწავლებლად ადგილო-  
ბრივი მედრესეს (რელიგიური სკოლის) ნაცვ-  
ლად ბოლონიასა და კემბრიჯში გაგზავნოს.  
დასავლეთში განათლებამიღებული შვილები  
უბრუნდებიან იმ საზოგადოებას, სადაც შუა  
საუკუნეების ნორმები ბატონობს. შედარები-  
სათვის გავიხსენოთ ევროპა, რომელმაც ჯერ  
მოახდინა რელიგიური რეფორმაცია, შემდეგ  
სეკულარიზაცია. რელიგიური დოგმატიზმი  
უკუგდებულ იქნა და ადამიანის სულიერი  
განვითარებისათვის ბევრად უფრო თავისუ-  
ფალი გარემო შეიქმნა.

მეცნიერების კულტი, როგორც განმანა-  
თლებლობის იდეაფიქსი. მართალია, ახლო  
აღმოსავლეთისათვის ეს არ არის აუცილე-  
ბლად მისაბაძი და მისაღები მაგალითი.



ევროპული განვითარების მოდელის პირდაპირი გადმოღება რეგიონის ქვეყნების უმრავლესობაში უშედეგო შიძლება აღმოჩნდეს. ამის ყველაზე მკაფიო მაგალითია ირანი, სადაც 1979 წლამდე შაჰის სეკულარული რეჟიმი თრგუნავდა რელიგიას. ამას ისლამური რევოლუცია მოჰყვა და სამიოდე წლის წინ საკმაოდ ემანსიპირებულ თეირან ქალებს 21-ე საუკუნის დამდეგს უხდებოდათ თხემით-ტერფამდე შებურღულებმა იარონ ქუჩაში. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის სეკულარულ რეჟიმს ყველაზე მეტად უახლოვდება თურქეთი და კვიპროსი (კვიპროსის რესპუბლიკა).



### სეკულარული სახელმწიფოები

თურქეთს დიდი ძალისხმევა დასჭირდა ევროპულ მოდელთან დასაახლოებლად და გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია. სეკულარიზაციის დანერგვის პირველი ცდა

ოსმალეთში უკვე 1876 წელს განხორციელდა; იქ შექმნილია მრავალი დემოკრატიული ინსტიტუტი; გამიჯნულია ხელისუფლების შტოები. კანონის უზენაესობის ძირითადი პრინციპი დაცულია. მაგრამ, რაც თურქეთში მრავალპარტიულობა დამკვიდრდა, რამოდენიმე გადატრიალება მოხდა. მიზეზი ძირითადად იყო არასეკულარული მმართველობა. სამოქალაქო (სეკულარული) საზოგადოება ერთგვარი სიფრთხილით ეკიდება ამ რთულ ფენომენს. შიში იმისა, რომ თურქეთში კვლავ ისლამური ბატონობა დაბრუნდება ძალიან დიდი. რის გამოც, ყველაგან და ყველაფერში ზღუდავენ რელიგიას. მუსტაფა ქემალ ათათურქის მოსვლის შემდეგ (1923წ) სასულიერო სკოლები გაუქმდა; მოლას, იმამს და სხვა რელიგიურ პირს სახელმწიფო აკონტროლებს;

სეკულარიზმი საქართველოში

სეკულარული იდეოლოგია, როგორც ლიბერალური დემოკრატიული წესრიგისათვის დამახასიათებელი ნორმა აქტუალური პრობლემაა თანამედროვე ქართული სახელმწიფოსთვის. ზოგადად, დისკურსი სეკულარიზაციის საჭიროების შესახებ საკმაოდ პოპულარული თემაა, თუმცა საქართველოში ჩვენ ვხედავთ სეკულარიზმის დილემას. სეკულარიზმის დილემა გამოიხატება იმაში, რომ ერთის მხრივ ჩვენს გვსურს თანამედროვე დემოკრატიული წესრიგისთვის დამახასიათებელი ნორმების ინტერნალიზაცია, რაც ასევე მოიცავს ეკლესიისა და სახელმწიფოს განცალკევებას ანუ სეკულარიზაციას. მაგრამ მეორეს მხრივ, ქართული საზოგადოების სოლიდურ ნაწილს ვერ წარმოუდგენია რელიგიისა და სახელმწიფოს ერთმანეთისგან განცალკევება. შესაბამისად, პოლიტიკური ელიტები ცდილობენ მანიპულირებას, ისინი ხშირად იყენებ ორივე დისკურსს, როგორც სეკულარიზმის ასევე არასეკულარული წესრიგის, გააჩნია იმ გარემოსა და ვითარებას სადაც მათ უნევთ ამ თემებზე საუბარი.

ქართული საზოგადოების კონსერვატიულ და რელიგიურ ხასიათს ასევე ასახავს ზოგიერთი ემპირიული მონაცემები. მაგალითად, პიუს კვლევითი ცენტრის (ენ ლესეარცჰ ჩენტერ) მიერ ჩატარებული კვლევით, რომელიც გამოქვეყნდა 2017 წლის მაისში, საქართველოში გამოკითხულ რესპოდენტთა 80% ფიქრობს, რომ რელიგიური ინსტიტუტები აძლიერებენ მორალურობას. ასევე, გამოკითხულთა 52% ეთანხმება ხელისუფლების მიერ რელიგიური ღირებულებების განვრცობასა და მხარდაჭერას, ხოლო 46% კი ფიქრობს, რომ რელიგიურ ლიდერებს გარკვეულ დონეზე პოლიტიკური გავლენები უნდა ჰქონდეს. ამავე კვლევის მიხედვით, ქართველების 82% ფიქრობს, რომ დომინანტური ეკლესია უნდა იღებდეს ფინანსურ მხარდაჭერას მთავრობისაგან.

ამრიგად, საქართველოსთვის სეკულარიზაციის პროცესი არის საკმაოდ რთული გამოწვევა. ამას განაპირობებს ის, რომ ერთის მხრივ სეკულარიზაციის პროცესი არაჰარმონიულია ტრადიციულ ქართულ საზოგადოებასთან, მეორეს მხრივ კი სეკულარიზაციის პროექტზე უარის თქმა ნიშნავს ლიბერალური დემოკრატიაზე და პროდასავლურ ორიენტაციაზე უარს. თუმცა, ცხადია ხელისუფლების უპირველესი ინტერესია ქვეყნის შიგნით მაღალი სოციალური ლეგიტიმაციის გაზრდა, ამიტომ ხშირად პოლიტიკოსების

მიერ ხდება არასეკულარული დისკურსების გამოყენება. თუმცა, ეს მხოლოდ პოპულისტური ნარატივია, რადგან დომინანტური ქართული პოლიტიკური ელიტების ქცევები და აზროვნების სტილი მეტწილად მოდერნულია ვიდრე ტრადიციონალისტური.

საქართველოში სეკულარიზაციის პროცესის ძირითადი მამოძრავებელი ძალაა სამოქალაქო ელიტები, რომლებიც ცდილობენ სეკულარული იდეების ლიბერებას როგორც პოლიტიკურ ასევე კულტურულ ცხოვრებაში. ხელისუფლებაც, თავისი ლიბერალური დღის წესრიგიდან გამომდინარე, ანგარიშს უწევს სამოქალაქო ელიტების მოსაზრებებს და გარკვეულ დონეზე მათი იდეების ლეგიტიმაციას ახდენს (მაგალითად კანონდებლობის ლიბერალიზაცია რელიგიურ ორგანიზაციებთან მიმართებაში, დისკრიმინაციის შესახებ კანონი და ა.შ.).

თუმცა, იმისათვის, რომ არ დაკარგოს ტრადიციულ ღირებულებებზე მდგომი ამომრჩეველი, მათი მობილიზაციის მიზნით ხშირად, მათ შორის წინასაარჩევნო პერიოდში, ხელისუფლება იყენებს ერთგვარ კონსერვატიულ ნარატივებს და დისკურსებს, რომლებიც შესაძლოა არის იყოს ჰარმონიული სეკულარიზაციის დღის წესრიგთან. შესაბამისად მანევრირება და მანიპულირება ორ დისკურსს შორის პოსტსაბჭოთა ქართული ელიტების უმთავრესი სტრატეგიაა. ამ მიდგომით, ისინი ერთის მხრივ ცდილობენ გლობალური ლიბერალური დღის წესრიგში სტაბილურად ყოფნას, რითაც ძლიერდება მათი დომინანტური პოზიციები, მეორეს მხრივ კი ცდილობენ პოპულისტური ნარატივების გამოყენებით ამომრჩეველთა მობილიზაციას, რამაც საბოლოოდ ხელი უნდა შეუწყოს ლიბერალური დემოკრატიის პოლიტიკის კეთებას. მარტივად რომ ვთქვათ, ხშირად ტრადიციული დისკურსის გამოყენება ხდება იმისათვის, რომ პოლიტიკურმა ელიტებმა მიიღონ მაღალი სოციალური ლეგიტიმაცია, რათა შემდგომ შეასრულონ ლიბერალურ დემოკრატიაზე მორგებული პოლიტიკის დღის წესრიგი. რასაკვირველია, კონსერვატიული კულტურული დისკურსების გამოყენებისას, რაც შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს სეკულარული სახელმწიფოს იდეას, ხელისუფლება ასევე ცდილობს მოიპოვოს მხარდაჭერა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისგან, რომელიც დღემდე საქართველოში ყველაზე მაღალი მორალური ავტორიტეტის მქონე ტრადიციული ინსტიტუციაა.

2016 წლის 18-26 ივნისს კრეტაში ჩატარ-

და მსოფლიო საეკლესიო კრება. 14 მსოფლიო ეკლესიიდან მხოლოდ 4-მა ეკლესიამ - საქართველოს, რუსეთის, ანტიოქიისა და ბულგარეთის - თქვა უარი დასწრებაზე. კრებამ ექვსი დოკუმენტი მიიღო და ორი წერილი დაწერა. კრება შეეხო სეკულარიზაციის საკითხსაც: “თანამედროვე სეკულარიზაცია მიზნად ისახავს ჩამოაშოროს ადამიანი ქრისტესა და ეკლესიის სულიერ გავლენას, გაუმართლებლად აიგივებს რა მას კონსერვატიზმთან. თუმცა, დასავლური ცივილიზაცია ქრისტიანობის გავლენის წარუშლელ კვალს ატარებს. უფრო მეტიც, ეკლესია, როგორც ცხოვრების სფერო და წესი, თავისუფლებაში გამოავლენს ღმერთკაცისა და მისი სხეულის გამომხსნელობით მნიშვნელობას”, - ნათქვამია კრების გზავნილში.

### სეკულარიზმის კონცეპტუალური კულტურა

სეკულარიზმის მიზნის მიღწევის საშუალებად გადააზრების დაწყებისათვის კარგი საფუძველია ჯონ როულზის „საჯარო გონის“ თეორია, რომლის თანახმად რელიგიური მოტივები სრულიად მისაღებია, თუმცა მისი „თარგმნა“ ყველასათვის მისაღებ საფუძველზე უნდა იყოს შესაძლებელი.

ამ საკითხებზე მართებული მსჯელობის წინაპირობა, წინასწარი შეთანხმების არსებობაა, რომ სახელმწიფო სახალხო სუვერენიტეტის და სეკულარიზმის გატარებისას, ამასთან რელიგიის თავისუფლების და დისკრიმინაციის აკრძალვის უზრუნველყოფისას, თავისუფალია ნებისმიერი იდეოლოგიური გავლენისგან, არ ემხრობა რელიგიების უარყოფას ათეიზმთან დაახლოების ფორმით, არამედ ინდივიდისა თუ რელიგიური ორგანიზაციისაგან თვისობრივად განსხვავებულ პოზიციაშია და მის ვალდებულებას წარმოადგენს „უსაფრხო პლურალიზმის“ უზრუნველყოფა. ამ ვალდებულების შესრულებისას სეკულარული სახელმწიფო არა წინასწარი ნდობის, არამედ თანაბარი ინდიფერენტულობის ფორმულით უნდა მიუდგეს რელიგიებს, რაც მათ დაუტოვებს საჭირო ავტონომიურ სივრცეს ფუნქციონირებისათვის.

სახელმწიფო რელიგიურ თემს, რომელსაც გარკვეული მიზნებისათვის მრევლის ორგანიზების საკმაოდ მნიშვნელოვანი რესურსი აქვს, არ უნდა უდგებოდეს წინასწარ განსაზღვრული ნდობით თუ ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური პარტიისათვის თვითგა-

დარჩენისთვის აუცილებელი ლოიალობით. სახელმწიფო ასეთი სიფრთხილის პირობებშიც შეიძლება დარჩეს ნეიტრალური რელიგიური თემის მოტივების შეფასებისას, რადგან მისი სიფრთხილე რელიგიის, არა შინაარსიდან, არამედ, მისი საჯარო სივრცეში შექრის საფრთხეებიდან გამომდინარეობს. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ასეთი სიფრთხილე იყოს დაბალანსებული და სახელმწიფო თავად არ იქცეს სტერეოტიპების მსხვერპლი.

სახელმწიფოს სეკულარული პოლიტიკა არ მდგომარეობს რელიგიის მხოლოდ პირად სფერომდე დათრგუნვაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია, თავად სეკულარიზმი წარმოჩენილიყო ათეიზმის განხორციელების ფორმად, სეკულარული მიდგომის ათეიზმთან ბუნებრივი სიახლოვის გათვალისწინებით. ეს მიდგომა შეუსაბამო იქნებოდა „საჯარო გონის“ თეორიასთან, რადგან მის თანახმად ნებისმიერი მსოფლმხედველობა, რელიგია და ათეიზმი მხოლოდ თანაბარი დოზით შეიძლება მოსწონდეს სახელმწიფოს. სახელმწიფო პოლიტიკის სიფრთხილე და რელიგიის საჯარო სივრცეში დაშვება ადამიანის უფლებების, თანასწორობის დაცვის ინტერესით უნდა შემოიფარგლოს.

სახელმწიფოს მიერ რელიგიის ავტონომიის სფეროში შექრა მხოლოდ მაშინ არის გამართლებული, როდესაც სახელმწიფო იდეოლოგიისგან დაცვილ, „წმინდად საჯარო“ ფუნქციების განხორციელებას, ადამიანის უფლებების და თანასწორობის დაცვას, შეუდგება. ასეთი შეიძლება იყოს „მებრძოლი დემოკრატიის“ ფარგლებში მოქმედება, მაშინ, როდესაც რელიგია თავად ამბობს ავტონომიურობაზე უარს, მაგალითად პოლიტიკურ პარტიად გვევლინება, მკვეთრად იჭრება საჯარო სივრცეში და მისი პრივატიზების მიზანი გააჩნია. ერთი რომელიმე რელიგიის მიერ საჯარო სივრცის პრივატიზება, და სხვების ამ სივრცის გარეთ დატოვება, ცხადია ადამიანის არაერთი უფლების შეზღუდვას გამოიწვევს და ამ რელიგიურ მოტივს დასაწყისშივე დაუკარგავს ყველასთვის მისაღებ ფორმად ტრანსფორმირების შესაძლებლობას.

იმდენად რამდენადაც, ადამიანის უფლებების, თანასწორობის დაცვისას არის საჭირო სახელმწიფოს პრინციპული პოლიტიკა, სახელმწიფოს მიდგომა ასევე თანმიმდევრული უნდა იყოს, რელიგიის ყველანაირი გამოხატულების დაცვისას, მათ შორის დისკრიმინაციული აზრის გამოხატვისას, თუ აზრის გამოხატვის გარდა, ეს კონკრეტული

პირის/პირების მიმართ რაიმე სხვა ფორმის შემზღუდველ მოპყრობაში არ რეალიზდება.

სწორედ, სახელმწიფოს მიერ „უსაფრთხო პლურალიზმისთვის“ საჭირო სიფრთხილესა და რელიგიური მოტივების აღიარებას შორის ბალანსის დაჭერა წარმოადგენს სეკულარიზმის ლოგიკურ ჩარჩოს, მისით მისაღწევი მიზნის არსს. „სეკულარიზმის“ ერთი შეხედვით ბუნდოვანი შინაარსის პირობებში, მნიშვნელოვანია თავად იმ მიზნის აღწერა, რომლის განხორციელების საშუალებასაც ის წარმოადგენს და არა სეკულარული სახელმწიფოს, როგორც რელიგიისგან თავისუფალი სივრცის, თვითმიზნად აღქმა.

სხვა სიტყვებით, სეკულარიზმი სახელმწიფოს და რელიგიის თანასწორი თანაარსებობის პირობებია. სახელმწიფო და რელიგია თანასწორ თანაარსებობაში იქნებიან, მაშინ როდესაც სახელმწიფო დათმობს და მხოლოდ მაშინ ჩაერევა რელიგიის ავტონომიაში ან/და რელიგიური მორწმუნე ადამიანის პირად სფეროში, როდესაც ის სხვათა უფლებებს, თანასწორობას არღვევს, ან კიდევ საჯარო სივრცის სრულ პრივატიზებას ისახავს მიზნად.

„სეკულარიზმის“ ლოგიკურ ჭრილში, წარმოჩინება მეტი არაფერია, თუ თეორიაში არსებული მოსაზრების გამყარება, რომლის თანახმად, რელიგიური მოტივების აღიარება დასაშვებია და აუცილებელიც არის, თუმცა ამისთვის მათი ყველასთვის გასაგებ, მისაღებ ფორმაში გადათარგმნა უნდა იყოს შესაძლებელი, რაც დაუშვებელია მის მიერ ადამიანის უფლების არათანაზამოიერად შეზღუდვის, თანასწორობის დარღვევის, და საჯარო სივრცის პრივატიზების შემთხვევებში.

არსებობს როგორც ისტორიული, ისე ფილოსოფიური კავშირი რელიგიურ

უფლებებსა და საერო სახელმწიფოს შორის. საერო არის ის სახელმწიფო, სადაც

ხელისუფლების ძალაუფლება სეკულარული სფეროთი შემოიფარგლება; სახელმწიფო თავისუფალია ინსტიტუციური რელიგიის ან ეკლესიის ზეგავლენისგან და პირიქით,

ინსტიტუციური რელიგია დამოუკიდებელია სახელმწიფო ან პოლიტიკური

კონტროლისგან. ეს არის სახელმწიფო, რომელსაც არ გააჩნია იურისდიქცია

რელიგიურ საქმეებზე, არა იმიტომ, რომ ისინი სახელმწიფოს ინტერესის მიღმაა,

არამედ უფრო იმიტომ, რომ რელიგიური ინტერესები განიხილება ძალზე წმინდად იმისათვის, რომ იქცეს შეცდომებისაკენ



მიდრეკილი სამოქალაქო ხელისუფლების წარმომადგენელთა ნების ობიექტად. პრაქტიკაში საეროა ის სახელმწიფო, რომელიც უარს ამბობს პოლიტიკური საშუალებების გამოყენებაზე რელიგიური მიზნების მისაღწევად ან რელიგიური შესაძლებლობებით სარგებლობაზე პოლიტიკური მიზნის განხორციელებისათვის.

ვინაიდან მისი ხელისუფლება საერო საქმეებით იზღუდება, ურთიერთობა სახელმწიფოსა და რელიგიას შორის ნეიტრალური უნდა იყოს, როგორც მრავალრიცხოვან მონუმენტთა საზოგადოებების, ისე არარელიგიების მიმართ, ანუ საერო სახელმწიფოში მოქალაქეები არ უნდა სარგებლობდნენ ხელისუფლების მხრიდან კეთილგანწყობით ან უარყოფითი დამოკიდებულებით რელიგიურ ნიადაგზე. ეს არის სახელმწიფო, სადაც ხელისუფლებას არ გააჩნია რელიგიის ინსტიტუტებზე დომინირების უფლება და არც რელიგიურ ინსტიტუტებს აქვთ მსგავსი უფლება სახელმწიფოს მიმართ.

რელიგიის თავისუფლების მსგავსად საერო სახელმწიფოს წარმოქმნასაც ღრმა ფესვები აქვს ისტორიაში. თანამედროვე ეპოქამდე საერო სახელმწიფოს იდეა მჭიდროდ იყო დაკავშირებული დასავლურ ცივილიზაციასთან. ისტორიულად იგი გულისხმობდა ქრისტიანულ ან ზოგადად რელიგიურ სახელმწიფოზე უარის თქმას, რაც, შესაბამისად,

ენინააღმდეგებოდა განსაკუთრებულ რელიგიურ ტრადიციაზე დაფუძნებულ

ეროვნული იდენტურობის კონცეფციას. საერო სახელმწიფოსათვის დამახასიათებელია სეკულარულ და სულიერ ხელისუფლება-სა და, ზოგადად, რელიგიურ და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის მკაფიო სეპარაცია.

საერო სახელმწიფოს შემთხვევაში სახელმწიფო ხელისუფლების საფუძველს

წარმოადგენს სამოქალაქო და ბუნებითი სამართალი და არა რელიგიური დეკრეტი ან საღვთო სამართალი. განსაზღვრული პოლიტიკური ხელისუფლების, როგორც მონარქის, ისე სხვა პოლიტიკური სუბიექტის მხრიდან ხდება თავის არიდება მტკიცებისათვის, რომ მისი ძალაუფლება საღვთო სამართალს ეფუძნება.

არცერთ საზოგადოებას არ შეუძლია არსებობა, თუ არ იცის, რისთვის არსებობს იგი, რა პრინციპებს ეფუძნება, რა იდეალებით უნდა შეაფასოს თავისი თავი. აქედან გამომდინარეობს, რომ არცერთ საზოგადოებას არსად და არასოდეს მიუღწევია თავისუფლებისათვის ამ სიტყვის განყენებული მნიშვნელობით, ე. ი. როცა თავისუფლება გულისხმობს შესაძლებლობას, ყველამ აკეთოს ის, რაც მოესურვება ყველგან და ყოველთვის თავისუფლება განისაზღვრებოდა იმ პრინციპებთან და ცნებებთან მიმართებით, რომლებითაც ხელმძღვანელობს მოცემული საზოგადოება და რომლებიც პასუხობს კითხვას, რისთვის და როგორ არსებობს ეს საზოგადოება

ყოველივე ეს ნიშნავს იმას, რომ თავისუფლების ცნება განუყოფელია იმისგან, როგორ ესმის და განმარტავს მას საზოგადოება, რითი და რისთვის ცხოვრობს იგი. მაგრამ ეს იმასაც ნიშნავს, რომ ყველაფერი, ნამდვილად ყველაფერი საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ამ ცხოვრების თითოეული მონაწილის ცხოვრებაში დამოკიდებულია საზოგადოების ამ თვითგანსაზღვრაზე, იმ იდეებსა და იდეალებზე, რომლითაც საზოგადოება თავის თავს აფასებს. აქ კი მთელი სიმწვავეით დგება საკითხი იმის შესახებ, როგორია რელიგიის ადგილი ამ თვითგანსაზღვრებაში, და, მამასადამე, – საზოგადოების ცხოვრებაში.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. სეკულარიზმი და რელიგიური ნეიტრალიტეტი საჯარო სამსახურში. თბილისი 2016 წ.
2. ენდრიუ ჰეივედი - პოლიტიკური იდეოლოგიები. 2004წ.
3. <http://www.orthodoxtheology.ge/church-and-state-relation/>
4. <http://www.tabula.ge/ge/story/84341-sekularoba-rogorc-mokvare-da-ara-mteri>
5. <http://european.ge/lia-kvirkvelia-demokratia-liberaluri-demokratia-da-mati-saprtxeebi/>
6. <https://elawjournal.wordpress.com/2011/12/16/%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90-2/>
7. <http://www.tabula.ge/ge/story/109189-kretis-kreba-sekularizacia-miznad-isaxavs-chamoashoros-adamiani-qristes>



## რეზიუმე

მსოფლიოში ეკლესიის და სახელმწიფოს ურთიერთობის, ისევე როგორც მათ შორის უფლებამოსილებების გამიჯვნის მრავალი მოდელი არსებობს. საქართველოში სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობას არეგულირებს კონსტიტუციური შეთანხმება, რომელშიც განერილია ყველა ის ძირითადი პრინციპი, რომელიც საქართველოს სახელმწიფოსა და ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობას არეგულირებს. მიუხედავად ამისა, დღემდე ხშირია მსჯელობა იმ საკითხზე, თუ სად გადის ამ ურთიერთობებს შორის ზღვარი და რამდენად არის სრულად დაცული და გარანტირებული, როგორც შეთანხმების მხარეთა, ასევე შეთანხმების მიღმა არსებული სუბიექტთა ინტერესები და უფლებები.

საქართველო სეკულარული სახელმწიფოა, სადაც რწმენის თავისუფლება კონსტიტუციით არის გარანტირებული. საქართველოს კანონმდებლობა და საერთაშორისო ნორმები წარმოადგენენ საქართველოს მოქალაქეებისთვის რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების გარანტს. სეკულარიზმის პრინციპის დაცვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია ამ უფლებების რეალიზებისთვის. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო მულტი-ეთნიკური და მულტი-რელიგიური ქვეყანაა, ასევე მნიშვნელოვანია ტოლერანტობის კულტურის განმტკიცება, ერთმანეთის უფლებების დაცვისა და პატივისცემის ნახალისება. ქვეყნისათვის თანაბრად დაუშვებელია, როგორც ღრმა რელიგიური ფანატიკოსობა, ასევე სრული სეკულარიზმი. შესაბამისად, უნდა მოხდეს ქვეყნის ისტორიული რელიგიისა და თანამედროვე სახელმწიფოებრივი კურსის ჰარმონიული შერწყმა, რადგან სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის რადიკალური გამიჯვნა შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს საზოგადოებისთვის.

## SUMMARY

### RELIGION SECULARIZATION AND CONCEPTUAL CULTURE

M. Izoria

Secularism is the principle of the separation of government institutions and persons mandated to represent the state from religious institution and religious dignitaries. One manifestation of secularism is asserting the right to be free from religious rule and teachings, or, in a state declared to be neutral on matters of belief, from the imposition by government of religion or religious practices upon its people. Another manifestation of secularism is the view that public activities and decisions, especially political ones, should be uninfluenced by religious beliefs or practices.

In studies of religion, modern democracies are generally recognized as secular. This is due to the near-complete freedom of religion (beliefs on religion generally are not subject to legal or social sanctions), and the lack of authority of religious leaders over political decisions.

## ფუნდამენტური მონობრაფია ეკონომიკაზე

(„სად ვიყავით, სად ვართ, საით მივდივართ“)

სულ ახლახან საქართველოს ეკონომიკის სტატუსი საზოგადოებამ პროფესორ ნოდარ ჭითანავას მიერ მომზადებული შესანიშნავი მონოგრაფია მიიღო, რომელიც საქართველოს ეკონომიკის გამონვევებსა და სამომავლო განვითარების სტრატეგიას ეხება. სახეზე გვაქვს თეორიული და ემპირიული კვლევების სინთეზით შეჯერებული კომპლექსური ხასიათის სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს ეხება, ეკონომიკის ყველა ინსტიტუციურ სექტორს ახასიათებს ობიექტურად და მიუკერძოებლად. მასში გადმოცემულია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან ერთი მეოთხედი საუკუნის თავზე შექმნილი სიტუაცია პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, სახელმწიფო-მმართველობითი და ზნეობრივ-ფსიქოლოგიური ასპექტების გათვალისწინებით. სწორედ ასეთი შინაარსის პუბლიკაციას სამეცნიერო განძს უწოდებდა დიდი ილია ჭავჭავაძე თავის სტატიაში „სტატისტიკის შესახებ“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ივერაში“ 1888 წლის 18 იანვარს (12).

იმისათვის, რომ მოცემული ნაშრომით დაინტერესებულ მკითხველს შეეძინას შთაბეჭდილება თუ რას წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკური პოტენციალი 1980-90 წლებში, როდესაც მიმდინარეობდა ქვეყნის ეკონომიკის თვისებრივად გარდაქმნის არასტანდარტული პროცესები, ნაშრომის ავტორმა მიზანშეწონილად ჩათვალა მოეპოვებინა და გაეანალიზებინა ამ პერიოდზე არსებული ემპირიული მასალა და დაეხასიათებინა ქვეყნის მაკროეკონომიკური სურათი. ამ მიზნით ავტორი ახასიათებს სოფლის მეურნეობის, მრავალდარგოვანი მრეწველობის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროებში მიღწეულ წარმატებულ შედეგებს. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია იმდროინდელი ხელისუფლების მიერ ჩატარებულ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხასიათის საქმიანობაზე, რითაც იმართებოდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ტარდებოდა გონივრული დემოგრაფიული პოლიტიკა, იმართებოდა

მიგრაციულ-ემიგრაციული პროცესები. ქვეყნის მოსახლეობამ ამ პერიოდისთვის 5.4 მილიონი კაცი შეადგინა. მონოგრაფიაში გადმოცემულია ქვეყნის საერო და სასულიერო ხელისუფლებებს შორის ჩამოყალიბებული უნიკალური ურთიერთობები, რომლის შედეგადაც საქართველოში ისტორიული ძეგლების აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოებმა და ახალი ძეგლების მშენებლობამ მაღალი ტემპები შეიძინა. ავტორის სიტყვებით ამ პერიოდს უკავშირდება წმინდა სამების ტაძრის ისტორიის დანყება.

XX-ე საუკუნის 80-იანი წლებიდან ნაშრომის ავტორი მიიჩნევს რომ პერესტროიკის ნიადაგზე აღმოცენებულმა გარე და შიდა ფაქტორების გავლენამ საქართველოს ეკონომიკა სტიქიურად განავითარა. ერთიანი დიდი სახელმწიფოს რღვევის პროცესი შეფარულად სოციალურ-ეკონომიკური სისტემის შეცვლას და არა მის სრულყოფას გულისხმობდა. ახალ საბაზრო ეკონომიკისაკენ საქართველოს მიერ აღებულ კურსზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა პოლიტიკური მნიშვნელობის ისტორიული ფაქტები. კერძოდ, აქ პირველ რიგში იგულისხმება საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გამოყოფა. ამ კონტექსტში მონოგრაფიის ავტორი საზოგადოებას აცნობს მეტად საინტერესო ფაქტს, რომ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებას ფაქტობრივად მზად ქონდა ქვეყნის სრული სუვერენიტეტის აღდგენა-გაფორმების პოლიტიკური და იურიდიული საფუძვლები, ცივილური, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, რომელიც დღეს ცალმხრივად მიენერება ხელისუფლებაში მოსულ ეროვნულ ძალებს. მონოგრაფიის ავტორი მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნოს, რომ ჯერ კიდევ 1990 წელს, როდესაც საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ეკონომიკური კავშირების რღვევა დაიწყო და სამეურნეო სუბიექტებს ეკრძალებოდათ სასაქონლო, ფულად საანგარიშსწორებო ურთიერთობები, საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევით მოხერხდა რუსეთთან ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება. ეს იყო ჯერ კიდევ არსებული საბჭოთა კავშირის ორ რესპუბლიკას

შორის ახალი ტიპის ეკონომიკური თანამშრომლობის პრეცედენტი.

პოსტსაბჭოური პერიოდის საქართველოში არსებული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე მონოგრაფიის ავტორი ეროვნული ეკონომიკის განვითარების ახალ პოსტსაბჭოთა ეტაპის დანყებას საზოგადოების დაბნეულობით, სამოქალაქო დაპირისპირებით, კრიმინალური აზროვნების აღზევებით, ეგზოგენური ფაქტორების უშუალო ზემოქმედებით ხსნის, რამაც სავალალო შედეგები გამოიღო.

საინტერესოა ავტორის მიერ 1990 წლიდან მოყოლებული დამოუკიდებელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი ტენდენციების დახასიათება და ამ მიზნით ოთხი ეტაპის გამოყოფა. ესენია:

- I ეტაპი - 1991-1995 წლები;
- II ეტაპი - 1996-2003 წლები;
- III ეტაპი - 2004-2012 წლები;
- IV ეტაპი - 2013 წლიდან დღემდე.

ემპირიული კვლევებისა და საკუთარი ხედვების საფუძველზე მონოგრაფიის ავტორი საინტერესო და საფუძვლიან ანალიზს გვთავაზობს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე ცალკეული ეტაპებისა და მთლიანი საანალიზო დროით პერიოდის მიხედვით. გამოკვლეულ საკითხთა ძირითად წრეს მიეკუთვნება ისეთი პრობლემები, როგორცაა: ეკონომიკის რღვევა, გაუაზრებელი პრივატიზაცია, ეკონომიკური გამოცოცხლების ფაზები, გარდამავალი პერიოდის გახანგრძლივება, ეკონომიკაზე პოლიტიკის გავლენა, ეკონომიკის ტრანსფორმაციულ პროცესებში სახელმწიფოს მონაწილეობა, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება და სხვა მრავალი.

მონოგრაფიაში ფუნდამენტურად არის გამოკვლეულ-გაანალიზებული ეკონომიკის ტრანსფორმაციული პროცესების თანმხლები სოციალური ცხოვრების არასახარბიელო შედეგები. კერძოდ, ისეთები როგორცაა: ცხოვრების დონე, დასაქმება, უმუშევრობა, ახალი მდიდრებისა და ახალი ღარიბების სოციალური პოლარიზაცია, სასურსათო უსაფრთხოება, საშუალო ფენის ფორმირების სირთულეები და სხვა.

მონოგრაფიის ყველაზე დიდი ნაწილი დათმობილი აქვს მინის მართვის

პრობლემებს და მათი გადაწყვეტის ძირითად მიმართულებებს. ჩვენი ქვეყნისათვის მოცემული უმნიშვნელოვანესი პრობლემა ავტორის მიერ შესწავლილი და გაანალიზებულია კომპლექსურად და თანმიმდევრულად, რაც იმაში გამოიხატება, რომ თავდაპირველად განხილულია მინის რესურსების მართვის თეორიული საფუძვლები; შემდეგ გაანალიზებულია და განზოგადებულია მოცემულ სფეროში საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება; მეტად საინტერესო მიდგომებია გადმოცემული მინის კოდექსის და კადასტრის კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური ასპექტების გაშუქებისას. ავტორი საკუთარ პრინციპულ პოზიციას აყალიბებს მინის კოდექსის შემოღებასთან დაკავშირებით და ასაბუთებს იმსიკეთებებს, რაც მოცემულმა ღონისძიებამ შეიძლება მოუტანოს ქვეყანას. მინის კადასტრის შემოღებაზე მსჯელობისას მონოგრაფიის ავტორი თავდაპირველად გვაცნობს ამ სფეროში საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებას და შემდეგ აყალიბებს ჩვენს ქვეყანაში მისი შემოღების კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ მიდგომებს. ავტორი ასევე საინტერესო მოსაზრებებს აყალიბებს მინის რესურსების მართვის ეკონომიკური მექანიზმის ფორმირების წინაპირობების ჩამოყალიბებით.

ავტორი საინტერესო ანალიზს გვთავაზობს საქართველოს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილეობის მხრივ, რაც თუ ადრე ეფუძნებოდა მატერიალური და ფინანსური რესურსებით ქვეყნის მომარაგებისა და საქართველოში წარმოებული პროდუქციის გასაღების გარანტირებულ ვალდებულებებს, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ავტორის სიტყვებით საქართველოს მთავარ ახალ პრინციპებზე უნდა განესაზღვრა მსოფლიო ბაზარზე შეღწევის სტრატეგია. ამჟამად სრულიად ახლებური სტრუქტურა და შემადგენლობა გააჩნია ჩვენი ქვეყნის პროდუქციისა და მომსახურების ექსპორტსა და იმპორტს. ასევე მთლიანად საგარეო ეკონომიკურ ვექტორს. ასეთ საკითხებზე საინტერესო მსჯელობა სამომავლო ხედვებითა და აქცენტებით ძირითადად გადმოცემულია მონოგრაფიის 295-320 გვერდებზე.

მონოგრაფიის ავტორი გეოეკონომიკას - საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიულ

რესურსად მიიჩნევს და გლობალიზაციის შუქ-ჩრდილებსა და სამომავლო ამოცანებზე საინტერესო მსჯელობას გვთავაზობს მონოგრაფიის 321-346 გვერდებზე.

ავტორს განსაკუთრებით საინტერესო ხედვები აქვს ჩამოყალიბებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფოებრივი რეგულირების მიმართულებით. იგი დამაჯერებლად ასაბუთებს მის ობიექტურ აუცილებლობას. ქვეყნის განვითარების სტრატეგიის განმსაზღვრელ ფაქტორად ახალ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის ჩამოყალიბებას მიიჩნევს.

ამრიგად საბოლოოდ მინდა დავასკვნა რომ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ნოდარ ჭითანავას მიერ მომზადებული ბრწყინვალე მონოგრაფია საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ გამორჩეულ პერიოდს - დამოუკიდებლობის აღდგენიდან ერთი-მეოთხედი საუკუნის

სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის დახასიათებას ეძღვნება. ნაშრომი უდაოდ გაამდიდრებს ეკონომიკურ ლიტერატურას, ხოლო ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკას რიგ ახალ სიახლეებს შესძენს.

ვფიქრობ, წარმოდგენილი კომპლექსური ხასიათის ნაშრომი მრავალფეროვანი საზოგადოებისათვის იქნება გამოყენებადი. იგულისხმება მეცნიერები, სხვადასხვა რანგის სახელმწიფო მოხელეები, მასმედია, სტუდენტი ახალგაზრობა და სხვა მრავალი, როგორც ჩვენს ქვეყანაში ასევე მის გარეთ.

**დავით კბილაძე -**

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, მონოგრაფიის რეცენზენტი.



## დიდი მეცნიერი - უდიდესი მოყვასი

ადამიანს მისი შეგნებული ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე ხვდებიან პიროვნებები რომლებიც მათ მეხსიერებაში წარუშლელ კვალს ტოვებენ, ასე იყო ჩემს შემთხვევაშიც როდესაც 1986 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში ვაბარებდი საკანდიდატო მინიმუმის გამოცდას „პოლიტიკონომიაში“, საგამოცდო კომისიის თავმჯდომარედ ბრძანდებოდა ბატონი ლეო ჩიქავა რომელიც იმჟამად დირექტორის მოადგილე იყო სამეცნიერო დარგში.

მოგეხსენებათ გამოცდა ყოველთვის ემოციებთან არის დაკავშირებული და არც მე ვიყავი გამონაკლისი, მაგრამ როდესაც ბილეთი ავიღე მოვიფიქრე და მოვემზადე გასასვლელად ბატონმა ლეომ მიხმო და ამ დროს რაღაც ძალიან თბილი და სასიამოვნო ხმის ტემბრი მომესმა, რომელიც დღესაც მახსოვს: „მობრძანდით ახალგაზრდა, გისმენთ, დაიწყეთ“ და თითქოს ამ სიტყვებმა მომიხსნა დაძაბულობა რამაც ჩემზე დადებითად იმოქმედა და კომისიის მიერ მაღალი შეფასება დავიმსახურე, ჩემდა საბედნიეროდ იმ დღიდან მოყოლებული ბატონი ლეოს ყურადღების არეალიდან არ გამოვსულვარ მისი სიცოცხლის ბოლომდე.

შემდგომ წლებში როდესაც ბატონი ლეო ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიის ინსტიტუტსა და პ. გუგუშვილის სახელობის კერძო უმაღლეს სასწავლებელს უფრო ხშირი საქმიანი შეხვედრები ეწყობოდა, თვითოეული შეხვედრა ჩემთვის იყო ცხოვრების გაკვეთილი რამეთუ ბატონი ლეო ყოველთვის განონასწორებული, მაღალი ინტელექტის მქონე არა მარტო დიდი მეცნიერი არამედ უდიდესი მოყვასი ბრძანდებოდა რომლის სიტყვას და დარიგებას ყველა პატივისცემითა და მონივნებით ისმენდა მისი დიდი პროფესიონალიზმიდან გამომდინარე.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ბატონ ლეოსთან საქართველოს ეკონომიკურ და საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიების ურთიერთთანამშრომლობა, რომლის მუშაობაშიც ბატონი ლეო მიუხედავად მისი სამუშაო

დროის დიდი დეფიციტისა ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას იღებდა აკადემიის მუშაობაში და სხვადასხვა დროს როგორც მომხსენებელი აკეთებდა უალრესად საინტერესო მოხსენებებს ქვეყნის ეკონომიკურ და დემოგრაფიულ პრობლემებთან დაკავშირებით.

ბატონი ლეო ყველას მიმართ ასეთი ყურადღებიანი და თანამდგომი რომ ბრძანდებოდა ეს მისი მშობლების ქალბატონი ანეტას და ბატონ ლეონტის კოლხური ტრადიციების მქონე ოჯახიდან მოყვებოდა, ვინც უყვარდა და პატივს სცემდა ყველა გაიგივებული ჰყავდა თავის დედამამიშვილებთან ბატონ იოსებთან და მის ორ დასთან, ახალგაზრდების დაკვალიანება და მათთვის ხელშეწყობა საკუთარ შვილებთან ქალბატონ მედეასთან და ბატონ გიორგისთან ჰყავდა გათანაბრებული, ასევე იგი უდიდესი სიყვარულით და პატივისცემით იყო გამსჭვალული მისი რძლის ქალბატონი დალისა და სიძის ჩვენი კოლეგისა და ღირსეული პიროვნების, პროფესორ ალექო სიჭინავას მიმართ, ხოლო განსაკუთრებული ადგილი მის ცხოვრებაში ეკავათ მის ხუთ შვილიშვილს ერთ გოგონას და ოთხ ვაჟსაც.

ბატონმა ლეომ უდიდესი განსაცდელი და დიდი ტკივილი გადაიტანა სიცოცხლის ბოლო წლებში ჯერ მეუღლის ქალბატონი თამარის გარდაცვალებით, შემდეგ უსაყვარლესი უფროსი ძმის პროფესორ იოსებ ჩიქავას დაკარგვით, არ დამავინყდება ბატონ ნოდარ ჭითანავასთან და რამოდენიმე კოლეგასთან ერთად ჩავედით ზუგდიდში ბატონ იოსების დაკრძალვაზე, ბატონმა ლეომ უღრმესი მადლობა გადაგვიხადა მწუხარების გაზიარებისათვის, მაგრამ ყველაზე ემოციური იყო ის ფაქტი, როდესაც ეზოში გამოსვენების დროს მან გამოსამშვიდობებელი სიტყვა უთხრა მის სისხლს და ხორცს, ამ დროს ბატონი ლეო სულ სხვა სამყაროში იყო თავის ტკივილთან ერთად და შეიძლება ითქვას მასზე ამ ორი მისთვის უსაყვარლესი ადამიანების დაკარგვამ საგრძნობლად შეარყია მისი ჯანმრთელობა და დააჩქარა უარყოფითი პროცესები.

ბატონ ლეოსთვის ყველაზე მეტად ფასობდა მისი დედა უნივერსიტეტი, რომ-

ლის კედლებშიც იგი როგორც სტუდენტი შევიდა ნახევარი საუკუნით ადრე მის გარდაცვალებამდე და რაოდენ სიმბოლურია ის ფაქტი რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა აკადემიკოსმა ბატონმა ვლადიმერ პაპავამ ლეო ჩიქავას უკვდავსაყოფად მისი გამოსვენების ცერემონიალი მოაწყო უნივერსიტეტის ეზოში მდებარე ტაძრიდან და მინდა უღრმესი მადლობა გადაუხადო ბატონ ლადოს იმისთვის რომ მომცა საშუალება იმ სამგლოვიარო მიტინგზე მეც მეთქვა ჩემთვის ძვირფასი ადამიანისათვის გამოსამშვიდობებელი სიტყვა.

ადამიანები გარდაიცვლებიან, მაგრამ არ კვდებიან იმიტომ რომ მათ ჰყავთ მომგონებელნი, მათ დატოვეს დიდი ოჯახები და ღირსეული შთამომავლობა, ასეთი უკვდავი იქნება ბატონი ლეო ჩიქავა იმიტომ, რომ მისი სახელისა და გვარის

გამგრძელებელმა უმცროსმა ლეო ჩიქავამ ბატონი ლეოს 80 წლის იუბილისადმი გამოცემულ კრებულში გამოხატა თავისი დამოკიდებულება წერილში „ჩემი საყვარელი ბაბუა“, ეს არის უკვდავება რომელიც ლეო ჩიქავა უფროსმა დაიმსახურა.

ლეო ჩიქავას დაბადების 90 წლის საიუბილეო თარიღის გადასახედიდან ღმერთმა ნათელში ამყოფოს ბატონი ლეო, დაუმკვიდროს საუკუნოდ მარადიული სასუფეველი და დიდხანს უცოცხლოს მომგონებელნი.

უდიდესი გულისტკივილით -

#### **თეიმურაზ ბაბუნაშვილი**

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ეკონომიკურ-მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე

# გულთადად ვულოცავთ ჩვენი აკადემიის აკადემიკოსებს საიუბილეო თარიღს

## თამაზ დანელია



ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი,

აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი.

## გურამ ფერაძე



ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, საქართველოს

დამსახურებული მეღვინე, საპტიო ნიშნის და სხვა სახელმწიფო ჯილდოების კავალერი.

## ირაკლი მიქაძე



ეკოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, საქართველოს

მენარმეთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საერთაშორისო ექსპერტი.

## მარინა ქურდაძე



ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, საქ. ტექნიკურ უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო საგრანტო პროგრამების ხელმძღვანელი

## გულთაზ ლაბარტყავა



ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი,

საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი, ქალაქ ფოთის საპატიო მოქალაქე, ბანკის წარჩინებული მუშაკი

## გივი ლოჟანიძე



იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, გენერალ-ლეიტენანტი, იურიდიულ მეცნიერებათა

აკადემიის ნამდვილი წევრი, ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე, ვახტანგ გორგასლისა და ღირსების ორდენის კავალერი.

## არჩილ ვაშაკიძე



სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი,

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საპატიო ნიშნის ორდენისა და ღირსების ორდენის კავალერი.

**გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ბედნიერებას.**